

წიგნიანი მუზეუმი

მუზეუმისათვის კაცისა

ბერძნულთგან გადმოღებული

იოვანე პეტრიჭის მიერ.

ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა
და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო

ს. რ. ზორბაძემ.

გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 17

ტფილისი
1914

ელექტრომბეჭდავი ს. შ. ლოსაბერიძე | Электронпеч. С. М. Лосаберидзе,
ძინა, მოსკოვის ქუჩა, საკ. სახ. № 5. | Московская ул., собств. д. № 5.

«ჩვენ გვრწამს და ვხედხვთ, რომ ზღუნი ერი განვითარების გზას ადგია. ის, კაი ხანია, შედგა ამ გზაზე და მისი გაჩერება ყოვლად შეუძლებელი საქმეა. იგი ვითარდება საზოგადოებრივად და ქონებრივად, ზნეობრივად და გონებრივად. მისნი ძველნი ჩვეულებანი თანდათან იფხვრებიან, მისი ძველი სოფლმხედველობა ირყევა და ირღვევა; მათ ალაგას სხვა, ახალი, სოფლმხედველობა მოდის, მათს ადგილს სხვა ჩვეულებანი იკერენ.—ახალ დროს ახალი სოფლმხედველობა უნდა, ხოლო ახალ აზრებსა და სოფლმხედველობას ახალი სიტყვები და განახლებული ენა სჭირია».

ასე ვწერდით ამ ცამეტობად წლის წინათ ჩვენს პირველ ნაბეჭდ წერილში ფილოსოფიის ისტორიიდან¹.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, «დიდმა» უფრო შინაარსით, ვინემ წელთა რაოდენობით. გამოცდილებამ და დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულ სამეცნიერო ენის განახლება უნდა სწარმოებდეს და შესაძლოა ნორმალურად მოხდეს მხოლოდ ძველქართულ სამეცნიერო და ფილოსოფიურ ტერმინოლოგიის კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე. ეს მარტივი კეშმარტება დღეს უკვე ყველასთვის აშკარაა, და სწორედ ამ გარემოებამ გაგვაბედვინა, ჩვენი დიდი ხნის განზრახვის განხორციელებას შევსდგომოდით. ჩვენი მთავარი აზრია: ინტელიგენტ ქართველობას (და, განსაკუთრებით, ქართულ სამე-

¹ ფილოსოფია და მისი პროგრესი—წინასიტყვაობა, გვ. 1 (ქურნალი მოამბე) 1901 წ. №№ 11 და 12).

ცნიერო ენის შემუშავებაში ჩაბმულ ინტელიგენციას) მივაწოდოთ ისეთი თხზულებანი ძველ ქართულ მწერლობიდან, რომელნიც მდიდარნი არიან სამეცნიერო და ფილოსოფიურ ტერმინებით. ამ უმად ჩვენი არჩევანი, იოვანე პეტრიწის მიერ ნათარგმნს, ნემესიოსის წიგნზე შევაჩერეთ: დაე, მთარგმნელის ავტორიტეტმა, თვით წიგნის შინაარსმა და ბოლოში დართულმა ლექსიკონმა გაამართლოს მკითხველის თვალში ჩვენი არჩევანი.

უგულითადეს მადლობას ვსწირავთ «საეკლესიო მუზეუმის» კომიტეტს, რომელმაც შეგვაძლებინა, დიდი ხნის განზრახვა სისრულეში მოგვეყვანა, ოცნება სინამდვილედ გვექცია. მადლობას მოვახსენებთ საერთოთ იმ პირთაც, რომელთაც ამ საქმეში დახმარება გაგვიწიეს.

ამ წიგნის შემდგომ, დასაბეჭდად დამზადებული. გვაქვს იოვანე პეტრიწის მასწავლებლის ეფრემ მცირის მიერ მე-XI-ე საუკუნეში ნათარგმნი «სოფლისა-თვს და კაცისა» (იოვანე დამასკელის თხზულებიდან: «გარდმოცემად») და მე-X-ე საუკუნის ხელნაწერში («შატბერდულ კრებულში») დაცული თარგმანი გრიგოლ ნოსელის თხზულებისა «კაცისა შესაქმისათვს», — რომელთაც დაერთვის ჩვენი გამოკვლევა: «კოსმოლოგია და ანთროპოლოგია ძველ ქართულ მწერლობაში».

ს. გორგაძე

1914 წელი,
12 მარტი,
ტფილისი.

ს ა რ ჩ ე კ ი

კ ე ლ ა ძ ტ ო რ ი ს ა ზ ა ნ

I. ნემესიოს კემესელი და მისი თხზულება (გვ. III—VII):

1 ნემესიოსის ვინაობა. 2 რას წარმოადგენს შინაარსით მისი თხზულება. 3 ამ თხზულების ღირსებანი და საზოგადო მნიშვნელობა.

II. იოვანე ჰეტრიწი და მისი თარგმანი (გვ. VII—XXII):

4 ქართველი მთარგმნელის მოკლე ბიოგრაფია. 5 ეფრემ მცირე და იოვანე პეტრიწი; როდის არის ნათარგმნი ძეუნებისა-თვს კაცისა. 6 თარგმანის დედანი: როგორ უყრობა დედნის ტექსტს ქართველი მთარგმნელი. 7 ქართული თარგმან.ს მნიშვნელობა ძველად. 8 მისი მნიშვნელობა დღეს.

III. ხელნაწერები და ჩენი გამოცემა (გვ. XXII—LVI):

9 სამი ხელნაწერი, მათი ურთიერთობა და ქართული ტექსტის მოკლე ისტორია. 10 ძირითადი ხელნაწერის (A) დღევანდელი მდგომარეობა. 11 საზოგადო გეგმა, რომელსაც ჩვენ მივსდევთ ამ ხელნაწერებით სარგებლობის დროს. 12 თავები და მათი სათაურები ხელნაწერებსა და ჩვენს გამოცემაში. 13 ნაკვეთებად დაყოფა ტექსტისა ხელნაწერებში და ჩვენს გამოცემაში. 14 სასვენებელი ნიშნები. 15. ტენიკური მხარე სიტყვების წერისა ხელნაწერებში და ბეჭდვისა ჩვენს გამოცემაში. 16 ქარაგმების გახსნა. 17 ხელნაწერის უბრალო წერითი შეცდომანი და თავისებურობანი, ჩვენს გამოცემაში შესწორებულნი ან უარყოფილნი. 18 ხელნაწერ ტექსტის ორთოგრაფიული თავისებურობანი. 19 ფონეტიკური თავისებურობანი. 20. ხელნაწერი ტექსტი მორფოლოგიურის მხრით. 21 სინტაქსიური უსწორ-მასწორობანი. 22 წესი ხელნაწერების განსხვავებათა ჩვენებისა ჩენი გამოცემის საკრიტიკო აპარატში. 23 დამატებანი. 24 გამოცემაში ნახმარი ნიშნები, სამოწმებელნი და შემოკლებანი. 25 შეცდომათა შესწორების შესახებ.

«ბუნებისა-თჳს კაცისა»

თაზნი	გვერდნი
I. ბუნებისა-თჳს კაცისა	3
II. სულისა-თჳს	23
III. შეერთებისა-თჳს სულისა და სხეულთაჲსა .	51
IV. სხეულთა-თჳს	58
V. ასოთა-თჳს	61
VI. ოცნებითისა-თჳს	72
VII. მხედვარეობისა-თჳს	75
VIII. გემოჲს-ხილვისა-თჳს	82
IX. შესებისა-თჳს	83
X. სასმენელთა-თჳს	87
XI. საყნოსელთა-თჳს	88
XII. მიმოგონებითისა-თჳს.	88
XIII. მომკსენებლობისა-თჳს	89
XIV. შორისმდებარისა და გარემოსილისა სიტყჳსა-თჳს	92
XV. სხუჲა განწვალებჲაჲ სულისაჲ	94
XVI. სულისა უტყჳსა-თჳს	95
XVII. გულის-მთქმელობითისა-თჳს	98
XVIII. გემოთა-თჳს	100
XIX. მწუნარებისა-თჳს	106
XX. გულის-წერომისა-თჳს	107
XXI. შიშისა-თჳს	108
XXII. უტყჳსა-თჳს, რომელი ზრმონილ ზრს სიტყჳსა	110
XXIII. მოზარდობითისა ძაღისა-თჳს	110
XXIV. ძარღუთა-თჳს	113
XXV. მშობელობითისა გინათუ თჳსლოვნობითისა-თჳს	114
XXVI. სხუჲა განწვალებჲაჲ ძაღთაჲ, რომელნი ჳმართებენ ცხოველსა	117
XXVII. წინაღრჩეუითისა მიდრეკისა-თჳს	117
XXVIII. სულის-კუჭთისა-თჳს	120

XXIX. ნებისითისა და უნებლიეთისა-თჳს	125
XXX. უნებლიითისა-თჳს	127
XXXI. უმეტრებით უნებლიითისა-თჳს	130
XXXII. ნებისითისა-თჳს.	132
XXXIII. წინაგანრჩევისა-თჳს .	134
XXXIV. თუ რათა-თჳს გარაი განმზრახ	137
XXXV. სჯსა-თჳს .	141
XXXVI. ვარსკუფაფეთა-შიერისა სჯსა-თჳს	143
XXXVII. სხუასხედ სჯსა-თჳს	145
XXXVIII. თუ ვითარ ჰლატონ იტუჳს სჯსა-თჳს	147
XXXIX. თუთკელმწიფეებისა-თჳს	151
XL. თუ რომელნი არიან ჩუენ-შიერნი .	154
XLI. თუ რომელთა მიზეზთა-თჳს თუთკელმწიფე ვიქმნენით	158
XLII განგებისა-თჳს .	162
XLIII. თუ რაჲმე არს განგებაჲ .	168
XLIV. თუ რაჲმე არს განგებაჲ	169

დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი

I. ლექსიკონი .	177
II. საკუთრებითი სახელები (ადგილთა, ჰირთა და თხზუელუ- ბათა) .	222
III. დაბადების ტექსტთა საძიებელი	229
IV. ხელნაწერის თაფთა საძიებელი ჩუენსა და რუსულ გამოცემაში	230
V. ხელნაწერის უმთავრეს სხოლიოთა საძიებელი ჩუენს გამოცე- მაში	232
VI. ხელნაწერ A ¹ -ის ნაკლეული ადგილები (A-სთან, A ² -სთან და ჩუენს გამოცემასთან შედარებით)	234
VII. უსაჭიროესნი შუესებანი და შესწორებანი .	237



ბექდვითი შეცდომანი

გვ. ლ სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
V, 22	1856	1858
VI, 22	51	59
XVI, 20.	ღრასტიკაოჲ	ღრასტიკოჲ
XXVΠ, 12	<i>ΛΙCΠC</i>	<i>ΛΙCΠC</i>
XXVШ, 9	ზედმეტია	ზედმეტია ¹
XXX, 2	რვეულისათვის	რვეულისათვის
XXXΠ, 8.	სათაურები	სათაური
25, 31-32	ხოებრივი	ხონებრივი
27, 17	ცხორები	ცხორები-
30, 12	ხსეულთა	ხსეულთა
32, 1.	შემდგმულობაჲ	შედგმულობაჲ
43, 14	ს ხჳსა	სხჳსა
52, 1	დაადრგების	დაადგრების
58, 26	ტრანკრიპციით	ტრანსკრიპციით
102, 4-5	თანშეთმვისა-გან	თანშეთზმვისა-გან
115, 28	ჩვეულებრივ	ჩვეულე ² რივს
127, 29	დედის	დედნის
.168, 1	272	273

სედაქტორისაგან

ნემესიოს ემესელი და მისი თხზულება

1. ვინ იყო ნემესიოს? სად ცხოვრობდა იგი? ან როდის დასწერა თავისი თხზულება? ეს კითხვები უნებლიეთ წარმოუდგება ვეგლას, ვინც ამ წიგნის სათაურს ჰირველათ გადაიკითხავს. სამწუხაროდ, ჩვენი წინასიტყვაობის გეგმა ნებას არ გვაძლევს, ამ საკითხებს ვრცლათ შევეხეთ. ამიტომ მოკლეთ შევნიშნავთ, რომ, მკვლევართა უმეტესობის აზრით, ნემესიოს იყო ქალაქ ემესის (ზემონირიაში, მდ. ორონტის პირად, ფინიკიის საზღვარზე) მღვდელმთავარი და ცხოვრობდა მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში. სანამ ქრისტიანობას მიიღებდა, —მჭევრმეტყველებას ასწავლიდა, შემდგომ ვეპილობას ეწეოდა და, ბოლოს, ჩვენი ქვეყნის მეზობლად, კაპადოკიაში, ჰრეფუქტად იქმნა დანიშნული. აქ იგი დაუახლოვდა ამ კუთხის ბრწყინვალე ვარსკვლავს გრიგოლ ღვთისმეტყველს (ცხოვრ. 326—390 წლების შორის) და ქრისტიანობაც მისივე გაუყენით მიიღო. შემდეგ ეკურთხა ეპისკოპოსად და 400 წლის მახლობლათ დასწერა თხზულება «Περὶ φρσηων ἀμύρσιου», რომელმაც უკვდავო მისი სახელი საკვლესიო მწერლობის ისტორიაში¹.

2. რას წარმოადგენს ეს თხზულება შინაარსით? რა ფასი ჰქონია მას ძველად, ან რა მნიშვნელობა აქვს დღეს?—აი მეორე რიგის კითხვები, რომელთაც, აგრეთვე, გვერდს ვერ აუგლის ვერცერთი

¹ უფრო ვრცლათ იხ. Θ. Владимирскій: „Немезій, епископъ Емесскій—О природѣ чловѣка“. Переводъ съ греческаго. Почаевъ. 1904 г. მთარგმნელის წინასიტყვაობა, გვ. III—VIII; შუად. იქვე Предисловіе Оксф. рдскаго издателя (1671 г.), გვ. 6—14.—იხ. აგრეთვე К. Григорьевъ: „Немезій епископъ Эмесскій и его сочиненіе—О природѣ чловѣка“. Казань. 1901 г., стр. 1—2.

მკითხველი, რომელიც ამ თხზულების ცანცობას მოისურვებს. სამ-
წუხაროდ, დასახელებული მიზეზის გამო, ვერც ამ კითხვათა ვრცლათ
განხილვას გამოვიტყუებით. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ შინაარსით ეს
თხზულება წარმოადგენს პლატონისა, არისტოტელისა და სხვა ძვე-
ლი დროის ფილოსოფოსების¹ მოძღვრებათა კრიტიკულ განხილვაზე
და საღმრთო წერილზე დამყარებულს ტრაქტატს ადამიანის ბუნების
შესახებ.

თხზულებას წინ მიუძღვის საკმაოდ ვრცელი შესავალი, რომელშიც
ლამარკიას საზოგადოთ მსოფლიოზე და ადამიანის ბუნებაზე
(თავი I).

შესავალის შემდეგ იწყება თხზულების პირველი მთავარი
ნაწილი, რომელშიც განხილულია საზოგადო კითხვები ადამიანის
შესახებ: მისი სულის ბუნებაზე, სულისავე ჩამოშვლობასა და გვა-
რებაზე, სულის სხეულთან შეერთებაზე, სხეულის შედგენილობაზე და
მსოფლიო სტიქიონებზე ანუ «ასობებზე», როგორც მათ ქართული
მთარგმნელი უწოდებს (თავები II—V).

ამას მოსდევს მეორე (და უკანასკნელი) მთავარი ნა-
წილი, რომელშიც ავტორი განიხილავს ადამიანის სულიერ და ფი-
ზიოლოგიურ ძალთა და ფუნქციებს და თავის ნაშრომს ათავებს ფა-
ტალიზმის უარყოფითა და ვრცელი მოძღვრებით საღმრთო განცების
შესახებ (თავები VI—XIV).

3. ასეთია ამ თხზულების საზოგადო გეგმა და მოკლე შინა-
არსი². რაც შეეხება მის მნიშვნელობას წარსულსა და აწმუში, ამ
საგნის ნათელსაყოფელად საკმაოდ იქნება მოგიყვანოთ ორი შეკვლევა-
რის აზრი: უზანის სასულიერო აკადემიის პროფესორის კ. გრიგო-

¹ იხ. ამ წიგნის ბოლოში დართული საკუთარ სახელთა საძიებელი.

² უფრო ვრცელსა და სისტემატიურს ანალიზს აღნიშნული თხზუ-
ლების შინაარსისას მკითხველი ჰპოებს კ. გრიგორიევის ჩვენ მიერ და-
სახელებულ თხზულებაში: „Немезій еп. Мессскій и его сочиненіе
О природѣ челоука“, стр. 7—59. ვურჩევთ მკითხველებს, სანამ
ჩვენი გამოცემის კითხვას შეუდგებოდნენ, ბ-ნი გრიგორიევის აღნიშნული
თხზულების ეს ნაწილი გვერდი გადაიკითხონ: ეს ძლიერ გაუადვილებსთ
ქართული ტექსტის შეგნებას.

რიევისა და ვიტემბერგელი ჰროფესორის Matthaei-სი, რომელსაც ეკუთვნის ჰირველი სრული და სუკეთესო გამოცემა ნემესიოსის თხზულების ბერძნული ტექსტისა¹.

ჰირველის აზრი მოკლეთ ასე შეიძლება გადმოიგეს:

ვინც ნემესიოსის წინა და თანადროულს საქრისტიანო ანთროპოლოგიას თვალს გადაავლებს, ცხადათ დაინახავს, რომ ნემესიოსამდე ქრისტიანე ანთროპოლოგები² ძლიერ მცირე უურადლებას აქტეფდნენ ადამიანის ბუნების აწმყო მდგომარეობას: მათ უფრო კაცის ჰირვანდელი (ეღემში) და საიქიო მდგომარეობა აინტერესებდათ. ნემესიოსმა კი განსაკუთრებული უურადლება კაცის ბუნების აწმყო მდგომარეობას მიაქცია, შეიძლება ითქვას, თავისი კვლევის საცნად ადამიანის ბუნების მხოლოდ აწმყო მდგომარეობა დაისხა. ამისი მაჩვენებელია მისი თხზულების შინაარსი. აქ იგი მტკიცეთ სდგას დაბადებისა და სუკეღესიო მოძღვრების ნიადაგზე³, მაგრამ სცდილობს ამ მოძღვრებას საბჭენი ძველ ბერძნულ ფილოსოფიასშიაც მოუბოოს. კრიტიკული მეთოდით აღჭურვილი, იგი ემუარება ძველი დროის ორს ბუმბერაზ-მოაზრეს—ჰლატონსა და არისტოტელს: ჰირველს მისდევს თავისი ანთროპოლოგიის სპეკულატიურს ნაწილში, მეორეს—ემპირიულში; ჰლატონს ემუარება სწავლაში სულის შესახებ, ხოლო არისტოტელს—სულიერ მოვლენათა შესახებ. მაგრამ ამ ორი ბუმბერაზ-მოაზრის გვერდით ნემესიოსის თხზულებაში ბევრი სხვა ფილოსოფოსის სხეელიც გვხვდება. «ვრცელმა და საფუძვლიანმა ერუდიციამ ნემესიოსს მასცა შეძლება, თავის ნაშრომში დიდძალი ფილოსოფიური და ანთროპოლოგიური იდეები მოეთავსებინა, რომელნიც წინანდელი მოაზრებების მიერ იუვნენ შემუშავებულნი. მართალია,

¹ ეს არის ჰალეში, 1802 წელს, გამოცემული ტექსტი, პროფ. ქრისტინან ფრიდრიხ მატთვის რედაქტორობით. შედეგ აქედან თითქმის უცვლელად გადაუბეღლია Migne-ს თავის Patrologiae cursus completus-ში (t. 40 ser. graec., 1856 an.). ჰალეს გამოცემით უსარგებლნია ბ-ნს ვლადიმირსკის, რომელსაც ეკუთვნის პირველი რუსული თარგმანი ამ თხზულებისა (Поч.:евъ. 1904 г.).

² ორიგენი (185 + 255 წ.) და გრიგოლ ნოსელი (331 + 394 წ.).

³ გარდა საკითხისა სულთა გაჩენის შესახებ.

ნემესიოსს ამ იდეებისათვის თავისი საკუთარი, ორიგინალური არაფერი მიუმატებია, მაგრამ მის ნაშრომში ძვირფასი სწორეთ ის არის, რომ საწარმართო დროის მრავალი იდეა აქ ქრისტიანულის თვალსაზრისით გაშუქებული-მოსაზრებულა და საქრისტიანო სოფელმხედველობის წრეში შემოტანილი». ანტიქრისტიანული აზრები აქ კრიტიკულათ გარჩეული და უარყოფილია, ხოლო ის იდეები, რომელნიც ქრისტიანობას არ ეწინააღმდეგებიან, სისწორით შეფასებული და ღირსეულათ მიღებულია. ასეთია ნემესიოსის თხზულების ისტორიული მნიშვნელობა, რამდენათც კითხვა მის წინამორბედს ქრისტიანე-ანთროპოლოგებს შეეხება. — ხოლო ნემესიოსის თანამედროვე ქრისტიანეთათვის და მათ უახლოეს თაობათათვის ნემესიოსის თხზულება წარმოადგენდა მშვენიერს სახელმძღვანელოს ანთროპოლოგიის შესასწავლად. — რაც შეეხება ამ ტრაქტატის გავლენას შემდეგი დროის ქრისტიანე-მეცნიერებსზე, უნდა შევნიშნოთ, რომ ივლიანე ზომერიუსს, იოფანე დამასკელს, მელეტისა და ერეტრიუსს ამ თხზულებიდან ამოდებული აქვთ არა მხოლოდ სტრიქონები, ცალკე აზრები, არამედ მთელი გვერდებიც კი. — ამ თხზულების ზოგიერთი თავი ჩვენი დროის ქრისტიანეთაგანაც სიამოვნებით წაიკითხვის; ასეთია, მაგალ., პირველი თავი, რომელშიც ავტორს გამოხატული აქვს თავისი შეხედულება მსოფლიოზე და კაცზე, აგრეთვე თავები სულისა და სხეულის შეერთებაზე, ნებისა და უნებლიეთზე, ნებულობის თავისუფლებაზე და განტებაზე. — საზოგადოთ კი ნემესიოსის თხზულება დღეს უურადასაღებია როგორც ისტორიული ძეგლი, რომელშიც მოკლეთ და გასაკებათ გადმოცემულია შედეგები გამოკვლევათა ადამიანის შესახებ ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნემდე¹.

მეორე შკვლევათ, პროფესორი Matthaei, ასე გამოხატავს თავის აზრს ამ თხზულების შესახებ:

«ბევრი საკვირველი და ჭეშმარიტი მსჯელობა წამიკითხავს ამავე კითხვების შესახებ ბერძნის ფილოსოფოსებისა, და უფრო მეტი ბერძენთა საეკლესიო მწერლებისა, მაგალითად: ბასილი დიდისა, გრი-

¹ იხ. ზემოთ დასახელებული თხზულება ბ-ნ გრიგორიევისა გვ. 51—60.

გოლი ნოსედისა, ოქროპირისა, თეოდორიტისი და თვით ორიგენისა, რომელთაც იგივე საკითხები ცალ-ცალკე (ნაწილ-ნაწილ) მშვენივრათა და ვრცლათ აქვთ განმარტებული. მაგრამ უოველივე ეს შეერთებით ბევრათ უფრო მოკლეთ, ზედმიწევნითა და მეტის გამჭრიახობით გარკვეულია ერთს (ამ) წიგნაკში ნემესიოსის მიერ, რომელსაც მრავალი ძველი შეცდომილება დაურღვევიაო»¹.

სწორეთ ამ ღირსებათა გამო ნემესიოსის ტრაქტატი ფრიად გავრცელებული უოფილა აღმოსავლეთის ეკლესიაში; ხოლო მე-XXII-ე საუკუნეში იგი დასავლეთის ქრისტიანთათვისაც უთარგმნიათ ლათინურ ენაზე². იმავე საუკუნეში ეს საუურადღებო თხზულება ქართულადც იქმნა გადმოღებული ფილოსოფოსის იოვანე ჰეტრიწის მიერ.

II

იოვანე ჰეტრიწია და მისი თარგმანი

4. ვინ იყო იოვანე ჰეტრიწი? სად და როდის მოღვაწეობდა იგი? ან რას წარმოადგენს მისი ქართული თარგმანი ნემესიოსის თხზულებისა? აი — მესამე რიგის საკითხები, რომელთაც, აგრეთვე, მიუხედავთ მათდამი ღრმა ინტერესისა, აქ მხოლოდ გაკვრით შეკვხებით³.

მე-XI—XII-ე საუკუნეში მეცნიერულათ მოაზროვნე ქართულ წრეებში ფეხი მოიკიდა და გასლიერდა ეგრეთ წოდებული ნეოპლატონური მიმართულება. ამ მიმართულების მიმდევარნი შეეცადნენ,

¹ იხ. ვლადიმირსკის ზემო დასახელებულს წიგნში „Предисловіе Гальскаго изданія (1802 г.)“, გვ. 18.

² უუძველესი ლათინური თარგმანი ეკუთვნის რიხარდ ბურგუნდიოს, რომელიც 1194 წელს გარდაიცვალა (ibid. 8 და იქვე სხოლიო 1-ელი).

³ გარდა ერთის კითხვისა, სახელდობრ, იმის შესახებ, თუ როდის ცხოვრობდა იოვანე ჰეტრიწი, რასაც შედარებით უფრო ვრცლათ განვიხილავთ, რადგან ამ საკითხთან მკიდროთ დაკავშირებულია იმის გარკვევა, თუ როდის ითარგმნა წინამდებარე თხზულება.

ქართულ ენაზე გადმოქცეული და გავერცელებინათ გამოჩენილ ნეოპლატონურ ფილოსოფოსთან, აგრეთვე არისტოტელისა და სხვათა ნაწერები. თარგმანებს, სმირათ, შესაფერ განმარტებასაც ურთავდნენ და მით ქართულ საზოგადოებაში ფილოსოფიურ თხზულებათა პოპულარიზაციას დიდათ ხელს უწყობდნენ¹. ამ მუშაკათა წრეს ეკუთვნოდა იოვანე პეტრიწი.

მისი ჩამომავლობის შესახებ უეჭველი ცნობები არ მოიპოება: ერთი გარდამოცემით იგი იყო გურიიდან², — და ეს გარდამოცემა თითქოს ჰქოებს გამართლებას მისი თარგმანის ლექსიკაში³. მეორე გარდამოცემა მის სამშობლოდ «დაბა ჭირჭიმს» ასახელებს, სამცხეში⁴; მაგრამ, შესაძლოა, ეს გარდამოცემა აღმოცენებულიყოს იოვანე პეტრიწის მეორე ზედმიტი სახელის «ჭიმჭიმელის» ასახსნელად, რომელიც ნიშნავს „ზეციერს“⁵ და რომლის ეს მნიშვნელობა ბევრისათვის, როგორც სჩანს, უცნო და გაუგებარი გამხდარა.

¹ შეადარეთ ნ. მარრის: *Иоаннъ Петрицскій, грузинскій неоплатоникъ XI—XII вѣка*. Спб. 1909 г., стр. 35—43 და 58—61.

² „ძველი საქართველო“ ტ. I, განყ. III: ამცირე უწყება ქართვ. მწერალთათვის» გვ. 14.

³ ასეთია, მაგალ., სიტყვა „ერცახე“, „გურლი“ (იხ. ლექსიკონი); უკანასკნელი სიტყვა, ნ ა წ ი ლ ი ს მნიშვნელობით, უფრო მეგრულისაკენ მიაქცევს მკვლევარის ყურადღებას. საყურადღებოა, აგრეთვე, რომ იოვანე პეტრიწის მიერვე ნათარგმნსა და განმარტებულს პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“—ში შემდეგს სამუსიკო ტერმინებს ვპოვებთ: მზახრ, ყ ი რ და ბამჲ, რომელნიც უნდა უდრიდენ ქართული გალობის სამ ხმას: პირველს, მეორესა და ბანს (იხ. „კავშირნი“-ს მე-XII-ე საუკუნის ხელნაწერი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“, ბოლოდან მე-8-ე გვერდი, სტრიქონი მე-9-ე ქვემოდან); მეგრულათ: „ყირი“—ორი; მაგრამ, შესაძლოა, სიტყვა „ყირ“ სომხურცი იყოს ძიქი ძლიერი (შეად. მარრის *Иоаннъ Петрицскій...*, стр. 43; примѣч. 1-ое).

⁴ „ძველი საქართველო“ ტ. II, განყ. III, გვ. 40.

⁵ იოვანე ჭიმჭიმელად წოდებულია, მაგალ., ანტონ I-ის კათალიკონის „წყობილისიტყაობაში“, ზემოდასახელებულ „მცირე უწყება“—ში („ძვ. საქ.“ ტ. I, განყ. III, გვ. 14) და სხვ.; საბა ორბელიანის განმარტებით (ლექსიკონი): „ჭიმჭიმელი ესე არს არიას ცა, მესხეთ“. შეად. ნიკ. მარრის *Иоаннъ Петрицскій...*, стр. 4 და ძირს სხოლიო 2: ერთს

იმკვე გარდამოცემით, რომელიც იოვანეს გურულ ჩამომავლობას მიაწერს, ქართული შწერლობა და ბერძნული ეს მას ეურემ მცირის ხელმძღვანელობით შეუსწავლია, რის შემდეგაც საბერძნეთში გაუგზავნიათ «კვლად სწავლისათვის», ე. ი. სწავლის განსაკრძობად¹. უკანასკნელ ცნობას მეორე გარდამოცემაც მხარს უჭერს; ორნივე კი ერთათ გადაჭრით ამბობენ, რომ ის საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც იოვანემ უმაღლესი სწავლა განსაკრძო, ათინა იყო². და ჩვენც საკმაო საბუთი არ მოგვეპოება, უკანასკნელი ცნობის სინამდვილე უარყოფთ: შეიძლება, ახლგაზღა იოვანე ათინაშიაც ყოფილიყოს. მხოლოდ უნდა დავსძინოთ, რომ, როგორც დღეს უკვე დამტკიცებულია, ბაღკანეთის ნახევარ კუნძულზე თვისი უოფნა იოვანე ფილოსოფოსის დაუსრულებია მაკედონიაში, სახელდობრ სოფელ პეტრიტოსს (ქზლანდელი ბაჩკოვი) ქარაულ მონასტერში, რომლისგანაც მიუღია თავისი მთავარი ზედმეტი სახელი: «პეტრიწი» ანუ «პეტრიწონელი»³.

ამ საბიოგრაფიო ცნობათა შორის მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით იმ ცნობას მივაქცევთ, რომელიც ეურემ მცირისა და იოვანე პეტრიწის ურთიერთობას შეეხება, რადგან ამ საკითხის გამორკვევას შეუძლია შეჭი მოჭფინოს იოვანე პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიას, რაც ფრად საჭიროა თვით წინამდებარე წიგნის ქართულად გადმითარგმნის დროის გამოსარკვევადაც.

5. თავდაპირველათ უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული საგნის შესახებ უკვე ერთგვარი ლიტერატურაც არსებობს. ამ ლიტერატურ-

თავის ახალ გამოკვლევაში ბნმა მარმა თითქოს შესაძლოდ სცნო იმ გარდამოცემის მიღება, რომელიც იოვანე პეტრიწის სთვლის «პირკიმელად», თუმცა საამისოდ, თვით გარდამოცემის გარდა, სხვა არავითარი საბუთი არ უჩვენებია. ის. Н. Марр — *Определение языка второй категории ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания*. Спб. 1914 г. § 63 примѣч. 5-ое; თვით § 63-ში განმარტებულია სიტყვა კიმ-კიმ=კიმკიმელ ი=კიმკიმელ ი ანუ ცათა ცაა небо небесъ.

¹ «ძველი საქართველო» ტ. I, განყ. III, გვ. 15.

² «ძველი საქართველო» ტ. II, განყ. III, გვ. 40.

³ მარის Ioаннъ Петрицкій..., стр. 1—2.

რის ერთი ნაწილი იოვანე ჰეტრიწს ეფრემ მცირის მოწაფედ აღიარებს, მეორე ნაწილი კი—პირიქით: ეფრემსა სოფლის იოვანე ჰეტრიწის მოწაფედ. უკანასკნელ აზრს ემხრობა აკადემიკოსი ნიკ. მარრიც. მიუხედავად ამისა, ის საბუთები და მოსაზრებანი, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ, ვგონებთ, საკმაოდ ნათელჰყოფენ, რომ ზემოაღნიშნულს ორ აზრში პირველი უფრო ახლო უნდა იყოს სინამდვილესთან.

აი ეს საბუთები:

ა) თვით მარისავე მოწმობით, ეფრემ მცირეს ჰქონდა შემთხვევა იოვანე ჰეტრიწი თავის მასწავლებლად დაესახელებია (თუ კი უკანასკნელი მართლაც უოფილიუოს მისი მასწავლებელი), მაგრამ იგი ამ საგნის შესახებ სიტყვასაც არა სძრავს; სამაგიეროდ, თავის მასწავლებლად აღიარებს გიორგი მთაწმინდელს¹, რომელიც, როგორც ვიცით, 1066 წელს უკვე ცოცხალი აღარ იყო. ცხადია, მაშასადამე, რომ ეფრემის მოწაფეობა 1066 წლის წინა ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

ბ) მართლაც, როგორც საეკლესიო მწერალი და მოღვაწე, ეფრემ მცირე უმთავრესათ მე-XI-ე საუკუნის მეორე ნახევარშია ცნობილი; უფრო ხშირათ იგი 1080—1090-იანს წლებში იხსენიება²; რუის-ურბნისის კრების ძეგლის-წერაში კი უკვე მიცვალებულია შორის არის მოხსენებული³; მაშასადამე 1103 წელს ეფრემ მცირე ცოცხალი აღარ უოფილა.

გ) უველასკან ცნობილია, რომ იოვანე ჰეტრიწმა სთარგმნა და ვრცლათ განმარტა პროკლე დიადოხოსის «კავშირნი», რომელიც ში-

¹ Иоаннъ Петрицскій..., стр. 36—37.

² თ უორდანი: ქრონიკები, ტ. I, გვ. 214—228; 236.

³ მისივე: ქრონიკები, ტ. II, გვ. 71—72: „...დაუსრულებელისა ნეტარებისა მკვიდრთა ბერთა ჩუენთა: საბაჲ სულაჲს ძისა, და ანტონი ტბელისა, და ეფრემ მცირეჲსა და არსენი მონაზონისა იყალთოელისაჲ საუკუნოჲმცა არს კსენებაჲ და კურთხევაჲ მათიჲ“. —ამიტომ გაუგებარია, რა ნახა სარწმუნო პატივცემულმა გამომცემელმა თარიღარულ წარწერაში, რომელსაც თავის „ქრონიკების“ I ტომის 225-ე გვერდზე იხსენიებს და შემდეგ კიდევ იმეორებს 1114 და 1116 წლებს ქვეშე (გვ. 241).

ნაარსით ფრიად რთულს და განუგებულს დიალექტიკას წარმოადგენს¹; სოლო, როგორც ამ „კავშირნი“-ს ბოლოსიტუვაობაში ამბობს, მასვე უთარგმნია ნემესიოსის წიგნიც «ბუნებისა-თჳს კაცისა»²; ამას გარდა მარისავე მოწმობით, იოვანე ჰეტრიწს მიეწერება არისტოტელის თხზულებათა Τὰ τριὰξ და Περὶ ἐρμηνείας ქართულად გადმოღებაც³. ერთი სიტყვით, იოვანე ჰეტრიწი ცნობილია, როგორც ფრიად ნაყოფიერი მთარგმნელი საფილოსოფოსო თხზულებათა ბერძნულიდან ქართულად. და, თუ იგი მართლა ეფრემ მცირის მასწავლებელი უოფილიყო, რაღა თქმა უნდა, მოწაფეს (ისე როგორც, საზოგადოთ, მე-XI-ე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართველებს) კარგათ ეცოდინებოდა, რომ ზემოდასახელებული საფილოსოფოსო თხზულებანი ქართულს ენაზე უკვე არსებობდნენ. მაგრამ რას ვხედავთ? ეფრემ მცირე სთარგმნის იოვანე დამასკელის «დიალექტიკასა» და «გარდმოცემას»⁴ და წინასიტუვაობაში კათეგორიულათ ამბობს, რომ მანამდე «სხუაჲ არა რაჲ ოდეს თარგმნილა (ქართულსა ენასა ზედა) საფილოსოფოსოთა წიგნთაგანი»⁵. აქედან აშკარაა, რომ იმ დროს, როცა, თარგმნაში უადრესათ დახელოვნებული, ეფრემ მცირე⁶ საქრისტიანო მოძღვრების ქვაკუთხედს, იოვანე დამასკე-

¹ Иоаннъ Петрицкій..., стр. 34.

² იქვე, გვ. 35.

³ იქვე, გვ. 4.

⁴ ამ თხზულების ზოგიერთი თავი ნემესიოსის წიგნის ზოგიერთ თავთა გამოვრებას წარმოადგენს. ეს თავები ეფრემის თარგმანიდან დაშლადებული გვაქვს დასაბუქდად.

⁵ იხ. საეკლესიო მუხეუმის ხელნაწერი № 24, ფურც. 1, გვ. 1, სვეტი ბ; შეად. ე. თაყაიშვილის: Описание рукописей О-ва распространения грамотности среди грузинскаго населения, т. I, вып. 4, стр. 712.

⁶ ჩვენ დაახლოებით გავიცანით ეფრემის მიერ ნათარგმნი დამასკელის თხზულება (საეკლ. მუხ ხელნაწერი № 24), მისი ერთი ნაწილი დასაბუქდადაც გადმოვსწერეთ,—და დავრწმუნდით, რომ ესეთი უნაკლებო თარგმანი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ისეთს პირს, რომელიც ენათა ცოდნაში და თვით თარგმანის ტექნიკაში უადრესათ დახელოვნებული, თითქმის ამ საქმეში დამსცოვნებული, უნდა ყოფილიყო.

ღის დოღმატიკასა და ფილოსოფიას, სთარგმნიდა, იოვანე ჰეტრიწი ჟერ კიდევ სრულიად უცნობი უოფილა ფილოსოფიურათ მოაზროვნე ქართველ მწიგნობართა წრეებში. ამიტომ გაუგებარია, როდის-და უნდა გამხდარიყო ჰეტრიწი „მოძღვრად“ ეფრემ მცირისა? ნუ თუ მაშინ, როცა უკანასკნელმა უკვე განვლო თვისის სამწერლო ნიჭის განვითარების უმთავრესი პერიოდი, თვისის სამწერლო მოღვაწეობის უნაყოფიერესი ხანა, და, დაფნის გვირგვინებით ჭაღარაშემკული; მშვიდობიანათ ღუგდა თვისის სიცოცხლის უკანასკნელს დღეებს?! ერთი სიტყვით, ძნელი დასაჯერებელია, უკეთ, უოფლად შეუწინარებელია ის აზრი, ვითომც ეფრემ მცირე იოვანე ჰეტრიწის მოწაფე უოფილიუოს.

დ) სმაგაეროთ, თვით ეფრემ მცირე ზემოთ დასახელებულის «გარდმოცემის» ერთ-ერთ მინაწერში, რომლის ტექსტი თვით ეფრემს ეკუთვნის, ფრიად საკულისხმო ცნობას იძლევა, რომელსაც შეუძლია, ჩვენთვის საინტერესო და სადაფო საგანს შუქი მოჭყინოს. სახელდობრ, თვის «თანამოღვაწეთა, თანაზრდილთა და მსახურთა» შორის იგი იხსენიებს: «აჩსენ იუაღთოელს, იოვანეს და (კიდევ) იოვანე ხუცესთა და სტეფანე დიაკონს»¹. შესაძლოა, ერთი ამ იოვანეთაგანი უოფილიუოს ეფრემის უცნობი თანამედროვე და, გარდამოცემით, მის მიერვე ქართულს მწერლობასა და ბერძნულს ენაში განწაფული, ახალგაზდა იოვანე ჭიმჭიმელი, შემდეგში «ჰეტრიწად» სახელდებული².

¹ საეკლ. მუხ. ხელნაწერი № 24, ფურც. 138. გვ. 2: ანდერძი ეფრემ მცირისა. შეად. თ. ჟორდანიას „ქრონიკები“ ტ. I, გვ. 219.

² ნიკ. მარარს მოჰყავს ანტონ I კათალიკოზის წყობილსიტყუაობის ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია:

იტყვს თ ვ თ ე ფ რ ე მ მოძღუარ ყოფსა თვსად
იოანესა საღმრთო ფილოსოფოსის.

აქედან პარტიკულური მეცნიერი დაასკვნის, რომ «это предание (ე. ი. გარდამოცემა, რომ ჰეტრიწი მოძღვარი იყო ეფრემისაო) восходитъ къ самому Ефрему (Іоаннъ Петрицкій..., стр. 37). მაგრამ «წყობილსიტყუაობის» მთლიანათ შესწავლა და თვით ამ ადგილის კონტექსტით განხილვა ნებას არ გვაძლევს, პარტიკულურს მეცნიერს დავე-

ე) როგორც ეს გარდამოცემა, ისე ჩვენნი უკანასკნელი ჰიზოთუ-ტორი დასკვნა ჰარმონიულად ეთანხმება იმ ფაქტს, რომ პეტრიწო-ნის მონასტერი (მაკედონიამი), რომელთანაც მჭიდროდ დაკავშირე-ბულია იოვანე ჭიმჭიმელის სახელი („პეტრიწი“) და სამწერლო-სამე-ცნიერო მოღვაწეობის დასაწყისი, დაარსებულ (თუ განხლებულ) იქ-

თანხმობთ: მართლაც ამ ორ სტრიქონში ეფრემის მასწავლებლად დასახე-ლებულია „იოანე ს ა ღ მ რ თ ო ფილოსოფოსი“; ამ ეპიტეტს კი ან-ტონი კათალიკოზი „წყობილისიტყუობაში“ ერთხელაც არ მიაწერს იოვან-ნე ჰიმჭიმელს, თუმცა გრძლად და ენამზიანათ შეაქებს მას და უწოდებს „ფილოსოფოსს“, „ჰეშმარიტ ფილოსოფოსს“, მაგრამ არ ასოდეს „საღმრთო ფილოსოფოსს“; ამ ეპიტეტს იგი ხმარობს მხოლოდ ი ო ა ნ ე პ ა ტ რ ი კ ყ ო ფ ი ლ ის ა თ ვ ის, რომელსაც სასტიკად განარჩევს იოვანე ჰიმჭიმელ-პეტრიწისაგან. ჩვენ ხელთა გვაქვს „წყობილისიტყუა-ბის“ ხუთი ხელნაწერი (ქართვ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებისა № № 1, 346, 1477, 3685 და 121), რომელთაგან უძველესი (№ 1) გადაწერი-ლია 1745 წელს, — და არცერთს მათგანში (სწორედ ისე, როგორც არც იმ ნაბეჭდ „წყობილისიტყუობაში“, რომლითაც ნიკ. მარჩი სარგებლობს) იოვანე პეტრიწი-ჰიმჭიმელი არასოდეს „ს ა ღ მ რ თ ო ფილოსოფოსად“ არაა წოდებული, იოანე პატრიკ-ყოფილი კი ყველგან „საღმრთო ფილო-სოფოსად“ იხსენება. ცხადია, მაშასადამე, რომ ეფრემის მოძღვრად ან-ტონი I სთელის იოანე პატრიკ-ყოფილს და არა იოვანე პეტრიწს, — და ეს გარდამოცემა, შესაძლოა, მართლაც თვით ეფრემის რომელსავე წერილობითს მოწმობაზე იყოს დამყარებული („восходитъ къ самому Ефрему“). შესაძლოა, იოანე „პ ა ტ რ ი კ ყ ო ფ ი ლ ა დ“ ანტონ კა-თალიკოზს მიეღოს ის მესამე იოვანე „ფ ა რ ა კ ე ლ ი“, რომელსაც ეფრემ მცირე იხსენიებს ზემოდსახელებული თარგმანის წინასიტყვაობა-ში (საეკლ. მუხ. ხელნაწ. № 24, ფურცელი 4, გვ. 1, სვეტი ა—ბ) და ამბობს, რომ ახალი პუნქტუაცია ქართულ მწერლობაში ამ იოვანეს „ბრძანებით“ შემოვიტანეო (შეად. „ქრონიკები“ I, გვ. 218).

რაც შეეხება ზაქარია გაბაშვილის მოწმობას, რომელიც ამბობს: „ეფრემ მცირე, მოწაფე იოანე პეტრიწისაო“ („ქრონიკები“ I, გვ. 225), — ვგონებთ, აქ ზაქარია ანტონი კათალიკოზის ზემოგარჩეულს სიტყვებს უნდა ემყარებოდეს და, როგორც სჩანს, ეს სიტყვები მასაც შეეღობათ გაუ-გია. ამასთანავე ფრთად საგულისხმოა, რომ ზაქარია გაბაშვილი არ იც-ნობს ეფრემის მთავარს ნათარგმნს თხზულებას „დიალექტიკასა“ და „გარდმოცემას“, თუმცა იქვე ეფრემის სხვა ნათარგმნები ჩამოთვლილი

ზნა გრიგოლ ბაკურიანის მიერ 1083 წელს¹, ე. ო. სწორეთ იმ ათეულში, რომელსაც კეკელის, როგორც ზემოთ ვხსნეთ, ეფრემ მცირის სალიტერატურო მოღვაწეობის საუკეთესო ხანა, მისი სამწერლო ნიჭის მძაფრათ გადაშლისა და უადრესათ განვითარების პერიოდი. სწინს, ამ დროს, ეფრემის მიერ ქართულსა და ბერძნულ ენაში განწყოფილი ახალგაზდა სუცესი იოვანე ჭიმჭიმელი, აიონაშკა გაგლის შემდგომ, ახლად დაარსებულს (თუ განასლებულს) პეტრიწონის მონასტერში დაბინაგებულა და დაუწვია თვისი ფრიად ნაყოფიერი სამწერლო და სამეცნიერო მოღვაწეობა. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო, როგორც სწინს, არა უადრეს 1083 წლისა, მაგრამ, შესაძლოა, არც უგვიანეს მე-XI-ე საუკუნის დასასრულისა. შესაძლებელია, ამ მონასტერში ყოფნის დროს ეთარგმნოს იოვანეს ის თხზულებანი, რომელნიც ნიკ. მარის სიაში 1—7 ნომრებ ქვეშ არიან აღნიშნულნი²; ნემესიოსის წიგნის შესახებ კი ერთი წერილობითი გარდამოცემა გვეუბნება, რომ ეს თხზულება იოვანე პეტრიწს გადამოუღია (ბერძნულიდან ქართულად) «კელდინსა შინა გაენათისასა»³, მ. შასადაძე, სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, ჩვენი თქმით, არა უადრეს მე-XII-ე საუკუნის დასაწყისისა, მაგრამ, შესაძლოა, არც უგვიანეს ამავე საუკუნის პირველი მეოთხედისა. ვამბობთ: «შესაძლოა, არა უგვიანეს მე-XII-ე საუკუნის პირველი მეოთხედისა», რადგან, როგორც «ქართლის ცხოვრების» უძველესი ვარიანტი მოწმობს, პეტრიწს უცოცხლნია დავით აღმაშენებელის გარდაცვალებამდე († 1125 წ.) და მოსწრებია მისი შვილის დიმიტრი I-ელის მეფობას, რომ-

აქვს. ეტყობა, ზაქარია გაბაშვილს სრული წარმოდგენა არა ჰქონია ეფრემის სამწერლო მოღვაწეობაზე.

¹ მარის Ioannъ Petрицскій..., გვ. 2.

² იხ. Ioannъ Petрицскій..., სტრ. 4.

³ იხ. ხელნაწერი A², ფურც. 280ა (==თაყაიშვილი: „Описание рукописей О-ва распространения грамотности ср. груз. населения“, т. I, вып. 4, сტრ. 723): „ელლადელთ კმათაგან გადმოიცა ესე ქართულად საკვირველისა ჭილოსოფოსისა ჩუცნისა პეტრიწისა მიერ, იოანედ სახელდებულისა, კელდინსა შინა გაენათისასა“.

ლისთვისაც ლექსად ხოტბაც მიუძღვნია¹,—მაგრამ აღარა სჩანს, მის მიუთუბაშიაც კიდევ დიღხანს უცხოცხლნია, თუ არა. ამიტომ იოვანე ჰეტრიწის სამწერლო მოღვაწეობის დასასრულად ჩვენ მიგვაჩნია დამიტრი I-ელის მიუთუბის ჰირველი წლები, ანუ 1126 წლის მასლობელი დრო. შესაძლოა, მისი სიცოცხლის დასასრულიც ამავე დროს ეკუთვნოდეს.

სამშობლოში დაბრუნების შემდგომ უთარგმნია იოვანეს ჰროკლე დიადოხოსის „კავშირნი“-ც, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, როცა ამ თხზულების გადმოღებას შესდგომია, მას უკვე დამთავრებული ჰქონია ნემესიოსის ტრაქტატის ქართული თარგმანი².

ამგვართ, ჩვენი მთავარი დასკვნა შემდეგია: იოვანე ჰეტრიწის სამწერლო და სამეცნიერო მოღვაწეობა ეკუთვნის უმთავრესად დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125 წ.); ამ პერიოდის მეორე ნაწილი, სახელდობრ მე-XII-ე საუკუნის პირველი მეოთხედი, მას სამშობლოში გაუტარებია; და, აი, სწორეთ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ნემესიოსის ტრაქტატის გადმოღება ბერძნულიდან ქართულად.

6. თხზულება ნათარგმნია ბერძნული დედნიდან: ამას ამტკიცებს თვით თარგმანის ენა, რომელშიაც სკამართ მოიპოება, როგორც საგრამატიკო ელდინიზმები³, ისე უთარგმნელად დატოვებული ბერ-

¹ მარიამ დედოფლის ვარანტი „ქ.-ცხოვრებისა“, ე. თაყაიშვილის რედაქციით 1906 წ., გვ. 364, სტრიქ. 4—6: „...დიდებითა: სიმენითა: და: გუარითა: ცხოვრებისათა: აღმოაჩენს: იოვანე: ფილასოფოსისა: კიმპიომელისა: შესხმა: მოთხრობა: დიმიტრისა: მკნესა: კლომათა: შინა: და: მძლესა: ბრძოლასა: შინა:....“.

² Иоаннъ Петрипскій..., стр. 35, სტრიქ. 12—13.

³ არც ადგილი და არც საზუალება ნებას არ გვაძლევს ქართული თარგმანის ამ მხარეს ვრცლათ შევხვით: არცერთი ბერძნული გამოცემა ხელთ არა გვაქვს და იძულებული ვართ იმ მასალებს დავეყაროთ, რომელნიც რუსული თარგმანის ტექსტში და შენიშვნებში მოიპოება (აგრეთვე „Словарь“-ში, რომელიც რუსულ თარგმანს აქვს დართული). როგორც თვით მთარგმნელი მოწმობს, რუსული ტექსტი ბერძნული დედნის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოცემა (Предисловіе, стр. XXXIV: «...мы старались, по возможности, держаться буквы греческаго текста...»); ხოლო, სადაც, თარგმანის ტექსტში, მხოლოდ დედნის ახ-

ძნული სიტყვები¹; ამასვე ნათელჰყოფენ ის ქართული ტერმინებიც, რომელნიც მათის საბაძლო ბერძნული ტერმინების გვერდით არიან ნაწარმოები ქართული ძირებისაგან².

საზოგადო: შედგენილობა. იმ ბერძნული დედნისა დასწოებით ისეთივე ეოფილა, როგორიც აქვსთ დღემდე ცნობილ სრულ გამოცემათ³: იქ სავსებით, ან თითქმის სავსებით, წარმოდგენილი ეოფილა ნემესიოსის თხზულების ის ტექსტი, რომელიც ცნობილს გამოცემებში 4± თავად დაბეჭდილია⁴; მხოლოდ დროთა განმავლობაში ქართული თარგმანიდან მე-43-ე თავის ტექსტი სრულიად დაკარგუ-

რია გადმოცემული, იქვე სხოლიოზი იმავე ადგილის სიტყვასიტყვით თარგმანიცაა წარმოდგენილი, ხშირათ თვით ბერძნული ტექსტიც მოყვანილია. როცა ამ მასალებს ქართული თარგმანა შეუდარეთ, უკანასკნელში საკმაოთ აღმოჩნდა ტუხნიკური ხასიათის საგრაამატოკო ელიონინზმები, მაგალითად: „მებრ დანახეთქითა“=αααα σχχσν, „მებრ დაუღლით“, „მებრ დახულომით“, ან კიდევ: „მებრ დახულომისა-ებრ“ და სხვანი (იხ. ეს სიტყვები ლექსიკონში). იმედია, როცა ჩვენი სპეციალისტები წინამდებარე ტექსტს ბერძნულ დედანს შეუდარებენ, ამგვარ ელიონინზმთა რიცხვი კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება ქართულ თარგმანში.

¹ იხ ჩვენს ლექსიკონში: ადენესი, ავტომატობაჲ, აკალიფადი, აირი, არტირიაჲ, ასთაკვ, დრასტიკაოჲ, ეთერი, ექსორიაჲ, ვრონხოჲ, ხმულნი და მრავალნი სხვანი.

² იხ. ჩვენს ლექსიკონში, მაგალ., სიტყვები: ამფსმელი, ერთტომი, ზღვს-სახე, თაგუნი-მყენი (=მნჯ) და სხვანი.

³ გეულსხმობთ შემდეგ გამოცემ:თ: ა) ანტვერპენისას 1566 წლისა (რუს. თარგმ. Предисловіе, стр. XXX—XXXI), რომლის გვერდებიც ნაჩვენებია რუსული თარგმანის არშიებზე; ბ) მატოისას, ჰალეში, 1802 წლისა, რომლის თარგმანსაც წარმოდგენს რუსული ტექსტი (იქვე, გვ. XXXIII) და გ) გამოცემას მინისას (Patrologiae cursus completus, t. 40 ser. graec., 1858 an.), რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება წინა გამოცემისაგან (იქვე. XXXIII).

⁴ ვამბობთ «თითქმის სავსებით», რადგან, როგორც ეტყობა იმ დედანში არ უნდა ყოფილიყო ის რამოდენიმე სტრიქონი (მეორე თავისა), რომლებიც არცერთ ქართულ ხელნაწერში არ მოიპოება და რომელთ მოკლე შინაარსიც, რუსულიდან ამოღებული, ჩვენს გამოცემაში მოთავსებული გვაქვს მე-32-ე გვერდის სხოლიოზი (**).

და¹, ხოლო მე-44-ე თავისა მცირეოდენიდა ნაწილი დარჩენილა²; რამოდენიმე სტრიქონი დაჰკლებია ბოლოში მე-42-ე თავს³ და რამოდენიმე გვერდი ამოვარდნილა, აგრეთვე, მე-2-ე თავიდანც⁴. მაგრამ იმ ტექსტში თავების სათვლავი და რიგი მთლათ ისეთი არ უოფილა, როგორც ზემოთ დასახელებულ გამოცემებშია წარმოდგენილი⁵.

დენის ამგვარი შედგენილობა ჩვენს მთარგმნელს ხელუხლებელი დაუტოვებია და თავების რიგიც უჩვეულათ მიუღია; დიდი სიფრთხილით მოქცევა, აგრეთვე, ბერძნული დენის სტილსაც, განსაკუთრებით სპეციალურ და ტექნიკურ ტერმინებს, რომელნიც სიტყვა-სიტყვით უთარგმნია, ან სრულიად უთარგმნელი შემოუტანია ქართულ ტექსტში. თუმცა, სადაც საჭიროდ დაუნახავს, აქა-იქ ტექსტი შეუცვლია, მაგრამ ისე კი, რომ დენის აზრი მცირეოდენათაც არ დარღვეულიყო⁶.

¹ იხ. მისი მოკლე შინაარსი ჩვენი გამოცემის გვ. 168.

² იხ. ჩე. გამოც. გვ. 171—173.

³ რაც ჩვენს გამოცემაში კორპუსითაა დაბეჭდილი, გვ. 167—168.

⁴ სახელდობრ პითაგორის შეხედულების გარჩევის ბოლო და ევზომიოსის აზრის გარჩევის დასაწყისი, იხ. გვ. 40—42, სხოლიოები; იქვე გვაქვს აღნიშნული, თუ როგორ შეუცვლია ვადამწერს დანარჩენი ტექსტი ევზომიოსის მოძღვრების კრიტიკისა.

⁵ იხ. ჩვენი გამოცემის ბოლოში მე-IV-ე დამატება: „ხელნაწერის თავთა საძიებელი ჩვენსა და რუსულ გამოცემაში“ გვ. 230—231.

⁶ ასე იქვეა პეტრიწი იმ შემთხვევაში, როცა გრძნობს, რომ ესა თუ ის უხერხული მაგალითი ბერძნული ტექსტისა ქართველ მკითხველზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენს, შეიძლება მკითხველის ხეობრივი შეგნებაც შელახოს. აი ნიმუში:

«Душа занимает мѣсто художника, тѣло—инструмента; матерія есть тѣ, около чего сосредоточивается дѣйствіе, совершеніе же есть самое дѣйствіе. [Такъ, напр., какъ матерія—подлежитъ женщина, ибо на ней сосредоточивается дѣйствіе,—

«ულსა წესი უყარის კლოვინსაჲ, ხოლო სხეულსა — ორღანოჲსა; ნივთ უკუჲ არს, რომლისად თვთ საქმე იგი; ვითარ რაჲ: ნივთად წინამდებ არს შეშაჲ, ხოლო

საზოგადოთ, ჩვენი შთარგმნელი არ იფიქრებს იმ აუდიტორიას, რომლისთვისაც შთარგმნის: აქა-იქ ძნელი. აზრებისა და ფრაზების ნათელსაყოფელად საკმაოთ ვრცელს განმარტებას იძლევა (სსოლიო-ეზად, არშებზე), რაც შკითხველს უადვილებს მისი თარგმანით სარგებლობას¹.

ერთი სიტყვით, იოვანე პეტრიწი ზედმიწევნით სწორი და კეთილსინდისიერი მთარგმნელია, მაგრამ ბერძნული დედნის ბრმა მონაწილეა. მას სწამს, რომ ღრმა საფილოსოფოსო და სამეცნიერო აზრები და ცნებანი ქართულთავე შეიძლება გამოხატოს, ბერძნულს სამეცნიერო ტერმინს შესაფერი ტერმინი ქართულთავე გამოკუთხოს ან, თუ არ მოეპოება, ქართულთავე ძირიდან შეითხზას²; მაგრამ ამასთანავე იგი არ არის «ასოთ-თაყვანის-მცემელი», რომელიც ისე თრთოვანად დედნის ყოველი ფრაზისა და სიტყვის წინაშე, რომ დედნის წინააღმდეგ თარგმანში რაიმე ცვლილების შეტანა მომავლიდებოდა ცოდვად მიაჩნდეს. იოვანე ჭიმჭიმული ამგვარ მთარგმნელთა რიცხვს არ ეკუთვნის: იგი შეგნებული მთარგმნელია, რომელსაც მშვენიერათესის, როგორც ძალა-სიმდიდრე იმ ენისა, რომელზედაც შთარგმნის; აგრეთვე თვისი მოვალეობა იმ საზოგადოების წინაშე, რომლისათვისაც მისი თარგმანი დანიშნულია³.

дѣйствіе же есть прелюбодѣяніе, или а მის - თ ვ ს მ ო კ მ ე დ ე -
 блудъ, или законное сожителство» ბ ა დ — ხ უ რ ო ვ ნ ო ბ ა ჯ
 (რუს. თარგმან. 90). (ჩვენი გამოც. გვ. 71).

¹ ასეთი შენიშვნა-განმარტებანი სხვა ჰირთაქ ეკუთვნის და ეს გარემოება, სამწუხაროთ, აძნელებს იმის გამორკვევას. თუ ამ განმარტებათა შორის რომელი ეკუთვნის იოვანე პეტრიწსა. (იხ. მე-V ე დამატება ამ წიგნის ბოლოში).

² საზოგადოთ იოვანე პეტრიწის თარგმანთა ენის დახასიათება იხ. ნიკ. პაროსი Иоаннъ Петрицкіи..., стр. 33—35.

³ რომ ჩვენი წარმოდგენა იოვანე პეტრიწის მთარგმნელობაზე უფრო სრული იქნეს, შევნიშნავთ, რომ იოვანე ამ დარგის თხზულებათა თარგმანში უმწეო არ იყო: მას, უეპველია, ხელთ ექმნებოდა თვისი უფროსი თანამედროვის (და მასწავლებლის) ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი თხზულება იოვანე დამასკელისა „გარდმოცემაჲ“, რომლის 26—43 თავები შინაარსით ნემესიოსის წიგნის შემოკლებულს გადმოცემას წარ-

7. ახლა ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა ჰქონია ამ თხზულების თარგმანს ძველად ქართველი საზოგადოებისათვის? ან რა ინტერესს წარმოადგენს იგი დღეს, ჩვენი დროის ქართველობისათვის? სამწუხაროდ, უნდა თავიდანვე შევნიშნოთ, რომ ჰიბრადპირი ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენათ გავრცელებული ეოფილა ნემესიოსის თხზულება ქართველთა შორის, ჩვენ არ მოგვეპოება. ამიტომ იძულებული ვართ, არაჰიბრადპირს წყაროებს მივმართოთ. ერთ ამგვარ წყაროს წარმოადგენს, სხვათა შორის, აღნიშნული თხზულების დღემდე შენახულ ხელნაწერთა შესწავლა და დაკვირვება¹. ამ დაკვირვებიდან შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მე-18-ე საუკუნის დამდეგამდე (და შემდეგაც) ქართველთა შორის ამ თხზულებისადმი ცხოველი ინტერესი არ მოსპობილა. ფილოსოფიურათ მოაზროვნე ქართველები ნემესიოსის წიგნს დიდის მოწიწებით ეპურობოდნენ, როგორც ერთგვარს ენციკლოპედიას, რომელშიაც თავმოყრილი იყო ძველ ბერძნის ფილოსოფოსთა სიბრძნე მოძღვრება კაცის ბუნების

მოადგენენ (საეკლ მუხ. ხელნაწერი № 24. ფურც. 64ხ -- 78ა); ხელთ უნდა ჰქონოდა, აგრეთვე, უკვე მე-X-ე საუკუნემდე პირველათ ნათარგმნი და შემდეგ მე-XI-ე საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის მიერ მეორეთ გადმოღებული თხზულება გრიგოლ ნოსელისა: „კაცისა შესაქმისა-თჳს“ (იხ. შატბერდული ხელნაწერები: წ-კ. საზოგადოებისა № 1141, გვ. 2 — 121 და საეკლესიო მუხუდმისა № 78, გვ. 247—419). ამ თხზულებებში, განსაკუთრებით დამასკელის „გარდმოცემა“-ში მრავლათ მოიპოება საანატომიო, საფიზიოლოგიო და საპსიხოლოგიო ტერმინები.

¹ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ დრომდე შენახულ სამი ხელნაწერიდან (AA¹A²) ორი უკანასკნელი მე-18-ე და მე-19-ე საუკუნეშია გადაწერილი. როგორც სჩანს, არა პირდაპირ A-იდან, არამედ სხვა პირის მესაშვალეობით, თვით ის გარემოება, რომ უძველეს ხელნაწერთაგან ჩვენამდე მხოლოდ ერთს ეკზემპლიარს (A) მოუწვევია (და იმასაც ღიდათ დაზიანებულს), შესაძლოა, იმის პაჩვენებელი იყოს, რომ ამ თხზულებას ქართველთა შორის დიდი გასავალი ჰქონია, ხელიდან ხელში საგოგმანებელი გამოხდარა, რის გამოც სხვა უძველესი ხელნაწერები, ხშირი ხმარებისა გამო, გაკვეთილან და აღარ შენახულან. მოიგონეთ „ვეფხისტყაოსნის“ ბედი, რომლის არცერთი მე-17-ე საუკუნეზე უძველესი ხელნაწერი არ შენახულა.

შესახებ, ქრისტიანული თვალსაზრისით გაშუქებული¹. ვგონებთ არ შეეცდებოთ, თუ ვიტყვით, რომ ძველად ბერძნის ფილოსოფოსთა აზრები მარადმოდრწმუნე ქართველთა შორის უფრო ამგვარი წიგნების შემწეობით გრცელდებოდა², ვინემ თავით საფილოსოფოსო ტრაქტატების ჰინდაპირი თარგმანებით³. ამიტომ საფიქრებელია, რომ იმ წუთათა შორის, რომელთა გაუღენითაც მე-XII-ე საუკუნის ქართულ საერო მწერლობაში პლატონური და, საზოგადოთ, ფილოსოფიური იდეები შემოსულა⁴, არა მცირედი წილი პეტრიწის მიერ ნათარგმნს ნემესიოსის წიგნსაც უნდა ჰქონოდაც. კიდევ უფრო მეტი უნდა უოფილიუოს ამ წიგნის გაუღენა მე-XII—XVIII-ე საუკუნის ქართულ სასულიერო მწერლობაზე. მაგრამ ამ საკითხს ცალკე გამოკვლევა სჭირია, რომლისთვისაც აქ არც დრო მოგვეპოება და არც ადგილი. ამასთანავე, სიმართლე მოითხოვს შევნიშნოთ, რომ აღნიშნული საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობა ჯერ-ჯერობით იმდენათ შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია, რომ მარტო დრო და ადგილი, თუნდ კიდევაც გვექონოდა, აქ მაინც ვერას გვიშველიდა⁵.

¹ თავის მოწიწებითს აღტაცებას ამ წიგნის მკითხველები ზოგჯერ იქვე გარეთ კაბადონზე წააწერდნენ ხოლმე, როგორც მოქცეულა, მაგალ., A-ხელნაწერის მკითხველი, რომელიც სწერს: „ვითართა ვითარისა გამომეტყუელთა სიბრძნისათა ესე არს!“ (იხ. A, ყდის შემდგე პირველი ფურცელი, გვერდი პირველი, მხედრული წარწერა მე-17—18-ე საუკუნისა).

² მაგალ., მოვიგონოთ ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი თხზულებანი იოვანე დამასკელისა: „დიალექტიკა“ და „გარდმოცემაჲ“, რომელთაგან პირველი წარმოადგენს ლოლიკას არისტოტელის თანახმად.

³ ყოველ შემთხვევაში გადაჭრილი ცნობა იმის შესახებ, რომ ძველ ფილოსოფოსთა თხზულებანი ქართულათ ითარგმნებოდნენ, ჩვენ ჯერ-ჯერობით მარტო არისტოტელის „ტოპიკისა“ და „პერიფერინის“ შესახებ მოგვეპოება.

⁴ იხ. ნიკ. მარის I. Петрииск., გვ. 42, სტრიქონი 5—7.

⁵ ამ წიგნის გავრცელების ხარისხს მე-17—18-ე საუკუნის ქართველ მწიგნობარ-მკითხველთა შორის რამოდენათმე მოწმობს ის გარემოებაც, რომ ცნობილი ლექსიოგრაფი საბა-სულხან ორბელიანი მრავლად იღებს მასალას და ხსნის სიტყვებს ნემესიოსის წიგნიდან (იხ. მაგალ. მის ლექ-

ამიტომ ჰინდაჰინ გადავდივართ მეორე საკითხზე, რომელიც ამ საკითხთან შეკავშირებულია, სახელდობრ: რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ნემესიოსის ქართულ თარგმანს დღეს, რა ინტერესს უნდა წარმოადგენდეს იგი თანამედროვე ქართველებისათვის?

8. რალა თქმა უნდა, წინამდებარე თარგმანის მთავარი მნიშვნელობა დღეს საისტორიო და სამეცნიეროა. ქართული „მეტყველების“ (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) შეკვლევას იგი აწვდის ფრიად საინტერესო მასალას იმგვარი საკითხების გამოსარკვევად, როგორცაა, მაგალითად: ბიზანტიურ და ქართულ კულტურათა ურთიერთობა, ჰირველის გავლენა უკანასკნელზე და უკანასკნელის მიერ ჰირველის შუთვისების ხარისხი. საუურადღებოა ეს ძეგლი, როგორც ერთი იმ მრავალ წყაროთაგანი, საიდანაც საზრდოობდა ჩვენს წინაპრების სოფელმხედველობა მთელი საუკუნეების განმავლობაში; ამ მხრით იგი ერთგვარი საზომია გონებრივი კულტურის იმ სიმადლისა, სადამდისაც სწვდებოდა მოწინავე ქართველის გონება მე-XII—XVIII-ე საუკუნეებში. კერძოთ, საინტერესო მასალას იძლევა ეს თარგმანი იმ სამეცნიერო და სამეცნიერო სკოლის დასასასიათებლად, რომელსაც ეკუთვნოდნენ თვით იოვანე ჰეტრიწი, მისი უფროსი თანამედროვენი: ეფრემ მცირე და არსენი იყალთოელი, ცოტა უფრო ადრე იოანე ჰატრიკ-ყოფილი «სადმრთო ფილოსოფოსი» (მოძღვარი ეფრემ მცირისა), იოანე ტარიჭისძე (თანამედროვე დავით აღმაშენებლისა) და სხვანი¹. მაგრამ განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ეს თარგმანი ქართული ენის მკვლევართათვის: არ შეეცდებით, თუ ვიტყვით,

სიკონში შემდეგი სიტყვები: აღენეს, აკალიფადი, ასო, ბლაგვი, გარდაცემა, დრასტიკო, ეთნო, ერმაული, ვრონხო და მრავალნი სხვანი). ეს გარემოება ჩვენზე ადრე აღნიშნული აქვს ბ. ე. თაყაიშვილს (იხ. მისი: *Описание рукописей... I, стр. 703*).

ამ წიგნით უნდა ესარგებლნოს, ვგონებთ, «კალმასობის» ავტორსაც.

¹ შეად. მაროსი I. Петрицк., გვ. 57—58. ხოლო რომ ეფრემის მოძღვარი იყო იოვანე ჰატრიკ-ყოფილი «სადმრთო ფილოსოფოსი», ამაზე იხ. ანტონ I-ის «წყობილისიტუაობა» (A, ხანა 746 და შეუდ. ხანა 723, ტაეპი მე-4).

რომ იმ ძეგლთა შორის, რომელთაც ჩვენ დრომდე მე-XI—XII-ე საუკუნიდან მოუწევია, არცერთი არ შეიცავს ისეთს უხვსა და მრავალმხრივს ლექსიკურ მასალას, იმდენს, ერთათ თავ-მოურილს, შეტაფიზიკურ-ფილოსოფიურს, განსაკუთრებით ჰსიხოლოგიურს და ანატომიურ-ფიზიოლოგიურს, რამოდენათმე სამთემატიკო და სხვა სამეცნიერო ტერმინს, რამდენსაც—ჰეტრიწის მიერ ნათარგმნი „ბუნების-სა-თვს კაცისა“. ამ მხრით აღნიშნული თარგმანი დიდათ საუკრადლებთა არა მარტო ქართული ენის მკვლევარ-თეორეტიკოსთათვის, არამედ უველა იმათთვისაც, ვინც დღეს პრაქტიკულათ ჩამუყლია ქართულ სამეცნიერო მუშაობაში და სცდილობს, დედაენის უოველმხრივს გამდიდრებასა და განვითარებას შეძლებისდაგვარათ ხელი შეუწყოს: ამ თარგმანში მრავალ ძვირფასს საქნა მასალას იპოვის როგორც ქართული ღვთისმეტყველი, ისე ფილოსოფიურათ მოაზროვნე ქართველი, ჰსიხოლოგ-ჰედაგოგი, ექიმი, საზოგადოთ ბუნებისმეტყველი და, რამოდენათმე, მათემატიკოსიც.

ასეთია წინამდებარე თარგმანის სამეცნიერო თეორეტიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მაგრამ, ვფიქრობთ, მას სიამოვნებით წაიკითხავენ ის ინტელიგენტი ქართველებიც (მდგდლები, მასწავლებლები, იურისტები, ექიმები და სხვანი), რომელთაც საზოგადოთ აინტერესებთ იმგვარი საკნები და საკითხები, როგორნიც ამ წიგნში არიან განხილულნი, განსაკუთრებით საკითხნი: სულისა და სხეულის ურთიერთობაზე, ნებელობის თავისუფლებაზე, საზოგადოთ მსოფლიოსა და აღამიანზე, სდმართო განგებაზე და სხვანი.

III

ხელთნაწერები და ჩვენნი გამოცემა

9. ამ წიგნის გამოცემის დროს სამი ხელნაწერით ვსარგებლობდით. სამივე «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას» ეკუთვნის: № 2579=A; № 339=A¹; № 135b, ფურც. 249b—280a=A².

ამ სამს გარდა სხვა ქართული ხელნაწერი ნემესიოსის წიგნისა დღემდე ცნობილი არაა. პირველი გადაწერილია არა უგვიანეს მე-XIV—XV-ე საუკუნისა, მეორე მე-XVIII-ე საუკუნეში და მესამე—მე-XIX-ე საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ ხელნაწერსა ვრცელი აღწერა და დათარიღება ბ-ნს ე. თაუაიშვილს ეკუთვნის¹. ამიტომ მათს აღწერას აქ აღარ გამოვეუდგებით. შევეცდებით მხოლოდ, მათი მოკლე ისტორიის წარმოვადგინოთ, ქართული ტექსტის ისტორიასთან ერთად. იას შევავსებთ და შევასწორებთ იმას, რაც ბ-ნის თაუაიშვილის აღწერილობას აკლია, ან ხელნაწერის ნამდვილ მდგომარეობას არ შეეფერება.

სავსებით ვუთანხმებით იმ აზრს, რომ სამივე ხელნაწერი ერთის ჩამომავლობისაა. მაგრამ ვერ დავუთანხმებით იმას, ვითომც მესამე ხელნაწერი ($=A^2$; რომელიც კრებულშია მოთავსებული და ბ-ნს თაუაიშვილს აწერილი აქვს 129 ნომერ ქვეშ) გადაწერილი იუოს მეორე ხელნაწერთან ($=A^1$, რომელიც ბ-ნს თაუაიშვილს აწერილი აქვს 128 ნომერ ქვეშ).

ამ ორი ხელნაწერის ურთიერთობის შესახებ ჰატივცემული არქეოლოგი ბრასნებს: «Книга Немесія „О природѣ человека“, имѣющаясь въ нашемъ сборникѣ, списана, безъ сомнѣнія, съ предыдущей рукописи»². მაგრამ, როგორც მკითხველი ჩვენი გამოცემის მე-VI-ე დამატებიდან დარწმუნდება, ამისი თქმა არამცაუ უპასუხელობით, ჰიპოთეტიურათაღ კი არ შეიძლება: A^2 -ში მოიპოება თითქმის ევკლას ის ადგილი, რომელიც A^1 -ში გადაწერის მიერ გამოშვებულია; ცხადია, მამასადავ. უკანასკნელი პირველის დენად ვერ ჩაითვლება.

სამაგიეროთ, ერთი რამ კი უოველ კვს გარეშეა, სახელდობრ ის, რომ როგორც A^1 , ისე A^2 ხელნაწერ- A -ისაგან ჩამომავლობენ, მათი უქმელებსი (იუმცა არა პირდაპირი) დედანი A -ხელნაწერია. ამას ცხად ჰქოფს შემდეგი გარემოება: A -ხელნაწერის ბოლოში დაკარგუ-

¹ Описание рукописей О-ва распр. грам. ср. груз. населения, т. I, стр. 703—724.

² Описание... I, стр. 724.

ღია რამოდენიმე ფურცელი (ამაზე იხ. ცოტა ქვემოთ) და მისი ტექსტი წედება მე 282-ე გვერდის უკანასკნელ, სახელდობრ მე-18-ე სტრიქონზე (A-ის უოველ გვერდზე თერამეტ-თერამეტი სტრიქონია), ნახევარი სიტყვითა: „ამ...“; სწორეთ ამავე ნახევარ სიტყვაზე სწედება A¹-ისა და A²-ის ტექსტიც, თუმცა მათ ერთი ფურცელიც არ აკლიათ¹, ჰირიქით: A¹-ში უკანასკნელ გვერდზე (254) ამ ნახევარ სიტყვის შემდგომ კიდევ ექვსი სტრიქონის ადგილია თავისუფლათ გაშვებული, ხოლო A²-ის გადამწერი თვითონვე შენიშნავს: „აქა დასასრულს დედანსაც აკლდა“ (Описание... I, стр. 723) და დიდ ადგილს სტოკების თავისუფლად დაკარგულის გვერდებისათვის.

ერთი სიტყვით, ამ სამ ხელნაწერში უძველესი ტექსტის მატარებელი A-ის, დანარჩენები კი მისგან ჩამომავლობენ, ხოლო სამნივე ერთათ, დაახლოებით, შემდეგი პროცესის ნაყოფს წარმოადგენენ.

სანამ A-ხელნაწერი გაჩნდებოდა, ნემესიოსის წიგნის ქართულ ტექსტს შემდეგი ისტორია ჰქონია გამოვლილი: თავდაპირველათ ეს ტექსტი დაახლოებით იმ სივრცისა უოფილა, რა სივრცისაცაა ცნობილ ბერძნულ გამოცემათა ტექსტი². მაგრამ, დროთა განმავლობაში. იმ ტექსტიდან დაკარგულა მეორე თავის რამოდენიმე ფურცელი, სახელდობრ, ჰითალორის აზრის კრიტიკის დასასრული და ევრომიო-

¹ ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს ბ-ნი ე. თაყაიშვილიც, როცა ამბობს: „Текстъ (ხელნაწერისა A¹, რომელზედაც იქ არის ლაპარაკი) начинается и кончается такъ же, какъ въ предыдущей рукописи (იგულისხმება პირველი ხელნაწერი=A), стало быть рукопись дефектна, но дефектность не происходитъ отъ потери листовъ въ концѣ рукописи, какъ это наблюдается въ предыдущемъ спискѣ (=A), а отъ того, что дефектенъ былъ оригиналъ, откуда списали нашу рукопись“ (Описание... I, стр. 707); შუად. стр. 723 (სტრიქონები 4—7).

² მაგალ. ანტერპენისა (რომლის გვერდებიც ნაჩვენებია რუს. თარგმანის არშეიბზე) და მატთისა, საიდანაც გადმოღებულია რუსული ტექსტი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით.—შუად. ხემათ ამ წინასიტყვაობის § 6.

სის შეხედულების კრიტიკის დასაწყისი¹. ამას გარდა ხელნაწერში ფურცლები არეულ-დარეულა, რასაც გამოუწვევია თავების ტექსტისა და მათი სათაურების არეულ-დარეულად (ამაზე იხ. ქვემოთ ამავე წინასიტყვაობის მე-12-ე მუხლი, გვ. XXXII, სხოლიო 1-ლი).

სწორეთ ამ დროს გადმოუწერიათ იმ უცნობი ხელნაწერიდან A-ხელნაწერი. თავდაპირველათ ამ ხელნაწერში (A) ოცი რვეული ყოფილა (ამაზე იხ. ქვემოთ ამავე წინასიტყვაობის შემდეგი მუხლი), მაგრამ დროს მისთვისაც მწარე დაღი დაუკრავს: მასში დაზიანებული ორი უკანასკნელი რვეული, საიდანაც დაკარგულა ის ფურცლები, რომლებსუდაც მოთავსებული ყოფილა: მე-12-ე თავის ბოლო², მთელი მე-13-ე თავი³ და მე-14-ე თავის პირველი უდიდესი ნაწილი⁴. აქ ჩამოთვლილი ადგილები აღარც ერთს ქართულ ხელნაწერში არ მოიპოება, მაგრამ შენახულია იმისი კვალი, რომ ეს ადგილები ყოფილა ქართულ ტექსტში⁵; დაკარგულა A-ხელნაწერიდან მე-20-ე რვეულის ორი უკანასკნელი ფურცელიც, რომლებსუდაც წერებულა

¹ ჩვენი გამოც. 40—42 სხოლიოები და რუსული თარგმანი გვ. 57₂₂—58₂₂, დაწყებული სიტყვებით: „Однако и Пнагоръ...“ (57₂₂) და გათავებული სიტყვებითა: „...или признать душу смертною...“ (58₂₂). რომ ეს ადგილი თავდაპირველათ ნამდვილათ ყოფილა ქართულ ტექსტში, ამას ცხადყოფს ის ნიშან-კვალი, რომელხუდაც ლაპარაკი გვაქვს მე-42-ე გვერდის სხოლიოში: გადამწერის მიერ მხოლოდობითი რიცხვის გადაკეთება მრავლობითად და ევნომიოსზე უპიროვნოთ (ან მრავლობითი რიცხვით) ლაპარაკი.

² ჩვ. გამოც. 167—168 (კორპუსით დაბეჭდილი)=რუს. თარგმანი გვ. 191—192 სიტყვებიდან: „Какимъ-же образомъ...“ (191₂) ბოლომდე.

³ ჩვ. გამოც. 168=რუს. თარგმ. 192—193.

⁴ ჩვ. გამოც. 168—171 (კორპუსით ნაბეჭდი) = რუს. თარგმ. 193—202 გათავებული სიტყვებითა: „— въ образѣхъ жизни...“ (202₁₇).

⁵ ამას ამტკიცებს ჩვ. გამოცემის მე-171-ე გვერდზე (=A¹251) მოთავსებული უთავო პერიოდი, რომლისაც დარჩენილა მხოლოდ მცირე ნაწილი სიტყვებიდან: „...და სიმარჯვითა...“, რაც სრულებით არ უდგება და არ ებმის ხელნაწერში მის წინ მდგომს წინადადებას (ჩვ. გამოც. 167₂₀₋₂₂). შეუძლებელია ასეთი, ულოლიკოთ დაკვირვებული, ნაგლეჯ-

მე-44-ე თავის ბოლო, შემდგომ ნახევარი სიტყვის „ამ...“¹; დარჩენილა მე-20-ე რვეულის მხოლოდ მე-3-ე და მე-4-ე ფურცელი ბოლოდან².

ასეთს მდგომარეობაში ყოფილა A-ხელნაწერი, როდესაც იქიდან გადმოუწერიათ A¹ და A², ან უკეთ მათი დედანი.

ამას შემდგომ A-ს კიდევ დასტურია უბედურება: მისი ჰირველი რვეულიდან დაკარგულა ორი ჰირველი და ერთი უკანასკელი ფურცელი, დარჩენილა ამ რვეულის მე-3, 4, 5, 6 და 7 ფურცლები (ჩვენი ჰაგინაციით A-ის 5—14 გვერდები); დაკლებულის შესავსებად შემდეგ ჩაუკრებიათ რვეულის თავსა და ბოლოში ორ-ორი ფურცელი³, რომლებზედაც A¹-იდან (ან მისი დედნიდან) მე-XV-ე საუკუნის სელით გადმოუწერიათ, მცირეთაგანის არევით⁴, დაკლებული ადგილები. ბოლოს დაკარგულა A-ის მე-20-ე რვეულის მე-4-ე ფურცელიც ბოლოდან⁵ და მე-18-ე რვეულისაც ჰირველი სუთი ფურცელი⁶. დაკარგულა, აგრეთვე, მე-19-ე რვეულის ის ფურცლებიც.

ბი სხვა და სხვა წინადადებათა და პერიოდებისა თვით მთარგმნელს ეკუთვნოდეს: მათი მოვლენა ქართულ ტექსტში მხოლოდ ამ უკანასკნელის ლეფექტობით შეიძლება აიხსნას.

¹ ჩვ. გამოც. 173—174 (კორპუსით)=რუს. თარგმ. 205—206, სიტყვებიდან: „...благодаря тому, что Онъ премудръ...“ (205₈) ბოლომდე).

² ამ ორ ფურცელზე მოთავსებული ყოფილა ის, რაც ჩვენ დაბეჭდილი გვაქვს (აკადემიური შრიფტით) მე-171—173-ე გვერდებზე=რუს. გამოც. გვ. 202₁₇ (სიტყვიდან: „...занятиях...“)—205₆ (გათავებული სიტყვითა „ა“).

³ ბ-ნ თაყაიშვილის აღწერილობაში ნათქვამია, ვითომც ამ რვეულის ბოლოში მარტო ერთი ფურცელი იყოს ჩაკრებული (Описание... I. стр. 703₁₄); ნამდვილათ კი როგორც თავში, ისე ბოლოში ამ პირველ რვეულს ორ-ორი ახალი ფურცელი აქვს ჩამატებული, — რის გამოც მასში სულ 9 ფურცელია (18 გვერდი).

⁴ გადმომწერს მეტი გადმოუწერია ახალ ფურცლებზე, ვინემ ნამდვილათ საჭირო ყოფილა; ეს ზედმეტი სტრიქონები A-ში ჩვენ ფრჩხილებში მოვითავსეთ (A₈₋₄ და 15₁₈).

⁵ ჩვენს გამოცემაში გვ. 171₁—172₈, ამოღებული გვაქვს A¹-იდან.

⁶ ჩვენს გამოცემაში გვ. 157₁—161₂₈, შემოტანილი გვაქვს A¹-იდან.

რომლებზედაც წარმოდგენილი უოფილა მე-42-ე თავის მეორე ნახეგარი¹.

10. დღეს A-ხელნაწერში ჩვენს გვაქვს პირველი რვეულის ხუთი ძველი და ოთხი ახალი, სულ 9 ფურცელი², შემდეგ მე-2—17-ე რვეულები სრულად³, მეოთხამეტე რვეულის უკანასკნელი სამი ფურცელი⁴ და მე-20-ე რვეულის მეექვსე ფურცელი⁵, რომელიც უნდა უოფილიყო ამ ხელნაწერის მესამე ფურცელი ბოლოდან.

ბ-ნის ე. თაყაიშვილის „აღწერილობაში“ ამ ხელნაწერის შესახებ ვკითხვლობთ: „Пагинація показана буквами асомтаврული по тетрадимъ черезъ восемь листовъ. Всѣхъ тетрадей 19, но послѣдняя состоитъ изъ шести листовъ. Первые два листа и послѣдній листъ первой тетради добавлены потомъ, и текстъ на нихъ воспроизведенъ другою рукою тщательно и аккуратно“⁶. ჩვენ მიერ ხ.ზ. კასპული სიტყვები A-ის დღევანდელ ვითარებას არ შეეფერება და არც ბ-ნის თაყაიშვილის მიერ ნაგარაუდგევი რვეულთა რაოდენობა (19)

¹ ეს ნაწილი შენახულია A¹-ში (გვ. 245₉—251₇=ჩვ. გამოც. 164₂₀—167₂₈)

² ჩვენი პაგინაციით A1—18 გვერდები.

³ ჩვენი პაგინაციით A19—274 გვერდები.

⁴ ჩვენი პაგინაციით A175—180 გვერდი.

⁵ ჩვენი პაგინაციით A180—182 გვერდი.

⁶ Описание... I, стр 703. ხელნაწერის ყდის შესახებ იქვე ნათქვამია: „Досчатый переплетъ рукописи, перекрытый черною кожею съ тисненіями, теперь нѣ сколько попорченъ“. უკანასკნელ სიტყვებს შევსება სკირია: ხელნაწერზე მიმაგრებულია მხოლოდ ყდის პირველი ფიცარი, მეორე ფიცარი კი სრულიად მოშორებულია ხელნაწერსა და მარტო ტყავზედ ჰკიდია. როცა ამ ხელნაწერიდან ტექსტის გადმოწერას შევუდგებით, მისი უკანასკნელი რვეულებიც მოშორებული იყა დანარჩენს რვეულებს; მე-17-ე და წინა რვეულები ჩვენ თვითონ ჩავამაგრეთ ხელნაწერში მსხვილი ძაფით, ხოლო მე-18 ე რვეულის დარჩენილი სამი ფურცელი (გვ. 275—280) და უკანასკნელი რვეულის ერთადერთი ფურცელი (გვ. 281—282) დღესაც ჩაუყვრებულია ხელნაწერში

უნდა იყოს A-ის რვეულთა სრული (პირვანდელი) რათდენობის სწორი გამომხატველი.

მართლაც, ამ ხელნაწერის პირველი რვეულის ბოლოში ჩამატებულია არა მხოლოდ „უკანასკნელი ფურცელი“, არამედ ორი უკანასკნელი ფურცელი, რის გამოც მთელს რვეულში დღეს 9 ფურცელია.

ჩამატებულ ფურცლებზე ტექსტი აღდგენილია არა სრულის წესიერებით, არამედ: მე-3—4-ე გვერდზე თითქმის 25 სტრიქონი სრულიად ზედმეტია¹ და იმის უხეირო განმეორებას წარმოადგენს, რაც იქვე ძველ ფურცლებზე ბევრათ უკეთესათაა დაცული²; აგრეთვე მე-15—16-ე გვერდზე 25 სტრიქონი ასეთსავე უხეირო ზირს წარმოადგენს იმისას, რაც უკვე წინა მე-14-ე გვერდზე (ძველი ფურცლისა) ბევრათ უკეთ არის გადაწერილი და შენახული³.

ასომთავრულებით აღნუსხული რვეული A-ში მხოლოდ თვრამეტია⁴, და უკანასკნელში (მე-18-ში) მართლაც ექვსი გვერდია (ე. ი. სამი ფურცელი) და არა „ექვსი ფურცელი“. შესაძლოა, „აღწერილობა“-ში კორექტურული შეცდომა იყოს გაშვებული.

მე-18-ე რვეულს შემდგომ A-ში კიდევ დარჩენილა ერთადერთი ფურცელი, რომლის უკანასკნელი გვერდი ბ-ნს თაყაიშვილს გადაბეჭდილი აქვს „აღწერილობა“-ში⁵ და რომელიც მას უნდა მიედლოს მე-19-ე რვეულის ფურცლად, რის გამოც, მისი ვარაუდით, მთელს ხელნაწერში მართლაც ცხრამეტი რვეული გამოვა. მაგრამ ამ ვარაუდს ვერ დავეთანხმებით. ჩვენის ფიქრით A-ში თავდაპირველათ

¹ ეს სტრიქონები A-ში ჩვენ ფრჩხილებში ჩავსვით, როცა იქიდან ტექსტს ვიწვრდით ჩვენი გამოკუმისათვის.

² A 3₇—4=A 5—6₈=ჩვ. გამოც. 5₈—6₁₀ დათავებული სიტყვითა „რამეთუ“.

³ A 15—16₇=A 14=ჩვ. გამოც. 11₈—12₈ (პირველი ნახევარი სიტყვისა „ვიინაჲ თგან“).

⁴ იხ. A 280 ძირს არშიის მარჯვენა ყურეში ასომთავრული იმ=18. რომელიც ამ რვეულის ბოლოსათვალავს წარმოადგენს.

⁵ Описание..., გვ. 706₁₂₋₂₂=ჩვ. გამოც. 172₁₇—173₈.

ენდა უოფილიყო არა 19, არამედ 20 რვეული; და ის ერთად-ერთი ფურცელი, რომელზედაც ლაპარაკია, მე-20-ე რვეულისა უნდა იყოს. აი საბუთები:

მე-18 ე რვეულის უკანასკნელი სტრიქონი A-ში თავდება მარცვლითა „სა“, რომელაგ წარმოადგენს თავსართს სიტყვისას: „სა|მა-რადისოდ“¹. ეს სიტყვა უდრის რუსული თარგმანის სიტყვას: *после* (188₁₂), რომლის შემდეგაც წიგნის დასასრულამდე მოთავსებულია მთელი ის მასალა, რომელსაც ანტვერპენულ გამოცემაში (რომლის გვერდებიც იქვე რუსული თარგმანის არშიებზეა აღნიშნული) სტერია ოცს გვერდზე ცოტა ნაკლები². საზოგადოთ, შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ანტვერპენულ გამოცემის (ნემესიოსის წიგნის ბერძნული ტექსტის ჰირველი გამოცემა) თვითეული გვერდი უდრის, ორთა შუა რიცხვით, A-ის 1³/₄ გვერდს (მცირეოდენის რვეულია და მეტნაკლებობით)³. მაშასადამე ზემოდასახელებულის ოციოდე გვერდის

¹ A 280₁₁ = რვ. გამოც. 164₂₀.

² სახელდობრ Ant. 162—181 გვერდები; მე-162-ე გვერდის თითქმის მესამედის გამოკლებით (=რუს. თარგმ. 188₂₋₁₂).

³ ეს ვარაუდი დამყარებული გვაქვს A-ის პირველი 18 რვეულის ტექსტისა და ანტვერპენის გამოცემის გვერდების შედარებაზე. ამ თერამეტი რვეულის ტექსტს A-ში თავდაპირველათ უნდა სკეროდა 16 X 18 = 288 გვერდი. ანტვერპენის გამოცემაში ეს მასალა თავდება მე-162-ე გვერდის პირველ მესამედზე (რუს. გამოც. 188₂₋₁₂); მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ A-ის 288 გვერდზე სრულათ ყოფილიყოს მოთავსებული ანტვერპენის ტექსტის 1—161 გვერდი და მესამედი: აქედან უნდა გამოვიდეთ იმ ადგილებს, რომელნიც ქართული ტექსტიდან A-ის გადმოწერაზე დაკარგულან (რუს. თარგმ. 57₂₂—58₂₃ = რვ. გამოც. 40—42 სხოლიოში) და რომელთაც ანტვერპენის გამოცემაში სკერიათ დაახლოებით 1¹/₂ გვერდი (შეად. რუს. გამოცემის 57—58 გვერდებზე, არშიები, Ant. 44 და 45); დარჩება, მაშასადამე, (161¹/₂ — 1¹/₂) = 160 გვერდი ანტვერპენის გამოცემისა, რომელთაც ~~160~~ 288 გვერდი. მაშასადამე, ორთა შუა რიცხვით, ანტვერპენის გამოცემის თვითეულ გვერდზე მოვა A-ისა (288: 160 =) დაახლოებით გვერდი მცირეოდენის მეტ-ნაკლებობით.

ტექსტს A-ში უნდა სჭეროდა დასალოებით იმდენი, რამდენი გვერდიც საჭიროა ორი რვეულისათვის¹. ერთი სიტუაციით, ცხადია, რომ მე-18-ე რვეულის შემდეგ A-ში უნდა უოფილიყო არა ნაკლებ ორი რვეულისა.

ახლა იკითხება: რომელ რვეულს უნდა ეკუთვნოდეს ის ერთადერთი ფურცელი, რომელიც A-ში დღეს კიდევ მოიპოება მე-18-ე რვეულის შემდგომ (A281—282): მე-19-ეს, თუ მეოცეს?

აქაც იმავე შედარებას უნდა მივმართოთ. აღნიშნული ფურცლის საბადო ტექსტი რუსულ თარგმანში თავდება სიტყვებითა: „...а благодаря тому...“², რის შემდეგაც წიგნის დასასრულამდე კიდევ მოთავსებულია მასლა, რომელსაც ანტვერპენის გამოცემაში სჭერია ორ გვერდზე ცოტა ნაკლები³, ე. ი. არა უმეტეს A-ის ოთხი გვერდის⁴ ანუ ორი ფურცლისა. მაშასადამე, ის ერთადერთი ფურცელი A-ხელნაწერისა, რომელიც მე-18-ე რვეულს შემდგომ შენახულა, უნდა ეკუთვნოდეს ხელნაწერის უკანასკნელ რვეულს, ე. ი. მე-20-ეს. მე-19-ე რვეულის კი ხელნაწერ A-ში დღეს არცერთი ფურცელი აღარ მოიპოება.

11. ასეთია ამ უძველესი ხელნაწერის დღევანდელი მდგომარეობა. როგორც ვნახეთ, მასში განსაკუთრებით ჰირველი და საში უკანასკნელი რვეულია დაზიანებული. მიუხედავად ამ თვალსაჩინო დეფექტისა, მაინც იძულებული ვიყავით, ჩვენი გამოცემის საფუძვლად ეს ხელნაწერი დაგვედო. მიზეზი აშკარაა: არც ერთი დანარჩენ ორ ხელნაწერთაგანი ამაზე უძველეს ტექსტს არ შეიცავს, არამედ, რო-

¹ თუ $1\frac{3}{4} \times 20$, მივიღებთ 35 გვერდს; მაგრამ თუ მივიღებთ სახეში, რომ ანტვერპენის თვითველ გვერდში ყოველთვის A-ის $1\frac{3}{4}$ გვერდი როდია, არამედ ზოგჯერ ნაკლებიცაა, აგრეთვე 20 გვერდიც სრული არაა, არამედ მთელი გვერდის შესამედი აკლია,—ცხადი იქნება, რომ ანტვერპენის გამოცემის აღნიშნულ ტექსტს A-ში უნდა სჭეროდა არა უმეტეს, მაგრამ არც უმცირეს, 32 გვერდისა, ანუ ორი რვეულისა.

² შეად. ჩვ. გამოც. 173; „ხოლო ამ...“=რუს. 205.

³ სახელდობრ Ant. 180—181 (რუს. თარგმ. 205—206).

⁴ $1\frac{3}{4} \times 2 = 3\frac{1}{2}$ გვერდი (შეად. ჩვ. გამოც. 173 სხოლიო).

გორც ვთქვით, ორნივე ამავე A-ისაგან ჩამომავლობენ. მეტსნ ვიტყვია: A¹-ის და A²-ის ტექსტი გაცილებით დაბლა სდგას A-ის ტექსტზე, თუმცა აშკარა შეცდომათა და დეფექტებისაგან არც ეს არის თავისუფალი. ეს შეცდომანი და დეფექტები განსაკუთრებით მაშინ უფრო თვალსაჩინო შეიქნება, როცა ქართულ ტექსტს ბერძნულ დედანს შეუდარებენ. რადგან ეს უკანასკნელი ხელთ არა გვექონდა, ჩვენ ვისარგებლეთ რუსული ოარგმანით¹, რომლის მიხედვითაც ჩვენს გამოცემაში აქა-იქ შემოვიტანეთ აუცილებლათ საჭირო შევსება და შესწორებანი, სახელდობრ ისეთი შესწორებანი, ურომლისათვც ქართული ტექსტის გაცება უოვლად შეუძლებელი იქნებოდა². ამავე თარგმანის კონტროლის ქვეშ შევაესეთ A-ის ტექსტი A¹-იდან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო³. ხოლო სადაც A-ის დაკარგული ადგილები ადარც სსხვა ხელნაწერებში მოიპოებოდა, იქ რუსული ტექსტის მოკლე შინაარსი მოვათავსეთ (განსხვავებული შრიფტით), რათა მკითხველისთვის ნემესიოსის თხზულების შეგნება გაკვეადვილებინა⁴.

12. ქართული ტექსტი იავით ხელნაწერებშივე თავებდად დაყოფილია, მაგრამ თავების სათვალავი (ასომთავრულებით) უველგანსისწორითა არაა დასმული⁵, ზოგს თავს სათაური აქვს და სათვალავი კი არა⁶, ზოგანაც სათაურები არეულია და თავების შინაარსს არ შე-

¹ შეად. მისი წინასიტყვაობა, გვ. XXXIV და ჩვენი შენიშვნა ხე-
მით გვ. XV, სხოლიო მე-ჰ-ე.

² ეს შევსება-შესწორებანი ჩვენ მოთავსებული გვაქვს დიდრონ
სწორ ფრჩხილებში: [].

³ იხ. ჩვ. გამოცემა, გვ. 157₁—161₂₆; 164₂₀—167₂₁; 171₁—
172₂, ამ ადგილებში ჩვენ ვეცადეთ ორთოგრაფია A-ის დანარჩენი ტექ-
სტის მიხედვით შეგვესწორებინა.

⁴ იხ. ჩვ. გამოცემა, გვ. 32 სხოლიო **, 40—42 სხოლიო, 168—
171, 173—174 (რაც ამ გვერდებზე კორპუსითაა დაბეჭდილი).

⁵ იხ. ბოლოში დამატება მე-IV-ე: შემდგომ თავისა ლ ზის ლ¹,
ხოლო ¹ს¹ის შემდგომ ზის ¹ა.

⁶ იხ. იქვე ის თავები, რომლებიც აღნიშნული გვაქვს ნულეებით.

ეფერება¹; თვით თავების თანამიმდევრობა ეფელგან ისეთი არაა, როგორც რუსულ (=ბერძნულ) ტექსტში²; ერთგან რუსულ (=ბერძნულ) ტექსტის ორი თავი ქართულ ხელნაწერში ერთ თავდას წარმოდგინილი³. საჭიროდ დავინახეთ, ეს უსწორ-მასწორობანი შეგვესწორებია და დეფექტები შეგვევსო. ამ მიზნით: სათვალავი ყოველ თავს დავუსვით, მხოლოდ ასომთავრულების ნაცვლათ ლათინური ციფრები ვინმარეთ; არეული სათვალავი და სათაურები შევასწორეთ; რომელ თავსაც სათაურები აკლდა, ჩვენ თვითონ წავაწერეთ, თვით თავის შინაარსისა და რუსული ტექსტის თანახმით⁴; თვით

¹ მაგალ.: მე-9-ე თავს ხელნაწერში სათაურად აწერია „სასმენელთა-თვს“, მის ტექსტში კი. ლაპარაკია შ ე ხ ე ბ ა ზ ე და არა სასმენელზე; მე-14-ე თავს აწერია „ოუტყუისა სულისა-თვს“, ნამდვილათ კი მასში ლაპარაკია ს ი ტ ყ ვ ე რ ი ს ა სულისა-თვს, ხოლო „ოუტყვი სულის“ შესახებ ნემესიოსი საუბრობს მე-16-ე თავში; მე-17-ე თავს ხელნაწერში აწერია „განწვალებაჲ ზტყვსავე სულისა“. ნამდვილად კი იქ ლაპარაკია „გულის-მთქუმელობისა-თვს“; მე-27-ე თავში ლაპარაკია „წინაღარჩევითისა მიდრკისა-თვს“, ხელნაწერში კი მას აწერია: „სხუაჲ განწვალებაჲ“; ჩვენი გამოცემის მე-29-ე თავის ალაგას ხელნაწერში მოთავსებულია მე-32-ე თავის ტექსტი, რის გამოც ამ თავების სათაურები ხელნაწერებში ტექსტის შეუფერებელია; კერძოთ ჩვენი გამოცემის მე-29 ე თავის ტექსტს ხელნაწერში აწერია სათაურათ: „ოუნებლიითისა-თვს“ (A217).

² იხ. დამატება IV და შეად. ჩვენი გამოცემის შემდგვი თავები: 8, 9, 20, 21 და 32.

³ იხ. ხელნაწერის თავ. **16**, რომელიც უდრის ჩვენი გამოცემის (აგრეთვე ბერძ.-რუსულის) ორ თავს: 39—40; აგრეთვე მე-44-ე თავის ერთი ნაწივეტი პირდაპირ ზედმიბეზულია ჩვენი გამოცემის მე-42-ე თავის (ხელნაწ. A¹-ის **შ**) ტექსტზე. მაგრამ, შესაძლოა, A-ში ეს ნაწივეტი ცალკე ფურცელზე ყოფილიყოს დაწყებული და მხოლოდ A¹-ისა და A²-ის დედნის გადმოშწერს მიეხას **შ**-ის ტექსტზე.

⁴ ეს სათაურები დიდრონ და სწორ ფრჩხილებში გვაქვს მოთავსებული. ფრჩხილებში ჩაუსმელი დავვიჩინა მხოლოდ პირველი თავის სათვალავი და სათაური (გვ. 3). ამას გარდა, ამ თავის სათვალავის წინ მდგომი ორი სიტყვა „თავიანად თქუმული“ (მ₁) უმჯობესი იყო სრულ-

რიგი (თანამიმდევრობა) თავების ქართული ხელნაწერებისავე დაეცა¹, გარდა ერთი შემთხვევისა, სახელდობრ, მე-29-ე თავი თავის ალაგას დაგაბრუნეთ²; ერთ შემთხვევაშიაც ხელნაწერის მთლიანი ტექსტი ორ თავად გაყვავით, რუსულ-ბერძნული გამოცემის თანახმად: ეს თავებია მე-39-ე და მე-40-ე. ეგელა ეს ცვლილება გამოცემის შესაფერ ადგილას გვაქვს აღნიშნული³.

13. ხელნაწერებში ქართული ტექსტი ნაკვეთებად დაყოფილი არ არის; მაგრამ, აქა-იქ, ზოგიერთი წინადადება ასომთავრულით იწყება. ასეთი დეოფა ზოგან რუსულ-ბერძნული ტექსტის დაყოფას უდრის, ზოგან კი დიდი ასოთი დაწყებული წინადადება წინა აზრის გაგრძელებას ან განმარტებას წარმოადგენს. ზირველ შემთხვევაში

ლიად არ დაგვებებდა ტექსტში, რადგან მისი საბადლო „თავი I“ იქვე გვაქვს დაბეჭდილი (იხ ლექსიკონში სიტყვა „თავიანად“). უფრო ვრცლად ამაზე იხ. ქვემოთ მესამე სხოლიო.

¹ ასე მოვიქცეთ, რადგან, შესაძლოა ასეთივე რიგი ყოფილიყოს იმ ბერძნულ დედანში, საიდანაც პეტრიწს უთარგმნია.

² ამისი მოტივი იხ. ჩვ. გამოც. გვ. 126, სხოლიო

³ ორიოდუ შენიშვნა საკუთრივ წიგნის სახელისა და პირველი თავის სათაურის შესახებ. პირველ თავს არც ერთის ქართული ხელნაწერის ტექსტში არც ცალკე სათვალავი უზის და არც საკუთარი სათაური. როგორც რუსული თარგმანის ავტორი, ბ-ნი ვლადიმირსკი, მოწმობს (стр. 19, примѣч. 2-ое), ამ თავს არც ბერძნული ტექსტის საუკეთესო გამოცემებში ჰქონია განცალკევებული სათაური. სამაგიეროთ, ერთს საუკეთესო ბერძნულ ხელნაწერში (Кодексъ Аугсбургскій №—XIV №—ка) ამ თავს ჰქონია ს ა კ უ თ ა რ ი სათაური: Περὶ φρσσεαδ ἀμθρδωα, ე. ი. სწორეთ ის სათაური, რომლითაც ცნობილია მთელი თხზულება; სწორეთ ასეთისავე სათაურით არის აღნიშნული ამ თავის საძიებელი ერთ ქართულ ხელნაწერის (A²) სარჩევში (ფურც. 280a); ამ საბუთების ძალით, ჩვენს გამოცემაშიაც ამ თავს საკუთარი სათვალავი და სათაური („ბუნებისა-თვს კაცისა“) გაუუკეთეთ და იქვე გამოვთქვით მოსახრება, რომ, შესაძლოა, თვით ბერძნულშიაც მთელს თხზულებას ამ თავის სათაურისაგან მიეღოს სახელი (ჩვ. გამოც. გვ. 3, სხოლიო 5—6 სტრიქონებისა).

ახლა, როცა მთელი თხზულების სრულს სათაურს დავაკვირდით, დავრწმუნდით, რომ ჩვენი მოსახრება სრული ჰეშმარტებაა მხოლოდ

ჩვენც ნაბეჭდი ტექსტი ასევე ნაკვეთად დავიწვეთ, მეორე შემთხვევაში კი, რაღა თქმა უნდა, ტექსტი გადაბმითვე დაიბეჭდა. უფრო ხშირათ თავიპის ნაჭრებად დაყოფა რუსულ-ბერძნული გამოცემის თანხმით გვაქვს შესრულებული, ზოგანაც (იშვიათათ) ასეთი დაყოფა თვითონ ჩვენ გვეკუთვნის, — რაც შედამ სსოლიოში გვაქვს აღნიშნული შესაფერი სტრიქონის ჩვენებით.

14. ჩვენი გამოცემის ძირითად ხელნაწერში (A-ში) სასვენებელ ნიშნებად აქა-იქ ნახმარია ორწერტილი (:), ზოგან ორწერტილ-ხაზი (:-) და უფრო იშვიათათ იანამედროვე მძიმის მსგავსი ნიშანი. მეორე ხელნაწერში (A¹) ამ ნიშნებს გარდა გვხვდება ერთწერტილიც. თითო წერტილი გვხვდება A-ის იმ ფურცლებზედაც, რომელნიც შემდგომ არიან ჩაკერებული (პირველი რეეულის 1—2 და 8—9 ფურცლებზე) და რომლებზედაც დაკარგული ტექსტი მე-18-ე სუეუნის ნუსხა ხუტურითაა აღდგენილი. ამას გარდა ორსავე ხელნაწერში ნახმარია სტრიქონთშორისი (სიტყვების ზემოდან და ქვემოდან) ნიშნები, რომელნიც მოხაზულობით თანამედროვე მძიმეს, უფრო ბრწყინებებს, მოგვაგონებენ, მაგრამ, როგორც სჩანს, დანიშნულება ამ ნიშნებისა არა აქვთ (ასეთივე სტრიქონთშორისი ნიშნები გვხვდება პეტრიწის მიერვე ნათარგმნის „ავშირნი“-ს ხელნაწერშიც). მაგრამ ნემესიოსის წიგნის არცერთ ხელნაწერში ერთხელეც

საქმე აი როგორ უნდა ყოფილიყოს. მთელ თხზულებას თავდაპირველად სათაურად ჰქონია მხოლოდ ავტორის სახელი: „ნემესიოს ემესელ ეპისკოპოსისაჲ“ (ე. ი. წიგნი, ანუ თხზულება); შემდეგ პირველ თავს ჰქონია სათაურად ასეთი წარწერა: *Ἀπό το χειρᾶν ἁγίου πατρὸς ἡμετέρου ἀποστόλου* (რუს. თარგმ. XXXII—III; და სტრ. 19, прим. 1-0E), რაც უდრის ქართული თარგმანის: „ბუნებისა-თვის კაცისა თავიანად თქუმული“ (ჩვ. გამოც. 3, 4), ე. ი. „მეთაური სიტყვა ბუნებისა-თვის კაცისა“ (იხ. ჩვ. ლექსიკონი, სიტყვა „თავიანად“); მართლაც ეს თავი მთელი თხზულების შესავალს და მეთაურ სიტყვას წარმოადგენს აღამიანის ბუნების შესახებ; რაღა თქმა უნდა, ამგვარს სათაურთან ამ თავს ცალკე სათვალავი აღარ დასჭირდებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს სათაური მთელი წიგნის სათაურად უხმარნიათ და მაშინ საჭირო გამხდარა პირველი თავისათვის როგორც ცალკე სათაური, ისე სათვალავიც.

მიღებულ ნიშნათა ხმარებაში არაერთგვარობა და თანამიმდევრობა დაცული არაა; ხშირათ. ორწერტილი და ორწერტილ-ხაზი იქა ზის, სადაც, აზრის მიხედვით, უბრალო მძიმის დასმაც არ შეიძლება; და, პირიქით, მთელი ჰეროიდებისა და ნაკვეთების დასასრული უბრალო მძიმითაც კი არ არის აღნიშნული. ცხადია, იმ ნიშნების უცვლელად დატოვება ჩვენი გამოცემის კითხვას მეტათ გააძნელებდა, — იმავე ნიშნების ხმარების შეცვლა და მოდერნიზაცია, გინდ არქაიზაცია, თუ დაგვაშორებდა, თორემ დიდათ ვერ დაგვაახლოვებდა თვით პეტრიწის საჰუნქტუაციო სისტემასთან; ამიტომ ვაშჯობინეთ, ისევე ჩვენი დროის ნიშნები გვეხმარა: თუ პეტრიწის ჰუნქტუაციას ვერ დაგუახლოვდებით, თანამედროვე მკითხველს მაინც აღარ გაუუხელებთ დაბეჭდილის წაკითხვას¹.

¹ როგორი იყო თვით პეტრიწის ჰუნქტუაცია, ეს მისი ხელნაწერებიდან უნდა გავიგოთ, მაგრამ დღემდე არც ერთი მისი ავტოგრაფი ცნობილი არაა. მის მიერ ნათარგმნის აკაემირნია-ს უძველესი ხელნაწერი, რომელიც დღეს საისტორიო საზოგადოებას ეკუთვნის, მე-XX—XIII-ე საუკუნეზე აღინიშნული არაა; რაც შეეხება კერძოთ ნემესიოსის წიგნის თარგმანს, მისი უძველესი ხელნაწერი, როგორც ზემოთ დავინახეთ, სრული ორი თუ სამი საუკუნითაა დაშორებული იოვანე პეტრიწის დროს. შეგვეძლო მიგვემართა პეტრიწის მასწავლებლის ეფრემ მცირის ჰუნქტუაციისათვის (იხ. ე. თაყაიშვილის *Описание рукописей... I*, стр. 716—717; შეად. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი № 24, ფურც. 4, გვ. 1 ა და ბ), და ერთხანათ კიდევაც ვფიქრობდით, ამ რთული სისტემით გვესარგებლნა, მაგრამ, როცა ზემო დასახელებულს „აკაემირნია“-ს უძველეს ხელნაწერს გავეცანით, ამ განზრახვამ ზელი ავიღეთ: ამ ხელნაწერის ჰუნქტუაცია იმდენათ განსხვავდება ეფრემის ჰუნქტუაციისაგან, რომ საეპკო ზდება, პეტრიწონის მონასტერში ნამოღვაწევი მოწაფე შავმთელის მოძღვრისა დიდხანს შერჩენოდეს თავისი მასწავლებლის მიერ შემოღებულს საჰუნქტუაციო სისტემას; შესაძლოა, ის არასოდესაც არ ყოფილიყოს ამ სისტემის მიმდევარი.

საჭირო შესწორება ნიშნების ხმარებაში: გვ. 29₂ შემდგომ სიტყვებისა „ზედათა ყბათა“ უნდა დაისევას ბრტყალები და ტირე („—“); სამაგიეროთ ბრტყალები უნდა ამოიშალოს მე-23-ე სტრიქონიდან შემდგომ სიტყვისა „ყბათა“.—30₁ შემდგომ სიტყვისა ს უ ლ ი უნდა დაისევას ბრტყალები ასე: სული“.—58₂ შემდგომ სიტყვისა ა რ ა მ ე დ უნდა

15. სიტყვის თავსართები, თანდებულები, რთული სახელები და რთული ზმნები ხელნაწერებში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა გვარათ იწერება: ზოგი თავსართი და თანდებული, აგრეთვე საკავშირო ნაწილაკი იმ სიტყვაზეა გადაბმული, რომელსაც ეკუთვნის, ზოგი კი — განცალკევებით იწერება; ბევრჯერ ერთი და იგივე თავსართი და თანდებული ერთსა და იმავე ხელნაწერში გადაბმით იწერება, ზოგან კი — ცალკე ზის. აგრეთვე რთული სახელებისა და რთული ზმნების ნაწილები ზოგან გადაბმულია, ზოგან — განცალკევებული.

ჩვენს გამოცემაში შემდეგი წესი დაფიქსირდა:

ა) თავსართები: გარე, მიმო, წინა (=წინ), და, ზედა (=ზედ), თანა (=თან), არა (=არ) და მისთანანი უველგან იმ სიტყვასთან გადაბმით დაბეჭდეთ, რომლის ნაწილსაც შეადგენენ, ასე: განპირებაჲ, თანატომ, გარეშემოდებაჲ, ზესთმდებარი, არმოქნეობაჲ და სხვანი¹.

ბ) თანდებულები: გან, თჳს (=თჳნ), მიერ, ებრ, წილ, მიმართ, ზედა, თანა, შინა, შორის და ურთ ჰატარა რკალით (-) გადავებით იმ სიტყვასთან, რომელსაც უკან მოსდევენ და განაკებენ:

დაისვას მძიმე (.) — 59, შემდგომ სიტყვისა „ქონებად“ უნდა დაისვას მძიმე (.) იმავე გვერდზე მე-23-ე სტრიქონში შემდგომ სიტყვისა „ორლანებრივად“ ზის წერტილი (.), რომლის ნაცვლად უნდა დაისვას მძიმე (.), ხოლო წერტილი უნდა გადატანილ იქმნას მე-24-ე სტრიქონში შემდგომ სიტყვისა „შესაქმებრივი“. — 70₂₁ სიტყვა ვინაჲ „სჯობს მძიმეებში ჩაისვას. — 101₁₅ სიტყვები „არამედ არსაპიროთა“ უმჯობესია ჩაისვას მძიმეებში. — 111₁₃ შემდგომ სიტყვისა „ნაველი“ მძიმე ზედმეტია და უნდა გამოირიცხოს. — 112₁₈ შემდგომ სიტყვისა „მიიზიდის“ უნდა დაისვას მძიმე (.) — 140₈ შემდგომ სიტყვისა „ვიდრე-მე“ უნდა დაისვას წერტილმძიმე (;) — 152₈ შემდგომ სიტყვისა „აწ უკუ“ უნდა დაისვას მძიმე (.)

¹ ამიტომ სრულიად უადგილოა რკალი სიტყვაში: თან-მესხეულობაჲ (47₂₀), რომელიც ურკალით გადაბმით უნდა დაბეჭდილიყო. გადაბმით უნდა დაბეჭდილიყო სიტყვა „თანააც“ (125₁₂), რომელშიაც „თანა“ თავსართია, ჩვენ კი შეცდომით ცალკე გაგვიშვია კორექტურაში. მაგრამ სიტყვა „არკიდოვნებით“ (62₄) შეცდომითაა ასე დაბეჭდილი, იგი უნდა გაიყოს ორ სიტყვად: არ კიდოვნებით, რადგან აქ (აზრით) ორი სიტყვაა და არა ერთი.

სულისა-გან, რეინისა-მიერ, თქუმისა-თჳს, ამა-შიორის, დახუდომისა-ებრ, თჳსდა-მიმართ, ცხოველთა-ზედა, უოფლით-ურთ და სხვანი¹. მაგრამ, როცა ეს თანდებულები ზმნისართის ნაწილს შეადგენენ, მაშინ პირდაპირ ურკალოთ გადაბმით იბეჭდებიან, ასე: გინაათგან, მისთჳს და სხვანი². გადაბმითვე (ურკალოთ) იბეჭდება თანდებულები: მდის და და (=დ): კიდეთამდის (88₄), ამისდა (17₁₁), ამათდა (17₄), კლდეათდა (9₁₁) და სხვანი.

ბ) საკავშირო ნაწილაკები: ცა (=მცა), ვე, ლა პირდაპირ გადაბმით დავსტამბეთ: მიმართებიათა (7₂), არამცა (12₂), მოკუ-დაუადმცა (12₇), ესრეთა (9₂₈), ესრეთვე (10₁) და სხვანი³. — ხოლო სიტყვები: მე, რე პატარა რკალით გადავებით იმ სიტყვებზე, რომელთაც ეკუთვნიან: ვიდრე-მე, რაათა-მე, რაა-მე, უმტვი-ცესნა-რე (59₄), უმხარკესად-რე (60₁₉, 73_{15,18}) და სხვანი. მაგრამ, როცა ამ სიტყვებს (მე, რე) წინ მიუძღვის რომელიმე თანდებულები, მაშინ თანდებულთან ერთად გადავებით მთავარ სიტყვას ასე: ქუჭყანეირისთა-განრე (59₄) და სხვანი.

ღ) პატარა რკალებით გამოწყავით ზმნის თავსართსა და ძირს შუა ჩამატებული სიტყვები: მცა, რაამე, ვიეთმე და სხვანი, ასე: შე-მცა-იგვალა (70₁₅), აღ-რაამე-ვარჩიოთ (129₄), შეცა-ვიეთმე-ემ-თხუა (129₅) და სხვანი.

ე) კითხვის გამომხატველი ა და სხვისი ნათქვამის გადმომცემელი ო პირდაპირ გადაბმით დავსტამბეთ: შექმნა იგი (3₁₂), შენ-დრო (13₁₀) და სხვანი.

¹ გასასწორებელია რკალის ულაგოთ დასმა სიტყვაში: კაცისათჳს 18₂₈₋₂₉ (დაბეჭდილია: კაცი-სათჳს). — ხოლო ერთგან გასასწორებელია თვით თანდებული: 47₂₇ დაბეჭდილია „კაცთა-განი“, თანახმად ხელნაწერისა; უნდა გასწორდეს ასე: „კაცთა-გან“; ხოლო დაბეჭდილი ფორმა უნდა აპარატში ჩატანილ იქმნას.

² სამწუხაროდ ერთგან შეცდომით დასტამბულია „ამიერთა-გან“ (108₈), რომელიც უნდა გასწორდეს ასე: „ამიერთგან“.

³ უნდა გასწორდეს რკალის უადგილოთ ხმარება სიტყვაში: არცა-მცა (12₈), ასე: ა რ ც ა მ ც ა.

ვ) ასევე გადაბმით დაგბეჭდეთ შემოკლებული შემწობითი ზმნაც მესამე პირისა: აღსარებულა (6₄), შემტყიცებულა (13₁₅), სხეულა (50₂₆) და სხვანი. ხოლო სრული ზმნა იმავე პირისა (არს) მუდამ ცალკე იბეჭდება¹, გარდა სიტყვისა „ჟერარს“, რომელზედაც იხ. შემდეგი მუხლი.

ზ) რთული კავშირები და ზმნისართები: ნუთუ, ანუთუ, გინათუ, არათუ, არცაღათუ, ვინაღთგან, რაჟამს და მისთანანი, აგრეთვე ზმნისართად ქცეული ფრაზა „ჟერ+არს“—უგულგან გადაბმით ისტამბებიან, ასე: გინათუ (3₉), ანუთუ (3₁₂), უგულთუ (12₂), ვინაღთგან (13₁₄), დაღათუ (21₁₁), რაჟამს (43₁₀), ჟერარს (20₂₁) და სხვანი².

ბ) ასევე გადაბმით იბეჭდება ის რთული სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, სახელწმინა, მიმღობა), რომელთა პირველი ნაწილი ბოლოკვეცილია: ცხოვლენერგი (9₁₄), კეტუთანი (9₁₉), ერთმეოფი (8₁₂), ქმნილწარმოდგომილი (72₁₁), ასოქმნად (62₃), ასოეოფაჟ (62₅) და სხვანი³. ხოლო როცა წინა ნაწილი ბოლოსრულადაა წარმოდგენილი, მაშინ რთული სიტყვის ნაწილებს პატარა რკალით ვაკავშირებთ, ასე: გულის-ოქუმანი (5₁₁), ქუჭუანის-ნაწლეუნი (9₁₀), გულის-ხმის-ეოფანი (9₂₇), მაცხვნებელო-

¹ იხ. მაგალ.: შემტყიცებულ არს (51₂₈₋₂₄), აღმოჩენილ არს (52₁₁) და სხვანი.

² უნდა გასწორდეს შეცდომა 40₁₄ ასე: არათუ; შეცდომითვე ერთხელ ცალცალკე დაგვიბეჭდია ნაწილები სიტყვისა „ჟერარს“ 142₂₄, რაც უნდა გასწორდეს ისე, როგორც აქ იბეჭდება.

³ ამიტომ უმჯობესი იქნებოდა ურკალოთ გადაბმით დაგვიბეჭდა სიტყვებიც: მესაგრამე-ქმნილმან (13₄), ღირს-ყოფად (17₁₃), პირველ-დაწესებული (29₂₀), უმსგავსო ნაწილინი (59_{10-11,18}); უნდა გადაბმით ვიგულისხმოთ სიტყვა „უევითარი“ 102₁₄₋₁₈, სადაც ამ სიტყვის პირველ ნახევარს აკლია გადასატანი ნიშანი („უესე-“); რკალი ზედმეტია სიტყვაში „ოვთ-კელმწიფე“ (162₁₄). რომელიც აგრეთვე ურკალოთ გადაბმულათ უნდა ვიგულისხმოთ.—რკალით გაგვიყვია სიტყვა „ოსტრა-კუთა“ (15₁), რაც ამ უცხო სიტყვაში (იხ. ლექსიკონი „ოსტრაკუთა“) სრულიად ზედმეტია და უნდა სიტყვა დაბეჭდილიყო სრულიად ურკალოთ გადაბმით: „ოსტრაკუთა“

ბისა-მიმართნი (9₂₈), კეთილად-მსახურება (7₅₋₉), გულის-სიტუა (10₇) და სხვანი მრავალნი¹.

თ) რკალითვე გაკავშირებთ იმ რთული სიტყვების ნაწილებსაც, რომელნიც ერთისა და იმავე ძირის განმეორებას წარმოადგენენ: ურთი-ერთას (8₃), ერთი-ერთას (16₃) და სხვანი². მაგრამ კავშირით „და“-თი დაკავშირებული ნაწილები რთულის სიტყვის ცალცალკე იბეჭდება³.

ი) ცალცალკე იბეჭდება რთულის მიმოხერხლის ზმნის ნაწილებიც: სახელ სდგეს (16₂), კელ ვეოთ (9₅), სახელ იღებოდა (9_{7,15}) და სხვანი⁴.

16. ხელნაწერებში სიტყვები მომეტებულ ნაწილათ ქარაგმიანია. ასეთი სიტყვები ყველგან გავსხენით, იმ სიის თანახმით, რომელიც აქვე იბეჭდება:

ა ¹ დ — ანამედ	გ ¹ ლი — გული	გ ¹ ნი — განი
არ ¹ ა — არაა	გ ¹ მო — გამო	გ ¹ რ — გარ
აქ ¹ ს — აქეს	გ ¹ ნ — გან	გ ¹ რდა — გარდა
ბნ ¹ ბა — ბუნება	გნ ¹ გ ¹ ბა — განგება	გ ¹ რ ¹ ე — გარე

¹ ამიტომ უმჯობესი იქნებოდა რკალით გადაგვება სიტყვები: თითოეულად ფეს-უანისა (10₂₋₈), შემდგომითი შემდგომად (9₁, 10₁₃), კუალად გებისა-თვის (150₂₉); პირიქით უნდა რკალი ჩაისვას სიტყვაში: „ამათგანნიცა“ (24₂₄) ასე: ამათ-განნიცა, — აგრეთვე სიტყვაში: „თავისუფალ“ ასე: თავის-უფალ (14₂₄), — აგრეთვე სიტყვაში: „შობათმეტყულებად“ — შემდგომ პირველი ნაწილისა: „შობათ-მეტყულებად“.

² ამავე წესის მიხედვით უმჯობესი იქნებოდა, შემდეგი სიტყვაც რკალით გადაგვება, რომლის ნაწილებიც, მართალია, ერთის ძირის განმეორებას არ წარმოადგენენ, მაგრამ ერთისა და იმავე მნიშვნელობისანი კი არიან: უ რ ყ უ თ ა უ გ უ ნ უ რ თ ა 11₁, სადაც სიტყვა „ურტყუთა“ იმავე უგონურს ნიშნავს (იხ. ლექსიკონში „სიტყუა“).

³ ორგან-სამგან ამგვარი სიტყვები შეცდომით გადაბმით დაგვიბეჭდნია, რომელნიც ასე უნდა გასწორდნენ: 28₂ ოც და ოთხი; 28₂₇ ოც და; 43₄ აწ და.

⁴ უნდა გაიყოს შეცდომით ერთათ დაბეჭდილი ნაწილები ზმნისა (54₂₁) „ე რ თ ე ქ მ ნ ე ბ ი ს“ ასე: ე რ თ ე ქ მ ნ ე ბ ი ს; აგრეთვე უნდა გაიყოს ერთათ დაბეჭდილი ნაწილები ზმნისა: ძალს ცემს (123₂₀).

დ^ბჲ—დიდუბ^ჲჲ
 დ^ბისა—დიდუბისა
 ეს^რთ—ესრეთ
 ვ^ა—ვითარცა
 ვ^ე—ვიდრე
 ვთქ^თ—ვთქუათ
 ვინ^ა—ვინაჲ
 ვ^რ—ვითარ
 ვ^რი—ვითარი
 ზ^ა—ზედა
 თ^ა—თანა
 თ^ნრ—თუნიერ
 თუ^ნრ—თუნიერ
 თ^ს—თუხ
 თ^სით—თუხით
 თქმ^ა—თქუმაჲ
 კ^დ—კუდად
 კ^თლ—კუთილ
 მ^თ—მათ
 მიმ^რთ—მიმართ
 მ^რ—მიერ
 მ^რთ— } მიმართ
 } მომართ
 მრ^გლ—მრავალ
 მ^ს—მას
 მეფ^ბჲ—მეფობაჲ
 მქმ^დბჲ—მოქმედებაჲ
 მ^შნ—მაშინ

მხ^ლდ—მხოლოდ
 შ^დ—შირველად
 შ^{ის}დ—შირველისდ
 შ^ლ—შირველ
 შ^{ლი} შირველი
 ჟ^ა—ჟამსა
 ჟ^მ—ჟამ
 რ[—]რამეთუ
 რ^ა—რათა
 [თ]რ^თ—[თ-]ურთ¹
 რ^ი—რომელი
 რ^{თა}—რომელი
 რ^ლ—რომელ
 რ^{ნი}—რომელნი
 რ^ნ—რომელმან
 რ^{ის}თ^ს—რომლისა-თუხს
 რ^{ისა}—რომლისა
 რ^{ის}გ^ნ—რომლისა-გან
 რ^{სა}—რომელსა
 რ^ჟს—რამჟამს
 რ^ა—რაჲ
 ს^{ლი}—სული
 სბ^{მი}—საბამი
 სიწ^დე—სიწმიდე
 სმ^დსოდ—სამარადისოდ
 სს^წლი—სასწაული
 სც^ნრ^რს—საცნაურ აჩს
 სხ^დ—სხუად

¹ ეს თანდებული „ურთ“ ხელნაწერში მედამ იწერება წინ ასო „თ“-ის მიმატებით: თ^რთ=თურთ; ეს ასო „თ“ არის მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება და არა თანდებულის ნაწილი. ამიტომ, როცა, მაგალ., ხელნაწერშია: კა^კი თ^რთ, ჩვენ ვებუქვავთ: კაკით-ურთ.

სხ ^ლ - სახელ	შ ^ფ - უოფად
სხ ^ფ - სხუაფ	შ ^ა - შინა
შ ^გ - შუგ ^შ	შ ^დ - შემდგომად
შ ^ა თუ - შუგ ^შ თუ	შ ^დ თა - შემდგომადთა
უფ ^რ ს - უფროაფს	შ ^ნ - შუნ
ქ ^ბ ა - ქებაა	შ ^ს - შორის
ქ ^ე თა - ქრისტეანეთა	შ ^ს სა - შორისსა
ღ ^ა - ღმერთსა	შ ^ს ისა - შორისისა
ღ ^თ ებრი - ღმრთეებრი	ჩ ^ნ - ჩუენ
ღ ^ი - ღმერთი	ცხ ^რ ბა - ცხორებაა
ღ ^{ის} ა - ღმრთისა	წ ^თ ა - წმიდათა
ღ ^ი თა - ღმრთითა	წ ^{ის} ა - წმიდისა
ღ ^ნ - ღმერთმან	წ ^წ ელი - წინამწარმეტყუ ^შ ლი
ღ ^ა - ღმრთისაა	ჭ ^ტ - ჭეშმარიტ
უ ^ა - უოველსა	ჭ ^ტ ბა - ჭეშმარიტებაა
უ ^თ ა - უოველთა	ხ ^ა - ხოლო
უ ^ი - უოველი	კ ^ა - კამა
უ ^{ის} ა - უოვლისა	კ ^{ის} - კამის
უ ^ი თა - უოვლითა	ჯ ^რ ს - ჯერას.
უ ^ი თრთ - უოვლითა-ურთ	

ქარაგმიანი სიტყვების გახსნის დროს ზოგჯერ იმავე ხელნაწერის იმ ადგილებით ვსარგებლობდით, სადაც ესევე სიტყვები უქარაგმოთ გვხვდება, ზოგანაც — ეპოქის ორთოგრაფიით. ქარაგმაგახსენელი დავტოვეთ ერთადერთი სიტყვა „ნებ^ა“, რომელიც ერთხელ ქარაგმითა გვხვდება, ერთხელაც უქარაგმოთ, მაგრამ იმავე შედგენილობით (A 169^{5,6} = ჩვ. გამოც. 97¹²): ამ სიტყვის ნამდვილი ორთოგრაფია და ეთიმოლოგია ჩვენთვის გამოუჩვენებელი¹.

¹ შეად. ეს სიტყვა ჩვენს ლექსიკონში. — შესაძლოა ამ სიტყვას რაიმე ნათესაური კავშირი ჰქონდეს სიტყვასთან „ნები“, რომელიც გვხვდება წიგნში: „წარტყუ^ნვა იერუსალმისაა“ (გვ. 3, სტრიქ. 23) და რომელსაც ნ. მარრი სთარგმნის სიტყვითა *μαδονη* (T. и Paз. IX, თარგმანი გვ. 3, სტრიქ. 24—25), მაგრამ ჩვენთვის ეს კავშირიც გამოურკვეველია. — სამაგაეროთ ამ სიტყვის მნიშვნელობა, რომელსაც გვირ-

17. ჩვენი გამოცემის ძირითადს ხელნაწერში (A) საკმაოდ მოიპოება უბრალო წერიით შეცდომანი და თავისებურობანი.

ა) შეცდომათა რიცხვს ეკუთვნის: ერთისა და იმავე ასოს ან მარცვლის ზედიზედ გამოჩენა, ერთის ნაცვლით სრულიად სხვა (მაგრამ მსგავსის) ასოს ხმარება, ერთი-მეორის ადგილას გადასმ-გადმოსმა, სრულიად ახალი ასოების და მარცვლების ჩამატება, ან მთელი სიტყვების, მარცვლებისა და ასოების დაკლება, გადაშწერის მიერ, ნებისთ¹ ან უნებლიეთ, სიტყვების გამოცვლა და სხვანი.—ზედმეტად ასოები და მარცვლები უველგან გამოფრცხვით, დაკლებულები შევავსეთ (სწორი ფრჩხილებით []), ხოლო ადგილშეცვლილნი—თავის ალაგას დავაბრუნეთ. რაც შეეხება გადაშწერის მიერ, ნებისთ ან უნებლიეთ, დამახინჯებულს ადგილებს, მათი შესწორება მხოლოდ იქ ვსცანით შესაძლოდ, სადაც ამის ნებას თვით ქართულისავე თარგმანის კონტექსტი ან რუსული გამოცემის სხოლიოებში შეტანილი სიტყვა სიტყვითი თარგმანი ბერძნული ტექსტისა იძლეოდა². ჩვენ-მიერ შეტანილი შესწორებანი ამ შემთხვევაშიაც სწორი ფრჩხილებით

კვევს რუსული თარგმანი (ყвашенное бienie. იხ. ჩვ. ლექსიკონი), შექსა ჰენს „ვეფხის ტყაოსნის“ სიტყვას: „ნებასა“, „ნება-ნებასა“ (1903 წლ. გამოცემა, ხანები 106, 210, 352, 860), რომელსაც ჩვენი კომენტატორები განმარტებენ ასე: „ნელა, ნელ-ნელა“ (კარიბაშვილი, აბულაძე), მაგრამ, აზრით და კონტექსტით, ეს სიტყვა აღნიშნულ ტაეპებში ყველგან უმჯობესია აიხსნას ასე: ჩქარა, ჩქარ-ჩქარა.

აქა-იქ კარაგმის გაცხნაში შეცდომა შეგვაპროვა: 25₁₂ დაბეჭდილია „უკეთუ“, უნდა გასწორდეს ასე: „უკუტუ“, როგორც ხელნაწერის ორთოგრაფია მოითხოვს.

¹ ვგულისხმობთ იმ შემთხვევას, როცა გადაშწერს თავისებურათ ესმის ესა თუ ის ადგილი და დედნის საეჭვო კითხვას თვისი შეგნებინდა-კვალად ასწორებს.

² შეად. მაგალ. ჩვ. გამოცემა 26₄₋₇ და იქვე სხოლიო; 43₁₂₋₁₈ და სხოლიო და სხვანი. ზოგან შესწორება უფრჩხილოთაც დაგვიჩაბ, მაგრამ აპარატში ყოველთვის ნაჩვენებია ხელნაწერის შეცდომა (იხ. 72₃₋₉ და სხვ.).

[] აღენიშნეთ, ხოლო ხელნაწერის შეტდომანი აპარატში მოვათავსეთ¹.

ბ) ხელნაწერ A-ის უბრალო წერითს თავისებურობას წარმოადგენს ასო უ-ნის გამოსატყვა: ზოგჯერ ჭკუფითა აა| (ძლიერ იშვიათათ, ისიც მარტო სათაურებში), ზოგჯერ —|—ითა (ძლიერ ხშირათ) და ზოგჯერაც — შემოკლებულათ მარტო |—ით. უკანასკნელი ფორმა უ-ნის გამოსატყვისა A-ში საკმაოთ ხშირია².

A'-ში ასეთსავე თავისებურობას წარმოადგენს ასო „ა“-ის ხმა-რება ნაცვლად „ა“-ნის. ეს თავისებურობა A-ის იმ ფურცლებზედაც გვხვდება, რომელნიც შემდგომ არიან მის პირველ რვეულში ჩაკერებულნი და რომლებზედაც ტექსტი მე-18-ე საუკუნის ხელითაა გადაწერილი.

პირველი გვარის თავისებურობანი ჩვენ უველგან უ-ნით შევცვალეთ; ხოლო, სადაც ხელნაწერში ა-ნის ნაცვლად „ა“ იყო, იქ ჩვენს გამოცემაში უველგან ა-ნი აღვადგინეთ.

¹ სამწუხაროდ, ზოგან ჩვენ მიერ ჩატანილი სიტყვები და სიტყვის ნაწილები უფრჩხილოდ დაგვრჩენია, ზოგანაც ფრჩხილები და ახალი ასო უნდაგოა და უნდა ამოიშალოს. სწორი ფრჩხილები და ჩამატებული ასოები უნდა ამოიშალოს შემდეგს გვერდებზე და სტრიქონებში: 39_{1,2}, 62₂, სამაგიეროდ: 137₁₀ სიტყვა „ვიდრე-მე“ უმჯობესი იქნებოდა ასე დაბეჭდილიყო: „ვიდრე[-მე]“. — გვ. 47, სტრიქ. 1-ში ორი სიტყვაა გასასწორებელი, სახელდობრ: ფრჩხილებში ჩასმული „ბერძენნი“ უნდა ამოიშალოს და მის მაგიერად ჩაიწეროს „ელლინნი“, ხოლო სტრიქონის ბოლოდან მეორე სიტყვა „სულთა“ უნდა გასწორდეს ასე „სულთა“ და ჩაისვას დიდ სწორ ფრჩხილებში. — 148₂ მეორე სიტყვა უმჯობესი იყო ასე შეგვესო: [აღ]წვალებანი.

² ეს ფორმა უ-ნის გამოსატყვისა (ჰ-ით) საკრიტიკო აპარატში ჩვენ მარტო I-ელი თავის დასასრულამდე აღენიშნეთ, სანიშნოდ (იხ. ჩვ. გამოც. ტექსტი და აპარატი შემდეგი გვერდებისა და სტრიქონებისა: 5₁₁; 6_{1,10}; 7_{1,2,11,11}; 8_{2,2}; 9₂; 11₂; 15₇, 18_{10,10}; 19₈; 20₂; 21_{1,2,2,12}; 22_{1,2,11,22}). შემდეგი თავების აპარატში კი ეს განსხვავება აღარ შეგვიტანია. — ერთგან ხელნაწერის ფორმა ტექსტშიაც შეგვპარვია: ასთაკნი 27₂, რაც უნდა გასწორდეს ასე: ასთაკუნი.

18. ძირითადის ხელნაწერის ორთოგრაფია უკრადლებას იქცევს რეევიტ შემდეგი სიტყვების მართლწერაში:

ებისკოპოსი = ეპისკოპოსი,
ანკელსი = ანკელოზი,
აირი = აირი, ჭყერი = აერი,
ნებსითი = ნეფსითი,
უნებლიეთი = უნებლიითი.

ეს ფორმები ნაბეჭდ ტექსტშიაც უცვლელად შემოვიტანეთ.

ორთოგრაფიულ თავისებურებად მიგვაჩნია A-ის მიერ ერთგვარ სისტემად მიღებული გამოხატვა ჯგუფისა «უე» ჯგუფითა „უც“¹, როგორც სიტყვების საფუძვლებში, ისე საფუძველთა დასასრულში და სიტყვის დაბოლოებაში. ამ ჯგუფის ასეთი ორთოგრაფია მე-XII-ე საუკუნის სხვა ტექსტებშიაც გვხვდება¹. აკადემიკოსი ნიკ. მარჩი ერთს თავის გამოკვლევაში² ამ მოვლენას ეძახის «ОПИСКА»-ს. მაგრამ ძნელია, უბრალო «ОПИСКА»-დ ჩაითვალოს ის, რაც იმ დროის ხელნაწერთა მთელს რიგში ერთგვარ სისტემადაა ქცეული. თვით იოვანე ჰეტრიწისავე მეორე თარგმანის (სახელდობრ «კავშირნი»-ს) უძველეს, მე-XII—XIII-ე საუკუნის, ხელნაწერში, რომელიც «საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას» ეკუთვნის და რომელიც ძლიერ ახლო სდგას ნემესიოსის წიგნის გადმოთარგმნის დროსთან, აღნიშნული სისტემა უკლებლად დაცულია. სწორეთ ამიტომ ჩვენ ვერ გავბედავთ ამ სისტემის გამოცვლა და უკუ-

¹ იხ. მაგალითად, საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი № 24 (ეფრემ მცირის კრებული) რომელიც თ. ჟორდანიას კატალოგით მე-XII-ე საუკუნის დასაწყისშია გადმოწერილი (მაშასადამე თანამედროვეა ნემესიოსის წიგნის ქართულათ გადმოთარგმნისა) თვით ეფრემისავე ავტოგრაფიდან (Описание рукописей Тифл. Церковн. Музея... кн I, стр. 17). როგორც ზემოთ შევნიშნით, ამ ხელნაწერის ერთი ნაწილი ჩვენ გადმოწერილი გვაქვს და დასაბეჭდად დამზადებული. მთელ ხელნაწერში უმის გამოხატვა ჯგუფითა „უც“ ჩვეულებრივია.

² იხ. Тексты и Разысканія... кн. IX: Изследование, стр. 67—70. მეტათ საგულისხმოა პატივცემულის მეცნიერისავე შენიშვნა ამ მოვლენის შესახებ იქვე მე-70-ე გვერდზე (სტრიქონები 1—12

გდება, მხოლოდ აქა-იქ შევიტანეთ მცირეოდენი შესწორება¹ და გამოხატული შექმენით სიტყვისათვის „ჩ“², რომელიც ხელნაწერში მუდამ ქარაგმის ქვეშ არის შემოკლებული და რომელიც ევლგან გავსენით ასე: „ჩუენ“²; აგრეთვე აღარ აღვადგინეთ ასო ც ასო უ-ნის შემდგომ იმ შემთხვევაში, როცა ხელნაწერში უ-ნის ნაცვლად ნახმარია „ჴ“ და გვერდთ უზის ჩვეულებრივი ე; ასეთ შემთხვევაში „უ“ ევლგან აღვადგინეთ, „ე“-ნი კი უცვლელად დავტოვეთ (იხ. მაგალ. ჩუ. გამოც. 153³)³.

19. ფონეტიკური თავისებურობანი ძირითადი ხელნაწერისა შამეტებულ ნაწილად უცვლელი დავტოვეთ. აი უმთავრესნი მათგანნი:

ა) დიალექტიური ვ-ის ზოგჯერ ხმარება, ზოგჯერ კი გამოტოვება ხმოვანთა შორის და რ ის წინ: ცხოველი=ცხოელი; საშუაელ=საშუალობაჲ; ცხოვრებაჲ=ცხოვრებაჲ. ჩვენს გამოცემაში, ორივე ფორმა დაცულია.

ბ) უცვლელი დავტოვეთ, აგრეთვე, შემდეგი ფორმებიც: სხეულიანი=სხეულეანი=სხეულანი და სხვანი⁴.

გ) ამგვართვე ხელუხლებელი დავტოვეთ ხმოვანების შემდგომ ი-ნის ღ-დ შესუსტებაც: წარმოიჩინეს=წარმოაჩინეს; მოიხუოფეს=მოაზაუოფეს; მოიდუ=მოაღუ და სხვანი.

დ) ხელუხლებელი დავტოვეთ, რაღა თქმა უნდა, სრულიად კანონზომიერი გადასვლა ჯგუფებისა „სთ“, „სჴ“ და მისთანათა— „შთ“-ად, „შჴ“-ად და სხვ., მაგალითად, სიტყვებში: უზეშთაეს (22₇), თანშეშჴაჲ (58₇) და სხვ.

¹ სახელდობრ ც გადავასწორეთ მ-ნად (ისიც არა ყოველთვის) მიცემითისა და მიმართულებითი ბრუნვების საფუძვლის დასასრულში. იხ. სიტყვები: მარჯუელ 36₈, 71₁₈₋₁₄; სუელ 145₂, 149₂₀; სუესა 145₂₂, 151₁₇. თუმცა, ვგონებთ, უმჯობესია იქნებოდა ტექსტშიაც ხელნაწერი-სავე მართლწერა დავტოვებოდა.

² სამწუხაროდ ერთგან შეგვპარვია ტექსტში (135₁₇): „ჩუენზოლისთა-ზედა“, რომელიც უნდა გასწორდეს ასე: „ჩუენზორისთა-ზედა“.

³ იხ. მაგალ.: ჩუევაჲ 153₈ და სხვანი.

⁴ იხ. 11_{24, 28}; 12₆.

ე) ამავე საფუძვლით ეველებან უცვლელად დაიბეჭდა ხელნაწერთა „ც“ ნაცვლად ჯგუფისა. „ძს“ სიტყვაში: ძალ მიც, ძალ უც და სხვ.

ვ) მაგრამ ეპოქის (XII სსუკ.) ფონეტიკისთვის შეუფერებელი გვეჩვენებს (A-ში) ხმარება არქაიული ჯგუფისა „უი“ ნაცვლად ჯ-სი სიტყვებში: თუთიუელი, ღუინო, სხუითა, მიხუიდე, საფუშინეელი, ძუირი და სხვ., — მაშინ, როცა ამ ფორმების კვერდით, იმავე ხელნაწერში, გვხვდება: თათუელი, ღჯნო, სხჯთა, მიხჯდე, ძჯრი, საფუშჯეელი და სხვანი. ტექსტში უპირატესობა უკანასკნელ ფორმებს მიეცით, პირველნი კი აპარატში მოვითვასეთ.

ზ) გავასწორეთ, აგრეთვე, ხელნაწერთა მიერ ფონეტიკურათ დამახინჯებული „გულის-კმის-ყოფაჲ“ ასე: გულის-ხმის-ყოფაჲ; პირველი ფორმა კი აპარატში ვუჩვენეთ (49¹⁰⁻¹¹ და სხვანი).

წ) გამოფრინებთ ასო: „რ“ სიტყვაში „ურთი-ერთასს“, რომელიც ტექსტში ასე დაბეჭდეთ: „ურთი-ერთასს“, რადგან ხელნაწერში (A) ეს სწორი ფორმაც შენახულია¹.

თ) სიტყვები: „იუნეს“, „თქმული“ ხელნაწერში ზოგჯერ ასე იწერება: „იუნეს“, „თქმული“; ჩვენ უპირატესობა პირველ ფორმას მიეცით და, უმეტეს შემთხვევაში, უკანასკნელი ფორმა ტექსტიდან გამოფრინებთ, რაც აპარატში უფიქროსად აღნიშნული გვაქვს. მაგრამ აქა-იქ ტექსტში მეორე ფორმაც შეგვპარვია².

ი) ძირითადად ხელნაწერში ჩვეულებრივია რეევა შემდეგ ფორმათა შორის:

ბუნება=ბონება,

ოცნება=უცნება,

მოკუდავი=მოკოდავი;

აგრეთვე:

თჯს=თუს,

¹ იხ. 8, და სხვანი. — ერთგან (16₉) შეგვპარვია ტექსტშიაც გაუსწორებელი „ერთი-ერთასსა“, რომელშიაც უკანასკნელი „რ“ უნდა გამოირიცხოს, ხოლო დაბეჭდილი ფორმა აპარატში უნდა ჩატანილ იქმნას.

² იუნეს 19₂, 62; იუნენ 47₁, 52₁, 54₂, 120₁₀; თქმულთა 51₁, 52₄₋₇; თქმულ 57₆.

ღჯნო = ღუნო,

ტჯნი = ტუნი და სხვანი.

ჩვენ ტექსტში უპირატესობა პირველ ფორმებს დავეთმეთ, მეორენი კი სხვაობებში აღვნიშნეთ; თუმცა, იქნებ, უმჯობესი ეოფილიუო, სამ უკანასკნელ სიტყვაში მაინც, ორივე ფორმა დაგვეტყვა: შესაძლოა, აქ ჩვენ ფონეტიკურ დიალექტიზმთან გვეჭონდეს საქმე და ეს დიალექტიზმი თვით მთარგმნელისავე ტექსტისა იყოს¹.

20. საგულისხმო მასალებს იძლევა ძირითადი ხელნაწერის ტექსტა მორფოლოგიაშიაც. აქ მხოლოდ უმთავრეს მორფოლოგიურ უსწორ-მასწორებათ აღვნიშნავთ.

ა. კანკლედობაში (ბრუნვებში):

ა) მხოლოდობითი რიცხვის სახელობის ბრუნვაში როგორც ხმოვან, ისე თანხმოვანსაფუძვლიანი სიტყვები ზოგჯერ უ-ი-ოდ (=ა) გვხვდება, ზოგჯერ კი ი(=ა)-ით. კერძოდ, ე-საფუძვლიანი სიტყვები A-ში მუდამ უ-ა-ოდ იწერება. უკანასკნელნი ჩვენს გამოცემაშიაც უცვლელად შემოვიტანეთ², დანარჩენებში კი უველგან ადვადგინეთ ი(=ა) სწორ ფრჩხილებში (იხ. მაგალ. გვ. 32₁, 35₂₆, 53₁₆₋₁₇, 56₁₉, 57_{27,29}, 60₁₃, 138₂₀ და სხვანი).

ბ) ადვადგინეთ ა იმ საკუთრებითი სახელების ნათესაობის ბრუნვაშიაც, რომელთა საფუძვლის დასასრული ე-ნია. როგორც ვიცით, ამგვარ სახელებს ნათესაობის ბრუნვაში აქვთ ზ (= η -ა). ჩვენი ძირითადი ხელნაწერი კი, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ე-საფუძვლიან სახელებში „ა“-ს მუდამ აკლებს (სახელობითს ბრუნვაში), რაც, შეიძლება, მორფოლოგიური დიალექტიზმის ნაყოფი იყოს. ამგვარაფე

¹ ფორმა „ღუნო“, მაგალითად, დღესაც იმის იმერეთის ზოგიერთ სოფლებში. ხოლო, გარდამოცემით, იოვანე პეტრიწი გურული ეოფილა.

² დასაბუთდალ დამზადებულ ფურცლებზე ასეთი სიტყვები ჩვენ აღნიშნული გვექონდა სწორ ფრჩხილებში ჩასმულ „ა“-თი შემდგომ „ე“-ნი-სა, რომ შემდგომ ტექსტის კრიტიკისათვის გამოგვეყენებია. სამწუხაროდ, ეს პროექტი ორგან ნაბუქდ ტექსტშიაც შეგვეპარა (მმ_{1,2}; მმ₂), რაც, რასაკვირველია, უნდა გასწორდეს, ე. ი. ფრჩხილები და „ა“ უნდა ამოიშალოს, თუნდ მიტომაყ, რომ ჯგუფის „მმ“-ის გამოსახატავთ ძველი ქართული მწერლობა ხმარობს ერთ ასოს „პ“-ს და არა ორს.

იქცევა აღნიშნული ხელნაწერი საკუთრებითი სახელების ნათესაობითს ბრუნვაშია, რის გამოც ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვა ერთმანეთში ირევა; ეს კი—ტექსტის ტაკეას აძლეებს. ამიტომ ნათესაობითს ბრუნვაში ამგვარი სახელები უველგან ძველი კლასიკური მორფოლოგიის თანახმად შევასწორეთ, ე. ი. ასო „ე“-ის შემდგომ „ე“ უველგან აღვადგინეთ ასე: ჰველცხ-ებრ (10₂), მოსცხ-მიერ (14₃) და სხვანი. აქა-იქ დაგვეჭირდა ამ ასოს აღდგენა ო-საფუძვლიანს სიტყვებშია. იხ. მაგალითად: ღიღნიო[ე]სა-გან (121₃), საშო[ე]სა (157₃) და სხვანი.

ბ. შედარებითი ხარისხის დაბოლოება ცხ ხელნაწერებში
 მუდამ შეცვლილია დაბოლოებად ეს. ეს თავისებურება გამოცემაშიაც შემოვიტანეთ. აღვადგინეთ ასო **ე** მხოლოდ სიტყვაში „უფროაჲს“, რომელიც ხელნაწერში (A) ზოგჯერ ქარაგმითაა, ზოგჯერ უქარაგმოდ, და უკანასკნელ შემთხვევაში ხანდახან შენარჩუნებული აქვს ნაშეკარხმოვანი „ე“, რაც, ალბათ, ნაშთი უნდა იყოს ამ სიტყვის ჰეტრიწისეულის მართლწერისა.

გ. მიმოხვრაში ანუ უღვლილებაში:

a) ობიექტიურს ნაცვალსახელოვანს ჰრეთეჟს **ჰ**-ს სიტყვაში „ჰეო“ ხელნაწერი A ჩვეულებრივ არა ხმარობს. ეს თავისებურება გამოცემაშიაც დავიცავით. იხ. მაგალ.: შემზადებაჲ ეო 10₁₃₋₁₄ და სხვანი.

b) სამაგიეროდ, საჭიროდ ვსცანით აღვედგინა (სწორ ფრჩხილებში) მრავლობითის მაჩვენებელი ობიექტიური სუფიქსი (ანუ ინფიქსი) **ნ**, რომელიც A-ში მომეტებულ ნაწილად დაცულია და მხოლოდ აქა-იქ გამორჩენია გადამწერს (იხ. 18_{14,17}, 19_{20,22} და სხვ.).

c) მხოლოდობითის რიცხვის მესამე ჰირის შემწებობითი ზმნა აწმეო დროჲსა «არს» ხელნაწერში ხშირად შემოკლებულია ასე: „ა“. რაღა თქმა უნდა, ჩვენ ორივე ფორმა დავიცავით; მხოლოდ, როცა იგი სრული ფორმითაა ნახარი, განცალკევებით დავბეჭდეთ, თუმცა ხელნაწერში ზოგჯერ იმ სიტყვაზეა მიბმული, რომელსაც უკან მისდევს. გაღამით დაიბეჭდა ეს სიტყვა მხოლოდ სიტყვაში: „ჰერარს“, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

21. ხელნაწერის ტექსტის სინტაქსიურ უსწორ-მასწარობათა შორის უურადლებას იქცევს სახელობითის მანკინებელის დამოკიდებულებითის საბოლოო ელემენტის „ა“-ის ზოგჯერ უადაგო-ადაგას ხმარება, ზოგჯერაც სრულად გამოტოვება. ეს უსწორ-მასწარობა, შექლებისდაგვრათი, ეკვლვან გავასწორეთ. სადაც ა უადგილთ იყო ნასმარი, გამოვირცხეთ¹, ხოლო, სადაც გამოტოვებული იყო, სწორი ფრჩხილებით აღვადგინეთ (14₁₁, 15₁₀, 18₁₀, 22₁₂, 51₁, 65₁₃, 68₁₁, 74₂₀, 157₂₂ და სხვანი)².

მეორე თვალსაჩინო სინტაქსიურ უსწორ-მასწარობად უნდა ჩითვალოს, ეგრეთ წოდებულის, რაულ-მედგენილის შემასმენელის (პრედიკატის) წარმოება ზოგჯერ ბოლოვევტილი ბრუნვით (როგორც ძველ კლასიკურ პერიოდის ტექსტებშია მიღებული), ზოგჯერ—სახელობითით (როგორც თანამედროვე ქართულშია). ტექსტის ამგვარი რეკვა ჩვენ მხოლოდ აქა-იქ შევასწორეთ უძველესი ნორმების თანახმად³;

¹ იხ. მაგალითად, სხოლიო და ტექსტი 30₁₂, 35₆ და სხვანი.

² ამავე გვარის უსწორმასწარობათ ეკუთვნის ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვების მარჩენებელთა „ასა“ და „ათა“ ხელნაწერში ზოგჯერ „ა“-თი ხმარება, ზოგჯერ უ მ ი ს ო თ. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ეს ასო სწორი ფრჩხილებით აღვადგინეთ (ნ ა თ ე ს ა ო ბ. იხ.: 13₂₋₃, 79₂₆₋₂₇ და სხვ.; მ ო ქ მ ე დ ე ბ. იხ.: 13₆, 68₂₇, 160₆ და სხვ.).—საკიროა ასო „ა“-ს აღდგენა სიტყვაში: „ორლანოთასა“ (35₆₀), ასე: „ორლანოთა[ა]სა“.

³ ასე: მიუღრეველ არს 39₁ (შეად. აპარტშიაც); სხუა ვინა-მე 50₂₂ (იხ. აპარტშიაც); ნოტო 78₁ (შეად. აპარტშიაც) და სხვანი.—კარგი იქნებოდა შეგვესწორებია „რომელობაჲ“ 32₁₆—„რომელობა“-დ, რადგან ორი სახელობითის ზედიზედ ხმარება („მორთულობაჲ—რომელობაჲ“) აქ აძნელებს გაგებას, თუ რომელი მათგანია ქვემდებარე: აწ-რით და რუსული თარგმანის მიხედვით აქ ქვემდებარეა „მორთულობაჲ“, ხოლო „რომელობა და შემთხვევა“ რთულ-შედგენილი შემასმენელის ნაწილები არიან (მათთან იგულისხმება შემწეობითი ზმნა „არის“); რომ წინათ ქართულ ტექსტში „რომელობა“ ბოლოვევტილად უნდა ყოფილიყოს. ამას ამტკიცებს მის გვერდით მჯდომი ბოლოვევტილი „შეპ-

მომეტებულ ნაწილად კი ხელნაწერის ფორმები ნაბეჭდშიაც უცვლელად შემოვიტანეთ¹.

საზოგადოთ, აზრად არა გვქონია, თვით ჰეტრიწის ტექსტი აღგვედგინა, რადგან ეს ამ ჟამად უოფლად შეუძლებელი საქმეა; და ამიტომ ძირითადი ხელნაწერის ტექსტი ჩვენს გამოცემაში, უმეტეს ნაწილად, უცვლელად შემოვიტანეთ შეგვეცადეთ მხოლოდ, ამ ტექსტის გაკება შესაძლო გაგვეხადა იმ ქართულ ინტელიგენტთათვის, რომელნიც ამ თხზულების წაკითხვას მოისურვებენ; ამისთვის და მხოლოდ ამდენათ შევიტანეთ ნაანდერძე ტექსტში ის მტეროდენი ცვლილებანი, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. წვრილმანებში კი ვამჯობინეთ, ხელნაწერი ტექსტი არსებულის სხით დაგვეტოვებია: ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ ნაადრევია ძველი ქართული ტექსტების იდეალურათ სწორი გამოცემა. ქართველ მკვლევარს, ანამც თუ მე-XII-ე საუკუნისა, — მე-XI-ე და მე-X-ე საუკუნის შესახებაც არ შეუძლია გადაჭრით სთქვას, იცავდენ თუ არა სრულს ერთგვარობას მართლწერაში (და საერთოთა გრამატიკაში) მაშინდელი ქართველი მწერლები. რამდენადაც მე-X-ე საუკუნის მიქაელ მოდრეკილის ავტოგრაფული კრებული და მისი მსგავსი ნაშთები გვიჩვენებს, უკვე მე-X-ე საუკუნიდან დაწეებული, ერთი და იგივე მწერალიც კი რუეფას განიხილდა მართლწერაში². ამიტომ დიდი სიფრთხილიც მართებს ჩვენი დროის მკვლევარს: სანამ საკმაო და სანდო მასალა ჯეროვანათ შესწავლილი არაა და არც გამოქვეყნებულია, ძველი ქართული ტექსტების ორთოგრაფია მტკიცეთ განსაზღვრულ ნორმებს არ დაუქვემდებარ-

თხუცა“. — სწორეთ ამავე მოსაზრების ძალით უმჯობესი იქმნებოდა სიტყვა „შეზავებულება“ 34, ბოლოკვეცილად დაგვებებდა ასე: „შეზავებულე-ბა“: მასაც ხელნაწერში თან მოსდევს იმავე შემასმენელის მეორე ნაწილი „და არცა რომელობა“ ბოლოკვეცილად. — ამოსალებია „ა“ სიტყვიდან „სულისა“ 35, 27.

¹ შესაძლოა ეს უსწორ-მასწორობა თვით მთარგმნელისავე კალამს ეკუთვნოდეს.

² იხ. პავლე ინგოროყვა: „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“ წ. I, ტფ. 1913 წ. წინასიტყვაობა, გვ. VII.

როს და არ განაგდოს უოველივე, რაც ამ ნორმებს არ შეესაბამება, — რადგან მოსალოდნელია ამ შემთხვევაში ბუკრი რამ ისეთივე განკლებულ იქმნას, რაც თვით ავტორს კუთვნის და მთელი მისი ეპოქისა და სამწიგნობრო სკოლის დამახასიათებელია¹.

22. შკითხველისა და, განსაკუთრებით, მკვლევარის უურადლებას ჩვენს გამოცემაში მიიქცევს ის გარემოება, რომ საკრიტიკო აპარატში ნაწილები გვაქვს მხოლოდ A-ის განსხვავებანი, A²-ის განსხვავებანი კი არსად არაა აღნიშნული, ხოლო A¹-იდან წარიანტიები მხოლოდ იქ არის შემოტანილი, სადაც A-ის ნაკლებ ტექსტს A¹-დან ვაყვებთ².

განსხვავებათა ჩვენების ასეთი წესი ჩვენს გამოცემაში პირდაპირი შედეგია ჩვენის შეხედულებისა ამ საში ხელნაწერის ჩამომავლობაზე. ამ შეხედულების თანახმად, რომელიც ზემოთ გვაქვს გამოთქმული, წინამდებარე ტექსტის შედარებით უძველესი სახე A-ხელნაწერშია დაცული. დანარჩენი ორი ხელნაწერი (A¹A²) მის უხეირო ნაკვიანვე პირს წარმოადგენს. ესენი არ არიან განსხვავებულის რედაქციის მატარებელი, არამედ ერთისა და იმავე A-ის ტექსტის გამეორებას, ძლიერ ხშირათ მისს შემცირებას³ და არაიშვიათათ დამახინჯებას წარმოადგენენ. ამიტომ უჭიროდ არა ვსცანით, A¹-ისა და A²-ის დეფექტები და შეცდომანი საკრიტიკო აპარატში აკვენუსსა: ამგვარ შეცდომათა რიცხვი ამ ხელნაწერებში აუარებელია, მათი აღნუსხვა გამოცემის ქვედა სართულს მეტათ დაამძიმებდა, გამოცემას

¹ შუალ. იქვე გვ. VII—VIII. სწორეთ ამიტომ, შესაძლოა, უმჯობესი ყოფილიყო, არავითარი შესწორება არ შეგვეტანა სიტყვებში: „ჩაერ[ი]სა“ 28₁₁; „თვს[ი]სა, უცხო[ა]სა“ 167_{1,11}; „სხულოთა[ა]სა“ 57₁₀; „შორისნერგათა[ა]სა 12₁₇. ამ სიტყვებში ნათესაობითის მაჩვენებელი „ა“, რომლის ჩატანაც (სწორი ფრჩხილებით) ჩვენ გვეკუთვნის, სადავოდ შეიძლება დაიდვას. მაგრამ ამგვარ წერილმანებზე საუბარი ძლიერ შორს წავაციყვანს, ადგილი კი ნებას არ გვაძლევს ასეთს კითხვებს ვრცლათ შევებოთ

² იხ. გვ. 157—161; 164—167; 171—172.

³ იხ. დამატება VI.

უნაყოფოდ გადავირება, თვით ჰეტრიწის თარგმანის შესწავლაში კი იოტის ოდნატად წინ ვერ წაგვწევდა.

23. რომ შკითხველთათვის ამ წიგნით სარგებლობა გაგვეადვილებინა, ბოლოში ლექსიკონი და საკუთარ სახელთა სძიებელი დაფურთეთ.

ლექსიკონში სიტყვები, თითქმის, მუდამ მარტო იმ მნიშვნელობით გვაქვს განმარტებული, რომლითაც ტექსტში არიან ნახმარნი.

რის ახსნაც შეგვეძლო, ავხსენით რუსული თარგმანის დახმარებით და იმავე თარგმანიდან საბადლო სიტყვების ჩვენებით. როცა ქართული სიტყვის მნიშვნელობა ამა თუ იმ ადგილას ჩვენთვის კარგათ გამოარკვეული არ იყო, ხოლო მისი საბადლო სიტყვა რუსულ ტექსტში შეუსაბამოდ გვეჩვენებოდა, ასეთ შემთხვევაში ქართული სიტყვა ლექსიკონში განუმარტებელი დაგტოვეთ, მხოლოდ მის ჰიროდაშიორ თანასწორობის ნიშნით (=) ავხსუსეთ ის სიტყვა, რომელიც რუსულ ტექსტში ამ სიტყვის საბადლოდ არის ნახმარი. მაგრამ, სადაც რუსულ ტექსტში ქართულის საბადლო სიტყვის ჩვენება შეუძლებელი იყო, იქ ქართული სიტყვა მხოლოდ ავხსუსეთ ლექსიკონში, განუმარტებლად¹.

¹ იხ. სიტყვები: თანამებუნეობაჲ, ჩუნაჲ, ყამიერესობად, ჯერჩინებაჲ.—მაგრამ სიტყვა „მწდე 57.“ ლექსიკონიდან სრულიად უნდა ამოიშალოს, რადგან იგი თვით ტექსტშიაც შეცდომითაა მოთავსებული ნაცვლად სიტყვისა „მოწამე“.

აქვე აღენიშნეთ იმ შესწორება-შეცვლათ, რომელნიც საჭიროა ლექსიკონში შეტანილ იქმნას:

182_{ss} გვერდზე ნაცვლად სიტყვისა **განწვამლებამ**, შეცდომით დაბეჭდილია „ბანწვალეობა“, რომელიც უნდა გასწორდეს.

187 დაბეჭდილია: **მძსოკრიბ**, უნდა გასწორდეს ასე: **მძსოკრიბა**.

192 «თოკაძი»-ს ქართული განმარტება უნდა შეივსოს ასე: «გულმკერდი, გულბოყვი, ტანის ზემოთი ნაწილი, წელს ზემოთ მკლავებამდე».

საკუთარ სახელთა სიაში, სადაც საჭირო იყო, შევიტანეთ მოკლე საბიოგრაფიო ცნობები და აღვნიშნეთ ის თხზულებანიც, რომელნიც ტექსტში არიან მოხსენებულინი¹.

საჭიროდ ვსცანით, გამოცემისათვის დაგვერთო კიდევ შემდეგი საძიებელნი:

ა) დაბადების ტექსტებისა, რომელნიც ნემესიოსის წიგნში გვხვდებიან (დამატება III);

ბ) ხელნაწერის თავებისა ჩვენსა და რუსულ გამოცემაში (დამატება IV);

გ) ზოგიერთ საეურადღებო სხოლიოებისა, რომელნიც ხელნაწერებს არშიებზე აქვთ მოთავსებული, ჩვენს გამოცემას კი—საკრიტიკო აზრატში (დამატება V); და

198 სიტყვის „შიძაღაგაბაჟა“-ს განმარტება უნდა შეივსოს ასე: „მიტანა, უ წ ყ ე ბ ა ო т н о с и и т ь, მ ო ვ ხ ა შ ა ტ ხ; აქედან: შიძაღაგაბაჟლი 81₂₀—მთავარი (100), უწყებელი, ნაუწყები.

207 დაბეჭდილია: სიბღღუმი, რომელიც უნდა შეიცვალოს A-ის ორთოგრაფიის თანახმად (ჯგუფი „უტ“) ასე: სიბღღუტ.

219₁₁ დაბეჭდილია: „წინამანვლელი“; უნდა იყოს: „წინამანვლელი“.

220 სიტყვის «ხუროღა»-ს განმარტებას ბოლოში უნდა დაერთოს: ძველად ხ უ რ ო ჯ და ხ უ რ ო ვ ე ნ ო ბ ა ჯ ნიშნედა საზოგადოთ: ხ ე ლ ო ვ ა ნ ს, ხ ე ლ ო ს ა ნ ს და ხ ე ლ ო ვ ე ნ ო ბ ა ს, ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა ს (შეად. ნ. მარის წარტყუენეჟა იერუსალსმისაჟა, введеиіе, стр. 5, примѣч. 4).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკონის მთავარ სიტყვებში, რომელნიც, ეგრეთ წოდებული, კოროპუსით (№ 10 შრიფტით) არიან აწყობილნი, ასოები პ (პ) და კ (კ) ერთნაირი გამოვიდა, რადგან სტამბას უფრო მკაფიოდ განსხვავებული ეს ორი (მთავრული) ასო არ მოეპოებოდა, მართო ჩვენი ლექსიკონისათვის ახალი შრიფტის შეკვეთა კი მესტამებმ შეუძლებლად სცნო.

¹ ბეჭდვითი შეცდომანი ამ სიაშიაც შეგვეპარა: „ანამძსაღორაჟ“-ს განმარტების (222) მესამე სტრიქონში დაბეჭდილია: „(პომიომერიებისგან)“; უნდა გასწორდეს ასე: „(პომიომერიებისგან)“.

დ) იმ ადგილებისა, რომელნიც A^1 -ში გადამწერის მიერ გამოტოვებული არიან, ჩვენს გამოცემასთან და A^2 -სთან შედარებით (დამატება VI).

24. უკანასკნელ, ორიოდ სიტყვა ჩვენს გამოცემაში ნახმარნიშნა, სამოწმებელთა და შემოკლებათა შესახებ.

დიდი სწორი ფრჩხილები [] ნახმარი გვაქვს იმ ასოებისა, მარცვლებისა, სიტყვებისა და ფრაზების აღსანიშნავად, რომელნიც ხელნაწერის ტექსტში არ მოიპოებიან, არამედ ჩვენ მიერ არიან ჩატანილი¹.

რკალთვანს ფრჩხილებში () მოთავსებული გვაქვს ხელნაწერის ტექსტისავე ფრაზები, რომელნიც ავტორის ან მთარგმნელის მიერ არიან ნახმარნი, როგორც ჩართული განმარტებითი წინადადებანი².

სამოწმებელი დიდრონი ციფრებით აპარატში ნაჩვენები გვაქვს ტექსტის სტრიქონები, ხოლო წერილი ციფრებით (აქა-იქ)—იმავ სტრიქონის სიტყვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უოველთვის სათვალავში მიღებულია, როგორც დიდ სწორ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები, ისე წინა სტრიქონიდან გადმოტანილი სიტყვის ნაწილები³.—ლექსიკონში კი დიდრონი ციფრებით ნაჩვენებია გვერდები, ხოლო პატარა ციფრებით—სტრიქონები, რომელშიაც განსაზარტებული სიტყვა გვხვდება; ასევე ამ წინასიტყვაობაშიაც.

¹ ერთი შემთხვევის გარდა, სახელდობრ 26₁₋₇, რომელიც ტექსტში ხელნაწერისავე არშიიდან გვაქვს ჩატანილი (იხ. იქვე სხოლიოც აპარატში).

² იხ. მაგალ.: 115₁₀₋₂₀; 146₁₀₋₁₀; 152₁₁; 163₂₇₋₂₈; როგორც რუსულ ტექსტთან შედარება ამტკიცებს, უკანასკნელი ჩართული წინადადება (163₂₇₋₂₈) ქართველი მთარგმნელისაა; მისივე უნდა იყოს ორი სიტყვა „ოა ჩემდა“ (152₁₁).

³ სამოწმებელ ნიშნებში აქა-იქ შეცდომა შეგვაპარვია: 13 გვერდზე, კრიტიკულ აპარატში, მე-33-ე სტრიქონში, პირველი ორი პატარა ციფრი 9-10 უნდა ასე გადასწორდეს: 24₁.—ასეთივე შეცდომა გასასწორებელია 47₂ გვერდზე: აპარატში დაბეჭდილია 1₂, უნდა გასწორდეს ასე: 1₂, რადგან ან ნიშნის გვერდით მჯდომი „რ“თა“ ხელნაწერში ზის ნაცვლად

მატარა ჯვრით (+) ახარატში აღნიშნული გვაქვს ის სიტყვები, რომელნიც ხელნაწერს ტექსტში გადაწერის მიერ უნდა იყონ ჩატანილნი, ჩვენ მიერ კი ნაბეჭდი ტექსტიდან გამოირიცხულნი არიან. ახარატში ეს სიტყვები ზოგჯერ ჯვრის წინ არიან მოთავსებულნი, ზოგჯერ — ჯვრის უკან.

შემოკლებანი უმთავრესათ ლექსიკონში გვხვდება. აი მათი მნიშვნელობა:

ორბ. = «ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან». ტფილისი. 1884 წ.

Слов. = Словарь = «Краткій греко-русскій объяснительный словарь», რომელიც მოთავსებულია ნემესიოსის წიგნის რუსული თარგმანის ბოლოში.

«Одописцы» = ნიკ. მარრის თხზულება: «Древнегрузинскіе одописцы» Спб. 1902 г. (= «Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи» кн. IV).

დანარჩენი შემოკლებანი იმდენათ ცხადნი არიან, რომ, ვგონებთ, განუმარტებლადაც ყველასათვის გასაკები იქმნებიან¹.

სიტყვისა „სულთა“, რომელიც ტექსტში გვაქვს დაბეჭდილი 47, (სამწუხაროდ ეს სიტყვაც შეცდომით დაგვისტამბავს: მასში გამოხატულია მეორე „ლ“ და მთელი სიტყვა ჩასასმელია სწორ ფრჩხილებში ასე: [სულთა]).

¹ ლექსიკონისა და საკუთარ სახელთა საძიებელის შედგენის დროს ხელთ გვექონდა კიდევ შემდეგი თხზულებანი:

ა) დავ. ჩუბინაშვილის: «Русско-грузинскій словарь». Тифлисъ. 1901 г.;

ბ) А. О. Поспишиль: «Греческо-русскій словарь». Кіевъ. 1890 г.;

გ) ნიკ. მარრის: «Іоаннъ Петрицскій, грузинскій неоплатоникъ XI—XII вѣка. Спб. 1909 г. (Изъ «Записокъ Восточн. Отдѣл. Импер. Русск. Археолог. О-ва» т. XIX);

დ) შიხივე: «Георгій Мерчулъ. Житіе св. Григорія Хандзтійскаго» (=Тексты и разысканія... кн. VП). Спб. 1911 г.;

25. დასასრულ, ვთხოვთ პატივცემულ შკითხველებს: სანამ ჩვენ მიერ გამოცემულის ტექსტის კითხვას შეუდგებოდენ, ტექსტში ის შევსება-შესწორებანი შეიტანონ, რომელნიც წიგნის ბოლოში (დამატება VII), ამ წინასიტყვაობის სხოლოებში (გვ. XXV LV) და «ბეჭდვით შეცდომათა» ცალკე სიაში (გვ. 6) გვაქვს მოთავსებული. გამოცემაში შეპარული ზოგიერთი შეცდომა თავლსახინოთ სცვლის პეტრიწის ტექსტის ხსიათს და მის კითხვას შესამწნევათ აძნელებს. ვისაც საქმე ჰქონია პროფინციალურ სტამბებთან და გამოცდილი აქვს, თუ რამდენათ სასწლო პირობებში უხდება მუშაობა ჩვენებურს გამოცემელს¹, იგი არ გაიოცებს შეცდომათა შედარებითის სიმრავლეს ამ გამოცემაში და, დარწმუნებული ვართ, მის რედაქტორსაც ავი სიტუვით არ მოიხსენიებს. Feci, quod potui ამ პირობებში, რომლებშიაც მუშაობა გვიხდებოდა. Faciant meliora potentes, რომელთაც, ჩვენ შემდგომ, უკეთეს პირობებში მოუხდებათ მუშაობა.

ე) ბროკავუზისა და ვფრონის დიდი და პატარა ენციკლოპედიური ლექსიკონები, და

ვ) ალ. ბრონზოვის: «Точное изложение православной вѣры». Творение Св. Иоанна Дамаскина». Спб. 1894 г.

რაც შეეხება დავ. ჩუბინაშვილის «ქართულ-რუსულ ლექსიკონს», — ჩვენ განგებთ არ მიგვიმართავს იმისათვის, აგრეთვე არც რაფ. ერისთავის სამეწოვანის ლექსიკონისათვის ბუნების სამი სამეფოდან.

¹ ფრიად საგულისხმო და დამახასიათებელია ფაქტი, რომელსაც იხსენიებს ნიკ. მარრი ერთს თავის გამოცემაში (Тексты и разыскания... кн. IX, стр. V—VI).

გუნდგონიან-თჳს კაცონად

ნეტარისა მამისა ჩუენისა ნემესიოს
ემესელ მთავარებისკოპოსისაჲ

ΑΙ

ბუნებისათვის კაცისა

თავონად თქმული

თ ა ვ ი I

ბუნებისათვის კაცისა

კაცის სულის-გან გონიერისა და სხეულისა რჩეულად შემზადებაჲ,—და ესრეთ კეთილად, რომელ შეუწყნარებულ იყო სხეულზედ უმჯობესად შექმნაჲ მისი, გინათუ შემტკიცებაჲ,—მრავალთა და
10 კეთილთა კაცთა ეთნო. ხოლო გონიერად თქმისა-თვის სულისა ვინაჲვე იჭუნნი მოაქუნდეს, რომელ უკულ მოსრულმან გონებამან სულისად, ვითარცა სხუამან სხვსად, გონიერად შექმნაჲ იგი, ანუთუ გონიერებაჲ თვის-გან თვით და ბუნებით მოუციეს სულსა და ესე* არს

2 ემეელ მთავარებისკოპოსისა Α. | 4 ეს ორი სიტყვა ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერშიაც გვხვდება (იხ. რუს. თარგმ., გვ. 19, სხოლიო 1). | 5—6 ხელნაწერში ამ თავს არც სათაური აქვს და არც სათვალავი. ერთიცა და მეორეც Α²-ის საძიებელიდან ამოგვაქვს (ფურც. 280a), სადაც ვკითხულობთ: „თავი ბ—ბუნებისათვის კაცისა. თავი ზ—სულისათვის“ და სხვანი. ერთს საუკეთესო ბერძნულ ხელნაწერშიაც ამ თავს სწორეთ ესევე სათაური ჰქონია (შეად. რუს. თარგმ. წინასიტყვაობა, გვ. XXXIII). შესაძლოა მთელ წიგნსაც სახელი ამ თავის სათაურისაგან მიეღოს. | 9 შექმნა Α. | 10—11 ვინაჲ Α. | * ე. ი. გონიერებაჲ.

მისდა ნაწილ უკეთეს, ვითარ თუელი სხუელსა-შორის? ხოლო ვიეთ-
 მე—რომელთა-განი არს და პლოტინოს — სხუაობისა სულისაჲს
 და | სხუა[ობისა] გონებისაჲს გარდამოცემელთა, სამთა-გან ეტყულე- **A2**
 ბის შემტვიცნებაჲ კაცისაჲ: სხუელისა, სულისა-გან და გონებისა;
 5 რომელთა შეუდგა აპოლინარიცა, რომელი ლაოდიკიის იქმნა ეპის-
 კოპოს, რამეთუ ესე უკუწ დასწუალა საძირკუწლად თვისისა [თ]ნე-
 ბისად და ნამეტნაფნი დაჭრონა თვისისა-კებ გარდაცემისა. ხოლო
 ვიეთ-მე არა განაუენეს სულისა-გან გონებაჲ, არამედ არსებისა მისი-
 სს მთავარ უოფა გონიერისა იწადეს.

10 ხოლო არისტოტელი ძლითსა უკუწ გონებას თანაშემზადე-
 ბ[ულ]ად კაცისა, ხოლო მოქმედებითსა საჩუქმელთაჲთ ჩუენდად
 ზედშემოსრულად ითნებს*, არა უკუწ არსობისა და მეოფობისა კა-

2 პლოტინოს **A**. არშიაზე ტექსტისავე წმინდა ხელით: „და კუა-
 ლად დიდი პლოტინოს პლატონური სამთა-გან იგულებს შემტვიცნებასა
 კაცისასა: სხუელთა-გან, სულისა და გონებისა“. | 2, სწ⁶ებასა **A**. |
 4 კაცისა **A**. | 5 „აპოლინარიცა“; აქ არშიაზე ტექსტისავე წმინდა ხე-
 ლით: „ისმინე, რომელ ესე აპოლინარი ეპისკოპოსი არს ლაოდიკიისა,
 რომელი წვალებს ქრისტს-თვს, ვითარმედ კაცობრივი გონებაჲ არად საკ-
 მარ იყოო ქრისტს-თვს, რამეთუ თვთ ღმრთებებაჲ ენაცვალაო“. | 6-7 ნე-
 ბისად **A**. ასევეა დანარჩენ ხელნაწერებშია; — შესაძლოა პირველი ასო
 „თ“ გადაშწერს გამორჩენოდეს ან პირველ-დედანში გადაფეკილ-გადახუ-
 ნებული ყოფილიყო. | 10, ეს სიტყვა დედანშიაღ დიდი ასოთი იწყე-
 ბა, მაგრამ ახალ ნაკვეთს არ იწყებს. ახალ სტრიქონს ჩვენ ვიწყებთ. |
 10—11 გონებ⁶ მსა თანაშემზადებ⁶ ღად **A**. | 11 საჩუქმელთათ **A**. | * „ძლი-
 თი“ — შესაძლებლობითი, პოტენციალური, დინამიური; ხოლო „მოქმედე-
 ბითი“ — ძალა საქმედ ქცეული, ამოქმედებული, ენერჯია; — ამ სიტყვების
 განსამარტებლად ხელნაწერები არშიაზე შემდეგს საყურადღებო შენიშვნას
 ათავსებებენ ტექსტისავე წმინდა ხელით: „დაისწავე, რომელ არისტოტელი
 ორ სახედ იტყვს გონებისა-თვს: ძლითისა და მოქმედებითისა. და ძლითი-
 სა ყოველთა კაცთა-თვს დაემტვიცნების, ხოლო მოქმედებითისა ოდენ მათ-
 თვს, რომელთა იფილასოფოსეს. ხოლო თუ რაჲ არს ძლითი გონებაჲ და
 რაჲ — მოქმედებითი, აწ ცან: ძლითი უკუწ არს, რომელ შესაძლებელ იყოს
 ყოფად და არა იყოს წარმოჩენით, ვითარცა რაჲ კულარცხი ქათმად და
 მკირე ყმა მამაკაცად, და არ...“. სამსავე ხელნაწერში აქ წყდება ეს შე-
 სანიშნავი განმარტება. სჩანს მისი გაგრძელება იმ დედანშიაღ დაკარგული
 ყოფილა, რომლიდანაც ჩვენი ხელნაწერია გადმოწერილი. | 12 არსობ⁶ მსა
 და მყოფობ⁶ მსა **A**.

ცისაჲს გამასრულებელად, არამედ, წარმარებისა-თჳს | ბუნებითა ^{A3}
ცნობათა, მსედველობის შემწედ; ვინაჲცა მცირეთა კაცთა-მიერ—
და მხოლოდ რომელთა იფილოსოფოსეს— მოქმედებითისა გონებისა
ქონებას დაამტკიცებს.

- 5 ხოლო პლატონ* არა ჰზარბს თქუმად, თუ კაცი არს თანად-
მრჩობლთა-გან, სულისა და სხეულისა, არამედ სულს** | სხეულისა*** ^{A5}
ესევეთარად მშემარებელად [იტხებს], ღირსშუჭნიერად მეოცნე კაცი-
სა-თჳს; ამის-მიერ მომაქცევს ჩუენ სულისა მხოლოდსა ღმრთეებრი-
ობასა-ზედა და ზრუნვასა, რათა, სულისა ჩუენდა უოფად**** მრწმუნე-
- 10 ბეღნი, მხოლოდ სულისა კეთილთა ვსდევდეთ—სათნობათა და კე-
თილად-მისხურებასა, და არა სხეულისა გულის-თქუმანი შევიუყარნეთ,
ვითარ არა კაცისანი, —ნამდვლ უკუჭ და კაც არს, —არამედ ჰირვე-

1, კ'ციასა A. | 3 იფილოსოფოსეს A. | 2 ვინაჲცა A. | 5, ეს
სიტყვა ხელნაწერშიაღ დიდი ასოთი იწყება, მაგრამ ახალ ნაკვეთს
არ იწყება. | * არშიაზე შენიშვნა ტექსტისავე წმინდა ხელით: „და
ხოლო პლატონს არა სთნავს ორთა-გან შემტკიცებაჲ კაცისა: სუ-
ლისა და სხეულთა-გან; არამედ, ვითარცა უსაღმრთოესი, ესრეთ აღ-
მოაჩენს, ვითარმედ არა ღირს არსო, რათამცა სხეული სულსა, არა-
მედ ვითარცა რაჲ მეფესა სამეუფოჲს შეესაბამოს; და სახუროვნოთა
კურკელთა ხუროსა-მიმართ, ეგრეთვე სულსა სხეულთა-მიმართ, ყოველ-
სავე ნაქმადთა ვითარებასა სულისა მარად აღმოაჩენს და სხეულთა, ვი-
თარცა შეუსაბამოთა, მისდა საუღლოდ იტყვს, ვითარცა უმეტეს ყოველ-
თასა მესაღმრთოე“. ამ შენიშვნაში ჩვენ გავასწორეთ ორი სიტყვა: პლა-
ტონს (იყო: პლატონი) და სამეუფოჲ (იყო: სამეუფოსა). | ** ამ სიტყვის
შემდეგ A-ში (ჩაკერებულ ახალ ფურცლებზე, გვ. 3—4) მოთავსებულია
კიდევ 25-ოდე სტრიქონი, რომელნიც უხეირო პირს წარმოადგენენ იმი-
სას, რაც იქვე ძველ ფურცლებზეა უკეთ დაცული (გვ. 5—6; ამ მე-6
გვერდისა მე-3 სტრიქონი სიტყვამდე: „რამეთუ | ეზიარების“ დასვ.). |
*** ამ სიტყვით იწყება ხელნაწერ A-ში ძველი ღედნის ტექსტი (გვ. 5,
სტრ. 1-ლი). | **** არშიაზე ტექსტისავე წმინდა ხელით შენიშვნა: „ჩუენდა
ყოფად სული, ესე იგი არს, რათა უკუდავად არსებითა იყოს და მის-
მიერნი კეთილნი ჩუენდა მოიზიდვოდინ ჩუენდად“. მაგრამ ეს განმარ-
ტება სწორი არ უნდა იყოს, შეად. რუსული თარგმანი, გვ. 20—21. |
11 შვიციკარნეთ A.

ლად უკუტ ცხოველისანი, ხოლო კაცისანი შემდგომადღა, ვინამთგან ცხოველცა არს კაცი*.

კუდად უკუტ უფლებრივად სხეულთას სული ეოველთა კაც-
თა-გან აღსარებულა, რამეთუ ამის-გან, ვითარცა ორღანოა**, მიდრ-
5 კების სხეული: საცნაურ უკუტ ჭეოფს სიკუდილი, რამეთუ, განეშო-
რის რამ სული, ეოვლად უდრეკად და უქმად ჭტიეს სხეული, ვითარ
რამ კელონის განშორებას მიუდრეკეულად ჭტიეს ორღანოა. ხოლო
საცნაურ არს, ვითარმედ | და უსულოთადა ეზიარების და უტყუთა A6
ცხოველთაჲს-თანა აქუს ცხოველობისა და სიტყვერთაჲს-თანა მი-
10 უდიეს გაცონებისა [ძალი]: რამეთუ*** ეზიარების უსულოთა ვიდრე-მე
სხეულითა და ოთხთა ასოთა-გან შეზაგებითა****, ხოლო ნერგთა—

* არშიაზე ტექსტისავე წმინდა ხელით: „და არა შეყვარებაჲ სხე-
ულდებრივთა გულის-თქუმათა ემცნო პლატონის-მიერ, ვითარცა არა კა-
ციისათა, არამედ პირველ ცხოველისათა, ვითარცა არიან: კარი, ცხენი,
ძალი და სხუანი უტყუნი. არამედ კაცი ჰმატს ცხოველსა: არს მის-შო-
რის ცხოველიცა და სიტყვერი სული. აწ უწოდს კაცად სულს ოდენ
პლატონ, ესე იგი არს, მას ოდენ, რომელნიცა სიტყვერად ცხოვრებდეს;
ვინაცა უტყუად ცხოვრებულნი არა იჩინა კაც წოდებად, ვინაცა გულის...
ვეერ... ღირსნი პირველ ჩუენ-შორისისა უტყვსა ცხოველისანი | და შემ-
დგომადღა თუ დაერთოს სულთანი, ვითარცა იგი სიტყუა და სიბრძნე და
სათნოებანი პირველ სულისანი არიან და მერმედა სხეულთანიცა“. | 3 ეს
სტრიქონი ხელნაწერში ახალ ნაკვეთს არ იწყებს. | 3 სხველთასა A. |
** ამ ადგილს ხელნაწერი შენიშვნას უკეთებს: „ვითარცა ორღანოა, ესე იგი
არს, ვითარ ჭურჭელნი, რამეთუ, ოდეს განეშოროს ხუროჲ სახუროვნოთა
ჭურჭელთა, უქმად და უდრეკად, ეგრეთვე ოდეს განეშოროს სული სხე-
ულთა-გან, უქმ და უნაწილო იქმნებიან მოქმედებისა-გან“. | 7 მივდრეკე-
ლად A. | 8 უტყვთა A. | 9 სიტყვერთაჲსა თანა A. | *** არშიაზე წითე-
ლი მელნით, იმავე ხელით, მიწერილია: „ღანიშენ რი¹თა რ²თა მყფ³თგნ
ეზიარების კაცი“. A-ში ზოგან მელანი გადასულია, ზოგანაც ქაღალდი
ამოგლეჯილი. ეს შენიშვნა ამოგვაქვს A¹-იდან (გვ. 5). | **** ამ სამი უკა-
ნასკნელი სიტყვის განსამარტავად, არშიაზე (თუმცა სხვა ადგილას, ალბათ
გადამწერის შეცდომით), იმავე ხუტური ხელით მოთავსებულია შემდეგი
შენიშვნა: „საცნაურ არს ზიარ უსულოთა, ვითარ: ქუეყა-
ნითა [და წყლ]ითა და ჰაერითა და] ცეცხლითა, არ სულითა .და
უგრძნაულთა თმითა და ძალითა, ხოლო გრძნობადთა სხეული მგრძნო-
ბელობითა და ანგელოზთა სიტყვერებითა და მიმოგონებითა“.

ამიტაც და მოზარდობისა და შთესველობისა ძალითა; ხოლო უტყუ-
 თა—ამათ-შორისცა უკუჭ, მაკრა ნაწლოვნობით და დახუდომისა-
 ებრ მიმართებთაცა* და შნებებელობითა და წერომითა და მგრძნობ-
 ლობითა და მეშვნელობისა ძალითა, რამეთუ ესე ყოველი საზიარო
 5 კაცთა და უტყუთა არს, დაღათუ არა ყოვლითა ყოველთა**. ხოლო
 თანაშენების*** სიტყუარებისა-მიერ უსწულოთა და გონიერთა ბუნე-
 ბათა, ვითარცა მსიტყუველი და განმკონე და განმსჭუელი და თუთე-
 ულისა მიმდგომი და, თხემისა მის სათნობათაჲსა, კეთილად-მის-
 ხურებისა შემტკობებელი; რომლის-თხსცა ვითარ შორის საზღვართაჲ-
 10 სა არს კაცი: გონიერთა და გრძნობადთა არსებათაჲსა, თანაშენებე- A7
 ლი უკუჭ სხეულოთა და სხეულებითა ძალითა უტყუთა ცხაველთაჲ

1—2 უტყუთა A. | * არზიაზე წმინდა ხუტური (A6=A¹6): „ნაწი-
 ლოვნობით დახდომისა-ებრ მიმართებითა, ესე იგი არს, რომელ ზოგჯერ
 ზოგი რაჲ-მე ნებაჲ ექმნების და ზოგჯის ზოგი და არა ერთობით და
 მასვე და ერთსა ჟამსა-შინა ყ^ავე და დახუდომისა-ებრ მიმართებითა იუწ-
 ყე, რამეთუ კაცისა-შორისცა ცხოველი მასვე იქმს, ვითარცა უტყუ ცხო-
 ველი, რამეთუ რაჲცა იხილოს და თუ მოუნდეს მართლ დაუკადებელად
 იწყებს მიმართებად, არამედ კაცის-შორისი სიტყუას-მიერ აღვირსხმულ
 იქმნების ესე ა[რაჲ]-ს-თუნ ცხოველისა არს, არამედ სულითაჲ. | 5 უტყუ-
 თა A. | ** შენი შენა არზიაზე: „ესე იგი არს ზოგითა ზოგთა და არა ყოვლითა
 ყოველთა. | *** არზიაზე წმინდა ხუტური ხელითვე: „თანაშენებაჲ ესე არს,
 იუწყე, რამეთუ შემოქმედმან ესე კაცი მესაშუველად წარმოაჩინა გონი-
 ერ[თა] და გრძნობადთაჲსა, რომელ არიან სხეულთაჲნი, და ამის კაცისა-
 მიერ თანაშეკრთნა და თანმოჰრთნა უსხეულთანი სხეულთაჲთა, ვითარცა რაჲ
 ორნი ბაგენი მდინარეთანი; რამეთუ საშუველ კიდისა-მიერ ეზიარებიან
 იმიერ-მყოფნი ამერთა, ვინაჲ ესრე-სახედვე ამის კაცისა-მიერ გონიერნი
 და სამარადისონი გრძნობადთა და წუთთა; რამეთუ კაცი, ვითარცა ორ-
 თა-მიერ შეერთებული, ორთავე აზიარებს თვისთა მით მესაშუველობითა
 (A6); რამეთუ გონებითა და სულითა, რამეთუ სხეულითა და სხეულთა-
 ნითა და გრძნობადთა, რამეთუ ისიტყუა, მესაშუველთბს ორთავე ამათ,
 რომელთა მიერ უმეტეს საჩინო იქმნების ძალი და მოქმედებაჲ ყოველთა
 შემოქმედისაჲ, რათა ურთი-ერთას მოზიარე და თანატომ იყვენენ ყოველნი
 დაბადებულნი, ვითარ რაჲ იგი ესენი ურ..... და თან.... ნაჲცა..... გე-
 ბისა..... უმეტეს განთ...“ (A7=A¹6). | 6 სიტყუარებისა-მიერ A. |
 7 მსიტყუველი A. | 8—9 კეთილადი-მსახურებისა A. | 11 უტყუთა
 ცხელთაჲ A.

და უსულოთა, ხოლო სიტყუერებითა უსულოთა არსებათა, ვითარ
 ისიტყუა ბირველვე. რამეთუ, ვითარ ჭკავს, შემოქმედი უმცირესთა-
 გან ურთი-ერთას შესახებს განთავსებულთა ბუნებათა, რათა ერთ უოს
 და თანატომი ყოველი აკებულე; რომლისა-გან უფროდსად ირუსწების
 5 ერთყოფაჲ ყოველთა მყოფთა შემოქმედისაჲ; რამეთუ არა მხოლოდ
 შეკერთნა არსებანი ნაწილფონობით განუკუწთელთანი, არამედ და თუთუ-
 ულნი თანად ურთი-ერთას მორთულ ეფნა საკუთრებით; რამეთუ, ვი-
 ნა[ქვე] თუთუელთა ცხოველთა-შორის შეკერთნა უგრძნულნი მგრძნო-
 ბელთა, — ძუაღნი და ფრჩხილნი და თმანი და სსუანი უგრძნულნი
 10 გრძნობადთა ძარდუთა და სსუათა, — რომლის-თავსცა შექმნა უგრძნო-
 ბელთა-გან და მგრძნობელთა შეკრებულნი ცხოველი, და არა ხოლო
 შეკრებულად, არამედ და ერთმყოფადცა აღმოაჩინა; | და ესრეთვე A8
 სსუათა გუაროვანად აკებულთა-ზედა ქმნა შემნაწევრებულმან ურთი-
 ერთას მცირედ-მცირედ თავსებითა და ცვალებითა ბუნებისაჲთა, რა-
 15 თა არა დიდად განუენებულ იუენენ ყოვლად უსულონი ნერგთა-გან,
 მქონებელთა მოზარდობითისა ძალისათა, და არცა და კუადად ესენი
 უტუეთა და მგრძნობელთა ცხოველთა-გან, არცა უტუენი სიტყუერ-
 თა-გან უცხოდ ყოველი-ერთ და შეუზავებულ თვნიერ საკრველისა
 რაჲსა-მე თანამებუნებობისა და ბუნებითისა იუენენ; რამეთუ განიყოფე-
 20 ბის ვიდრე-მე ქვაჲცა ქვისა-გან ძალითა რაჲთა-მე და რამეთუ მად-
 ნანტი ქვაჲ კიდე საგონებულ არს გამოსრულად სსუათა ქვათა ბუნე-
 ბისა და ძლისა-გან, რამეთუ საჩინოდ მიიზიდავს თავსდა-მიმართ და
 პერობითა რკინისაჲთა, ვითარ საზრდედ თავს ყოფად მკუდელებლი
 მისი, და არა მხოლოდ ერთსა-ზედა რკინისა მჩუენებელი ამის მო-
 25 ქმედად, არამედ სხვსა-მიერ მპერობელად სხვსა და ერთბამად მი-
 ცემად ქონებულთა ყოველთა ძალისა თვისისა: იპერობების უკუწ | რკი- A9
 ნაჲ რკინისა-მიერ, რაჲმს მადნანტისა-მიერ თუთ იპერობებოდის.

1 სიტყვიერებითა A. | 2 ისიტყვა A. | 24 რკინისა მჩუენებელი A. |
 25 აშსხვისა შრ მპერბლდ სხუსა A; ჩვენის ფიქრით ამ ფრანზის პირ-
 ველი ორი ასო „აშ“ უნდა წარმოადგენდეს ქარაგმიანს „აღ“ (==არა-
 მელ), რადგან ხუტურში ასო უ ზოგჯერ ერთტოტიანად (ბ) იწერება და
 შ-ანსა ჭგავს. | 27 „რაჲმს მადნანტი დისა მიერ იქ იქონებოდის“ A;
 ვასწორებთ რუსულ-ბერძნული ტექსტის მიხედვით (იხ. რუს. თარგ. გვ.
 23, სტრიქ. ზემ. 1).

მერმე კუაჲად შემდგომითი შემდგომად ნურგთა-გან ცხოველთა-ზედა მიმმართებულმან* არა შეუსუელად მიმომაყალსა-ზედა და მგრძნობელსა მიმართა. ბუნებასა, არამედ მცირედ-მცირედ კეთილმორთულად მოვიდა ამას-ზედა; რამეთუ პინასნი და აკალიფანნი, ვითარ გრძნობა 5 ბადნი ხენი, შეჰქმზადნა, რამეთუ ძირთან ეყნა იგი[ნი] შორის ზღვსა, მსგავსად ნურგთაჲსა, და, ვითარ შეშაჲ, კეცი გარეშემოსლჳა მათ და ვითარ ნურგნი შექმნნა იგინი, ხოლო მგრძნობელობაჲ მისცა მათ შემსებელობისაჲ, რომელ არს სსზოგადო გრძნობაჲ უოგელთა ცხოველთა, რათა ეზიარებოდინ ნურგთა, უკუშ ძირფანობა 10 ბითა და დგომითა, ხოლო ცხოველთა — შემსებელობითა, არამედ და დრუბელსაცა, რაჲცა გარემოხუტულა კლდეთადა, ერთგან შემდგომელობითა და მაშინებელობითა, რაჲმს მოსლჳა იგრძნობსო ვისიცა, — ვითარცა არისტოტელი აღნიშნაჲს; რომლისა-თვისცა და ესევეთართა უოველთა ცხოველ[ნურგად] წოდებად ჩუტულებაჲ აქუს უოველთა A 10

15 უძუნლესთა ბრძენთა. ხოლო კუაჲად პინასთა და ესევეთართა-თანსა შეაყო მავალთა უკუშ ცხოველთაჲ მსგავსი. შობაჲ, ხოლო შორს მიმოსლჳად ვერშემძლებელობაჲ, არამედ თჳს-გან და თჳსად სდავე მოძრაობაჲ; რამეთუ ესევეთარ არიან უმრავლესნი კეცტუაონთანნი და 20 ქუნესანის-ნაწლეგთანნი. ესრეთ უკუშ თჳთოველად დასძინა რაჲ რომელთა[მე] გრძნობაჲ უფრთჲსი, ხოლო რომელთა-მე მავალთაჲ უფროჲსად, და მერმელა უსრულესთა-რე უტყუთა ცხოველთა-მიმართ მივიდა; ხოლო ვიტყჳ უსრულესად მქონებელთა უოველთა სგრძნობელთასა და შორს სლჳად შემძლებელთა; არამედ კუაჲად მივიდა რაჲ 25 უტყუთა-გან მეტუწლეს ცხოველსა-ზედა, რომელ არს კაცი; არცა ესე იჩქითად შეჰქმზადა, არამედ პირველად და სსუთაცა ცხოველთა-შორის ბუნებითნი რანნი-მე გულის-ხმის-ყოფანი და კელოვნებანი და გულარძნილობანი მაცხოვნებელობისა-მიმართნი დასხნა, რათა მასლობელ სიტყუერთა | ესე ჩნდენ, და ესრეთდა, ჭეშმარიტად სიტყუ- A 11

30 რი [ცხოველი], კაცი წარმოაჩინა.

* იგულისხმება: შემოქმედმან. | 3 მიიშართა A. | 4—5 გრძნობაბადნი ხეებნი A. | 6 ზღუისა A. | 11 და რაჲცა A; და ერთგან A. | 15 ბრძენთასა A. | 17 თჳსად A. | 25 უტყუთა-გან A. | 27 ბუნებითნი A; გულის-ემის-ყოფანი A. | 29 სიტყუიერთა A. | 29—30 სიტყუიერი A.

ესრეთვე კმასცა-ზედა მეძიებულმან ჰუმო*, რამეთუ მარტივი-სა-გან და მხოლოსნის ცხენთა და ზროხათა მკომბარეობის თითო-ეულად ფესუანის ფერად-ფერადის-მიმართ და განთვსებულის წარ-მოაჩინეს რაჲ ურანთა და მჭურინავთა ქათამთა კმისა-გან, ვითარ
 5 ნასმანანის-მიმართ და სრულისა კაცობრივისა კმისად სრულ იქმნეს; კულად** უკუტ ნაწევარანი მიმარქუმად, შეესო რაჲ გაცონებას და გულის-სიტუვას, ქადაგადცა შეიქმნა იგი გონებითთა მიმომიდრე-კათამსა. და ესრეთ უოველნი უოვლად თანამორთნა და თანაშეკარნა მუსიკელებრივ და ერთისა-მიმართ შეკრიბნა გონიერნი და უხილავნი
 10 და კულად ნივთიერნი ესე და ხილულნი საშუელობითა კაცთა ქმნუ-ლობისაჲთა. რომლისა-თვს კეთილად მოსემანცა, შესაქმის გარდა-მომცემელმან, დასასრულსაჲდა თქუა შექმნამა კაცისაჲ, რამეთუ არა ხოლო უოველთა მის-თვს შექმნულთა შემდგომითი შემდგომად შე-
 15 რამეთუ გონიერისა არსებისა და უოვლად ხილულისა ქმნულებისა შერ-მელა ჭერი უო ვინაჲვე და შემკრეველად შრომობთა მათ, რაჲთა ერთ იუოს უოველი და თანამეგნე თვსსა და არა უცნო იგივე თვსსა. იქ-მნა უკუტ შრომობთა ბუნებათა შემრთველ ცხოველი კაცი. არამედ შე-
 20 ესევეთარებ, რათა საზღვართა-შორის უტყვას და სიტყუერისა ბუ-ნებისათა დაწესებული კაცი, უკუტთუ სხეულთა-ზედა ვიდრე-მე მიი-ღუაროს და სხეულთანი უფრომასად შეიუარნეს და უტყუთა შეიტ-კბოს ცხოვრებაჲ, ამათცა-თანა ვინაჲვე აღირაცხოს და მიწისა-გა-ნად იწოდოს ზავლქს-ებრ და ესმეს: „ქუტყანამ იუაგ და ქუტყანად

A 12

1 ხელნაწერშიაჲც ეს სტრიქონი ახალ ნაკვეთს იწყებს და დიდი ასო-თიჲ იწყება. | * არშიაზე ტექსტისავე წმინდა ხელით: „იხილე შვენიერი კმათა-თვს“. | 3 განთუისებულისა A. | ** არშიაზე (A¹): „იხილე შვე-ნიერი“; A. ში კი ეს მინაწერი წაჭრილია და ზოგიერთილად ასო მოსჩანს. | 7 გულის-სიტყვასა A. | 9 მიუსცელებრივ A. | *** არშიაზე: „დანაშენ, თუ რაისა-თვს შემდგომად ყოველთაჲსა შეიქმნა კაცი“. | 17 თვსსა A. | 22 შეიყვარნეს და უტყვთა A. | 23 ვინავე A. | 24 იწუდოს პრვლი-სებრ A; უკანასკნელი სიტყვა A-ში თავდაპირველათ გადაბმით ყოფილა დაწერილი ასე: „პავლეისებრ“. შემდეგ სხვა ხელნით გადაუკეთებიათ ამ-გვართ: ასოები „ავ“ — „რვ“-დ, ხოლო პირველის „ე“-ისა მარტო წინა

მისჯღე* და თანაშეკრაცხა უტუუთა უგუნურთა და მიემსკავსა მთ; ხოლო, უკუშტუ სიტყუერთა-მიმართ გზაენა უოს, შეურაცხის-მყოფელ-მან უოგელთა სხეულისთა გემოთამან, სდმრთოს | უკუშ და ღმრთის- AI 3
 5 მყოურებითს ცხორებასა თანმიუკდეს, ვითარ საკუთრებით კაცის-
 6 სს, და იუოს ვითარ ზეცისა იგი, თქუმ[უ]ლისა მის-უბრ: „ეგევი-
 თარნივე ზეციერნი და ვითარი მიწისაჲ, ეგევითარნივე მიწიერნი-“**. ხოლო სიტყუერებითისა ბუნებისა თაგ არს ლტოლვაჲ უკუშ და გ-
 რემიქტევაჲ ბორტთაჲ, თანამიუოლაჲ და აღრჩევაჲ კეთილთაჲ. არამედ კეთილთაჲ რომელი-მე უკუშ მზიარებლობითი არს სულისაჲ
 10 და სხეულისა, ვინაჲ და სულისა-მიმართვე აქუნდეს ამისიცა აღუყანე-
 ბაჲ, ვითარცა რაჲ სულისა სხეულთა მკამარებელისაჲ, ვითარ არიან სათნოებანი, ხოლო მარტოდ სულისა სათნოებანი და სხეულისა თანა
 არა მოქენისანი, ვითარ კეთილმსახურებაჲ, გინა მყოფთა მხედველო-
 ბაჲ. აწ უკუშ რაოდენნი კაცისა ცხორებასა, ვითარ შეჰკავს კაცისა
 15 ცხორებასა, აღირჩევდენ, და არა ვითარ ცხოველისსა მხოლოდ, —
 სათნოებათა თანამაჲგად ექმნებიან და კეთილად-მსახურებასა. ხოლო
 თუ რომელნი არიან სათნოებისანი და რომელნი კეთილად-მსახურე-
 ბისანი, შემდგომთა-შორის განისჯვოს, რაჲამს სულისა-თჳს და
 სხეულისა გარდამოვსცეთ სიტყუაჲ, რამეთუ არდასდა უწებებულა, AI 4
 20 თუ რაჲ-მე არს სულეი ჩუენი არსებით, და არა შესატყუს არს ზირ-
 ველ ძალთა და მოქმედებათა-თჳს მისთა თქუმაჲ.
 ებრაელნი უკუშ კაცისსა დასაბამით-გან არცა განჩინებით მო-
 კლავდ და არცა უკუდავად შექმნასა იტყუან, არამედ. საზღვართა-შო-
 რის მრჩობლთა ბუნებათასა, რათა, უკუშტუ სხეულისთა შეუდგეს
 25 ვნებათა, სხეულეანიცა შეემთხუნენ მიმოქტევიანი; ხოლო, უკუშტუ

კბილი (რომელიც ხუტურში რი“-სა ჰგავს) დაუტოვებიათ, დიდი ფეხი
 კი ამოუფხვიათ; შემდეგ სხვა მელნითვე „ვლ“-ს ზემოდან ქარაგმის ნიშა-
 ნი დაუწერიათ, რის გამოც იკითხება: „პრე'ლისებრა“, ე. ი. „პირველი-
 სებრა“; A¹ და A² ხელნაწერებსაც სწორეთ ამ უკანასკნელი სახით გადა-
 ულიათ ეს სიტყვა.

* შექმნათა III, 19: „მიწა ხარ და მიწადეა მიიქტე“. | 1 უტყვ-
 თა A. | ** ბ კორინთ. XV, 48. | 7 სიტყვიერებითისა A. | 14 რაუდენ-
 ნი A. | 17, სთნ'ბნი A. | 28 უკვდავად A.

სულისთა ჰატიე სტეს კეთილთა, უკუდავებისა ღირს იქმნას. რამეთუ, უკუწთუ დასაბამით-განეე მოკუდავად შეექმნა იგი ღმერთსა, არამცა მტოდეველი სიკუდილითა დაესაჯა, რამეთუ მოკუდავი მოკუდავებითა არაფინ დას[ა]ჯოს; არამედ და, თუმცა კუალად უკუდავად დაებადა, არა-
 5 მცა საზრდელისა მოქენედ შეემზადა იგი, რამეთუ არაფინ უკუდავ-
 თაჲ საზრდელსა სსუელთანსა მოქენე არს; არცა-მცა ესრეთ ადვილად
 შეინანს და ქმნილი უკუდავად მსწრაფელ მოკუდავადმცა შეექმნა, ვი-
 ნაჲ* | თაგან არცა მტოდეველთა ანგელოზთა-ზედა ჩანს ესრეთ მოქმე- A16
 დად, არამედ დასაბამით-განის ბუნებისა-ებრ უკუდავად ეგნეს სსჯსა
 10 მომლოდენი შეცოდებისა-თჯს მსჯაგრისა და არა სიკუდილისანი. უმი-
 ჯობეს არს უკუწ ესრე, გინათუ ესრესსხედ გაგონებად წინამდებარე-
 სსა, ვითარმედ მოკუდავად უკუწ შეიმზადა, ხოლო შემძებელ იყო,
 რათა წარმართებისა-გან სრულქმნილი უკუდავ იქმნეს, რომელ არს
 ძლითად უკუდავი. ხოლო, ვინაჲთაგან არა უმჯობეს იყო მისდა ჰირ-
 15 ველ | განსრულებისა ცნობად ბუნებისა თჯისსა, ამცნო არ გემოჲს- A17
 ხილვად ხისა-გან ცნობადისა, რამეთუ იფენეს და უფროჲსდა ხოლო
 და არიან აწცა ძაღნი ღიღინი შორის ნერკთა[ჲ]სსა, ხოლო მამინ, ვი-
 თარცა დასაბამის სოფლის შესაქმისსა უზადლოდ მუოფთა, ძლიე-
 რებითნი აქუნდეს მოქმედებანი. იყო უკუწ გემოჲს-ხილვა რომლისა-
 20 მე ნუოფისა შე[მ]ქმნ[ე]ლი ცნობისა თჯისსა [ბუ]ნებისაჲსა. და
 არა ეკულებოდა მისი ღმერთსა, ჰირველ სისრულისა, ცნობად თჯი-
 სსა ბუნებისა, რათა არა, ცნას რაჲ თჯი მოქენე-უოფა მრავალთა,

* აქ ისევე წყდება A-ში ძველი ღედნის ტექსტი და შემდეგ იწყება ახალ ფურცლებზე აღდგენილი მეორე ადგილი. ამ ნახევარ სიტყვის („ვინაჲ-“) შემდეგ A-ში (ახალ ფურცლებზე, გვ. 15—16, ამ უკანასკნელისა მე-7 სტრიქონამდე) გამოვარებულია იგივე, რაც A-ისავე მე-14 გვერდზე ძველი ხელითა მოთავსებული, დაწყებული ნახევარი სიტყვით „-ულისა“ და გათავებული ნახევარისავე სიტყვით „ვინაჲ-“; რალა თქმა უნდა, ამ ადგილს ჩვენ აღარ ვიმეორებთ და ტექსტს განვაგრძობთ პირდაპირ ამ უკანასკნელი სიტყვის („ვინაჲ-“) მეორე ნახევრით: „თგან“ (A, გვ. 16, სტრიქ. 7, უკანასკნელი სიტყვა). ასეა A¹ და A²-შიაც, როგორც აქ იბე-
 კდება. | 8-9 საქმედად A. | 10 მამლოდენი A. | 13 იქმნეს A. |
 14, ძლდ A. | 15-16 არ გემოსხილვად A. | 18, შემოქმედისასა A. |
 20, ნებისა A.

სხეულთანთა საკმართა მზრუნველმან დაუტეოს სულისა განკებაჲ. და ამის მიზეზისა-თჳს დააყენა იგი მიღებისა-გან ნაყოფისა ცნობადისა[ა]ს. ხოლო უსმ ექმნა რაჲ და იცნა თაფი თჳსი, სისრული-სა-გან უკუჭ განფარდა და, სხეულთანთა მესაკრმე-ქმნილმან, მსწრაფლ 5 უკუჭ საბურველი იძია, რამეთუ იტყჳს | მოსე, ვითარმედ შიშულ არსო, იუწყა; ხოლო ჰირველ განკრეებასა-შინა შექმნა იგი და უმე-ცრებასა-შორის თაფისა თჳსისას. განფარდა უკუჭ განსრულებისა-გან და მსგავსადვე განფარდა და უკუდავებისა-განცა, რომელი შემდგომად მიიღოს მადლითა შემქმნელისა მისისა[ა]თა. ხოლო შემდგომად გან- 10 ვრდობისა და კორცთაცა მიღებად შეენდოო, რამეთუ ჰირველ მხოლოდ ქუჭყანით უბრძანა მას კმა-ყოფად; ესე უკუჭ იყო სამოთხეს-შინა; ხოლო უსასრქმნილსა სრულაობისა-თჳს, მიშუჭბით შეენდოო შესებად და ჭამად კორცისა.

არამედ, გინამთგან სხეულთა-გან არს კაცი, ხოლო უოველი 15 სხეული ოთხთა ასოთა-გან შემტკიცებულა, საჭირო არს გნებათა ამთ შთაჭრა მისი, რომელთადა და ასონიცა: დაჭრისა და მიმოცე*|აღე-ბისა და დინებისა, რომელ არიან მხოლოდ ოდენ სხეულისანი: მი-მოცევალებაჲ უკუჭ რომელიობითა, ხოლო დინებაჲ დაცარიელებითა; რამეთუ სამარადისოდ დაცარიელებების ცხოველი საცნაურთა-შიერ ნეს- 20 ტუთაჲს და უცნაურთაჲს, რომელთა-თჳს შემდგომად ვთქუათ. აწ უკუჭ საჭირო არს დაცარიელებულთა მიღებად ნაცვლისა სწორისა, ანუ-თუ დაკნაჲ ცხოელისაჲ ნაკლულეყანებითა სხუთა მონაცვალედ შე-მაგაღთაჲთა; და რამეთუ კმელნი ხოლო იუვნენ და ნოტიონი და სული დაცალიერებულნი, საჭირო არს კმელისა და ნოტიოჲს საზრ- 25 დელისა თანამდებობაჲ ცხოველისა და მსგავსადვე და სულისაჲცა. რამეთუ, გინამთ-გან ოთხთა ასოთა-შიერ არიან საზრდელნი და სასუ-

14 აქ ახალ ნაყვეთს ჩვენ ვიწყებთ. | * ამ ნახევარი სიტყვით თავ-დება A-ში ჩამატებული (აღდგენილი) ტექსტი. ამას შემდეგ, რა თქმა უნდა, უმთავრესათ ისევ A-ის ტექსტს ვემყარებით. აქედან იწყება A-ის მეორე რვეული. ამას შემდეგ A-ში ჩამატებული ფურცლები აღარა გვხვდება. | 17, არია არიან A. | 18 რომელობათაჲ A. | 20 ვთქუად A. | 21₂₋₃ საჭიროთა A. (შეად. რუსული თარგმ., გვ. 28). | 23, რათა A; 9-10 სულისაგან A; სული აქ ნიშნავს ჰაერის სუნთქვას, ფშვინვას. შეად. რუს. თარგმანი, გვ. 28. | 24₂₋₃ საჭიროთა A (რუს. თარგმ., გვ. 28).

მელნი, რომელთა-გან შევიმტკიცებით, თათუელი შესაბამითა თსის-
 თა და მსგავსითა იზარდების, ხოლო წინააღმდეგობითა განიკურნების;
 რამეთუ რომელთა-მე ასოთა თათმასლობეჲად, ხოლო რომელთა-მე
 საშუალებითა ვიქითა-მე მოვიდებთ, ვითარ რაჲ წყაღსა ოდეს-მე A 20
 5 თათ მას, ხოლო ოდეს-მე შესაშუგდობითა ღვინისა და ზეთისაჲთა
 და სხუ[ა]თა უოგელთა ნოტიო [ნა]ყოფად წოდებულთაჲთა; რამეთუ
 სხუაჲ არა რაჲ არს ღვინო[ა], ვითარ წყალი გენაკისა-მიერ შეცვა-
 ლებულნი. და მსგავსადვე ამისა ცუცხლსაცა მოვიდებთ, ოდეს-მე მას-
 ლობეჲად მის-მიერ განტობილნი, ხოლო ოდეს-მე სხუათა-მიერ
 10 საშუგდობთა, რომელთა გჭამთ, გინათუ ვსუამთ, რამეთუ უოგელთა-
 შორის, — გინათუ დიდად, გინათუ მცირედ, — ნაწილი ცუცხლისა[ა]
 დათესულა. ამითვე სახითა და ჭუერსაცა მოვიდებთ მასლობეჲად უკუ^ს
 სათუზნეელითა და სულის-კუ[ს]ითითა ჩუენდა გარემოჲს-ქანებულნი-
 თა, რამეთუ ჭამასა და სუამასა-შინა მოვიზიდავთ ჭუერსა ჩუენდად,
 15 არამედ საშუგდობითა სხუათა უოგელთა-მიმართ, რომელთა მომდე-
 ბედ ვართ. ხოლო ქუჭუნასა უსაშუგდოდ და მასლობეჲად ჩუენდა | A 21
 არაოდეს მოვიდებთ, არამედ რომელთა-მე საშუგდობითა-მიერ, რამეთუ
 ქუჭუნაჲ ხუარბლად იქმნების და ხუარბლსა გჭამთ ჩუენ. რამეთუ
 გურიტნი და ტრენი მრავალგზის და კაკაბინცა მასლობეჲად ქუჭ-
 20 უნასა ჭამენ; არამედ კაცი საშუალებისა-მიერ თესლთაჲსა და მანას-
 რისა მწუერვლთაჲსა და კორცთაჲსა.

ხოლო, ვინაჲთაგან არა მარტოდ შეზნიერებისა-მიერ ოდენ,
 არამედ და კეთილგერძობელობისაცა-მიერ შემხებულთაჲთაისა დაამე-
 ტებს უოგელთა ცხოველთა კაცი, — რამეთუ არა გარემომდგა* ჩუენ
 25 არცა ზრქელი ტყავი, ვითარ ზროსათა და სხუათა ზრქელტყავთა,
 არცა თმანი დიდნი და კვირნი, ვითარ თხათა და ცხუვართა და
 უურდგელთა, არცა ქეცნი, ვითარ გუჭლთა და თევზთა, არცა კეც-

1 თუითუელი A. | 5 ღვინისა A. | 6 ნოტიოჲ A. | 7, 2 არა რა A. |
 7 ღვინო A. | 8, მივიდებთ A. | 13 საფუშინველითა A. | 19, მწლდ A,
 რომელსაცა აქ აზრის მიხედვით ჩვენ ვკითხულობთ „მასლობელად“. |
 22 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ. | 23, შემხებველობითისა A. ვასწო-
 რებთ კონტექსტისა და რუსული (=ბერძნული) ტექსტის მიხედვით. |
 * იგულისხმება: ღმერთმან.

ნი, ვითარ ქელონთა-კუთა და ოსტრა-კუთა, არცა ჩუღაკენი, ვითარ
 კარავიდათა, არცა ფრთანი, ვითარ ქათამთა,—საჭიროდ სამოსთა მო-
 ქენე ვიქმნებით აღმარულებულად ჩუენ-შორის ნაცვალს მათსა, | რ- A 22
 მელ ბუნებაჲს სსუთა შიანიჭა. და ვინაჲცა ამის მიზეზისა-თჳს სს-
 5 ზრდელსა და სამოსსა მოქენე ვართ და არა-შესაბამად მკეცთაჲსა შე-
 სავედრებულსა. არამედ ძნიად შეზავებისა-თჳს რომელობათაჲსა და
 დაკისნისა-თჳს შემტკიცებულობისა სსუელთაჲსა მკურნალთა და სს-
 კურნებულთა მოქენე ვიქმნებით. ხოლო ცვალებათა-თჳს, რომელი-
 10 ლობისა-მიერ სწორასზომადვე აღუყანებაჲ სსუელთა დგომისა[ჲ]; რამე-
 თუ არა, ვითარ ჭზარობენ ვიეთნი-მე, განკურნებულისა სსუელისა
 სრულიად განკრილებათა წინამდებარე არს მკურნალთა-მიერ, არამედ
 კეთილშეზავებულად მიუყენებაჲ, რამეთუ სრულიად განკრილებისა-გან
 წინამდებარეობისა-მიერ გარემოდგვის სენისა წინამდებარეობათა შისი.
 15 არამედ უკუტ სკამარნი კაციისანი, ვითარ რაჲ საზრდელისა და სასუ-
 მელისა, ცვალებისა-თჳს და განთხევისა; ხოლო სამოსლისა ამისთჳს,
 რომელ არა რაჲ აქუს ბუნები|სა-გან ძლიერი გარეშესბლარდნელი; A 23
 არამედ ს[ა]სლნი ძნელად შეზავებისა-თჳს გარემოჲს ჩუენსა ქონებუ-
 ლისა ჭყარისა და მკეცთა-თჳს;—ხოლო საკურნებულნი მიმოცვალე-
 20 ბისა-თჳს რომელობათაჲსა და გრძობათა-თჳს, რომელნი დასხმულ
 არიან სსუელსა-შორის; რამეთუ, თუმცა არა იყვნეს ჩუენდა გრძობა-
 ნი, არამცა გუტლმოდა და არცამცა კურნებისა მოქენე ვიქმნებით არა-
 მდებარეობისა და განვიხრწნენითმცა უმეცრებასა-შორის ძურთასა, ვნე-
 ბისა ვერ-მეკურნენი. ხოლო კელთვნებათა და ზედმიწევნულებათა და
 25 რომელნი ამათ-გან საკმარ არიან ურთი-ერთას მოქენე ვართ ერთ-
 მან-ერთისა თანამესკრველობისა-თჳს, რათა ამის-მიერ მრავალნი
 ერთ ვიქმნებოდეთ, რამეთუ ვეზიარებით ურთი-ერთას ცხორებით სს-

7. მკვრნალთა A. | 7-8 საკურნებელთა-ქმარებად A; ეს სი-
 ტყვა შემდეგ ჩამატებულია სტრიქონებს შუა ტექსტისავე წმინდა ხელით,
 მაგრამ მჭრალი მელნით. | 9 სხუისა A. | 18-19 ქონებულისა; A-ში წე-
 რებულა „მქნებლისა“, შემდეგ ტექსტისავე შავი მელნით წაუშლიათ
 პირველი ასო, დარჩენილა „ქნებლისა“, რომელსაც, ახრის მიხედვით,
 კვითხულობთ ისე, როგორც ტექსტში დაიბეჭდა. | 23 ძურთაჲსა A.

კმართა მიმოცვალები-ს-მიერ; ვიეთ-მე უკუ^ს თანამავლობას და თან-
 სხეულობას ქაღაქად | სახელ სდევს, გინაჲ მანდობელობით და არა A 24
 მშორებელობით ერთი-ერთარსს სარგებელსა მიფინაყოფებთ; რამეთუ
 ბუნებით თანმეჯგოვად და მოქალაქედ ცხოველად შეიქმნა კაცი; რამე-
 5 თუ ერთი არაფინ კმა ეყოფვის თავსა თვისსა ყოფლის-მიმართ საქმისა.
 საუწყო, რამეთუ ქაღაქნი მიმოცვალები-სა და სწავლისა-თვს შეიმ-
 ზადნეს.

[ორსა]* ამას უხუცესობასა კაცი საკრველებით ღირს იქმნა:
 რამეთუ ესე მხოლოდ შენდობას მიემთხუჭვის, შეინანოს თუ, და
 10 სხეულთა ამათ მხოლოდ მოკუდავთა უკუდავებოან ჰქოფოს, მომკმარე-
 ბელად სხეულთასა სულისა-თვს, ხოლო სულისასა სხეულთა-თვს. რა-
 მეთუ მხოლოდ კაცი, სიტყუერებისა საკრველებით მქონებელი, შენ-
 დობასა ღირს იქმნა სინანულის-მიერ: არამედ არცა ეშმაკნი და არცა
 ანგელონი, შეინანონდა თუ, შენდობასა ღირს იქმნებიან. და უფ-
 15 როდეს ხოლო ამის-მიერ ღმერთი მართლად და მოწყალედ იხილვე-
 ბის | და ითქუვის. რამეთუ ანგელოსთა უკუ^ს არა რაჲ ჰქუანან საჲ- A 25
 ძულებელნი და მიმზიდველნი ცოდვათა-მიმართ, არამედ თავის-სუთად
 არიან ბუნებით-განვე სხეულებრივთა გნებათა და საკმართა და გემო-
 თაჲსა, —სამართლად და არცა ერთი მიეტყმის შენდობაჲ მონანულ-
 20 თა; ხოლო კაცი მხოლოდ არა სიტყუერ ოდენ არს, არამედ და ცხო-
 ელიცა, რამეთუ საკმარნი ცხოველისანი და გნებანი მრავალგზის
 გარემოდცვენ გულის-სიტყუათა; არამედ, ოდეს რაჲ აღიხედნეს, ევ-
 ლტის ამათ და მიკმარებეს სათნობათა-ზედა, და წუ^სლობასა მართ-
 ლისა-გან მიემთხუჭვის მეძიებელი და შენდობასა. და თუ ვითარ
 25 თვს არს არსებისა მისისა მოცინარობაჲ და რამეთუ საკუთრებით კა-
 ცისა ოდენ არსებასა აქუს და საყოელთაოდ და სამარადისოდ, — ესრე-
 თვე ყოველთა ნიჭთა-შორის საკუთარ კაცისა არს, უფროდეს ყოვ-
 ლისა სიტყუერისა აკებულისა, სინანულის-მიერ განურად | მიზეზსა A 26
 შირველთა ცთომათასა. რამეთუ მხოლოდ კაცსა მოენიჭა ესე ყოველადვე

* ამ სიტყვის ნაცულად A-ში სწერია: „რომლისათვისცა“. ვასწო-
 რებთ რუსული (==ბერძნული) ტექსტის თანახმად. ახალ ნაკვეთსაჲ აქ
 რუსული ტექსტის მიხედვით ვიწყებთ. | 12 სიტყუერებასა A.

და სამარადისოდ ჟამთა-შორის სოფლის ამის ცხორებისათა, ხოლო შემდგომად სიკუდილის არღარა. ესრეთ უკუშ გით-მე და ანგელოზთადაც ეგულების შემდგომად დაცემის არღა მიმისხუწვად სინანულისა-მიერ შენდობას, რამეთუ სიკუდილ ამთდა არს დაცემაჲ;

5 ხოლო ჰირველ დაცემისა, მსგ[ა]ვსადვე კაცთა ცხორებისა, და მათიდა ღირს-ყოფად შენდობისა; რომლისა-თჳსცა, იუ არა ქმნან ესე, შეუნდობელი და საუკუნოჲ აქუნდეს ნამეტნაჲი სატანჯველთაჲ სამართლად მისაკებელი. უწვებულ იუაზნ ამთ ზემოთქმულთა-გან მათდა, რაოდენნი სინანულსა არა შეიწყნარებენ, რჩეულის ნიჭსა და საკუთარ-

10 სა კაცისას, რომელ წყალობათა ღმრთისათა გარეშესწერეს. — ხოლო საკუთარ მისდა ურჩეულეს არს და ესეცა: მხოლოდ, სსუთა ცხოველთა უმეტეს, სსუელთა ამთ*, შემდგომად სიკუდილისა, ადგი-ნებაჲ და უკუდავების ღირს-ყოფად. რამეთუ მიემთხუწ გის ამას** A27 უკუდავებისა-თჳს სულისა, და ოდეს-მე ვნებათა-მიმართ სულისათა

15 სსუელთა უძღურებისა-თჳს და მრავალენებულებისა. ხოლო საკუთარ მისდა არს კელოვნებათა და ზედმიწევნულებათა სწავლულებაჲ, ვინაჲ კელოვნებათა-ებრ და მოქმედებანიცა. რომლისა-თჳსცა და, კაცსა განსასდგურებენ რაჲ, საზღვარისა-მიერ შემოსწერენ ესრე: „ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი, გონებისა და ზედმიწევნულებისა შემწყნა-

20 რებელი“. „ცხოველი“ უკუშ, რამეთუ კაციცა არსება არს სუელიერი და გრძნობადი, რამეთუ ესე არს საზღვარი ცხოველისა; ხოლო „სიტყუერი“, რათა განეუოს უტყუთა; და „მოკუდავი“, რათა უგუდავთა სიტყუერთა განეუოს; არამედ „გონებისა და ზედმიწევნულებისა შემწყნარებელი“, რამეთუ სწავლულებისა-მიერ მომართ გუშქ-

25 მნებიან ჩუენ კელოვნებანი და ზედმიეენებანი, რამეთუ გუაქ[უ]ქს ძალი, შემწყნარებელი გონებისადა და კელოვნებათა, არამედ მოქმედე- A28 ბათა მომტებელ ფართ სასწავლოთა-გან. იტყუან უკუშ ამის საზღვა-

* ე. ი. ადამიანის სხეულთა. | 12 სიკუდილისა A. | ** ე. ი. ზენდობას A. | 18 განასაზღვრებენ; A-ში ამ სიტყუას „ენ“-ის წინ ჩამატებული აქვს ასო „დ“ სხვა მელნით და სხვა ხელით. | 20, სიტყუერი A; ვასწორებთ კონტექსტისა და რუსული ტექსტის მიხედვით. | 21, და+ხოლო A.

რის უკანადასკნელ დამატებად, რამეთუ განსრულდა კაცი თვნიერ უკანადასკნელისადა საზღვარისა; ხოლო, ვინაჲთგან ქუჭუნანისთა და სხუათა ვინათავე ტომთა იტყვან ვიეთნი-მე მრავალჲმოსანთა ეშმაკათასა, არა-მედ არა უკუდავთა,—რათა და ამათ-განცა განუონ კაცი, დართეს
 5 გონებისა და ზედმიწევნულებისა შემწინარებულობაჲ; რამეთუ არავინ მათ-განი* ისწავლის, არამედ ბუნებით იცის, რომელი იცის.

ხოლო ებრაელთა გარდაცემაჲ ეოგელს** ამის კაცისა-თჳს იტყუს შექმნად, არამედ უფროჲს მისდა უმახლობელესთა ეოგელთასა, ვითარ ტერფუმისილთა და ზროსათას; და ესენი შრომისა-მიმართ, ხოლო
 10 თიჲაჲ ამათ-თჳს. რამეთუ ქმნულთა[ჲ] რომელი-მე თჳთ თაგის თჳსისა-თჳს იქმნა, ხოლო რომელი-მე სხუათა-თჳს: თაგისა თჳსისა-თჳს უკუჭ სიტყუერნი ეოგელნი, არამედ სხუათა-თჳს უტყუენი და უსულონი. ხოლო, ვინაჲთგან | ესენი სხუათა-თჳს იქმნეს,—თუ რაჲსა-თჳს
 15 იქმნ[ნ]ეს, განვიცადოთ. ნუუკუჭ და ანგელოსთა-თჳსცა? არამედ არავინ კეთილგონობიერმან თქუას ანგელოსთა-თჳს მათი შექმნაჲ: რამეთუ ეოგელნი სხუათა-თჳს ქმნილნი დადგრომისა-თჳს მათისა და გებისა და განსუჭნებისა იქმნ[ნ]ეს, გინა აღორძინებისა-თჳს ტომისა, ანუთუ საზრდელისა, გინა საბურველისა, ანუთუ კურნებისა, გინა ქცევისა და განსუჭნებისა-თჳს. ხოლო ანგელოსი არარას ამათ-განსა მოქენე
 20 არს, რამეთუ არცა აღორძინებაჲ აქუს ტომისაჲ, არცა საზრდო[ჲ]სა მოქენე სხუელთანისა, არცა საბურველისა და არცა რათ სხუათა. არამედ, ვინაჲთგან ანგელოსი ამათ-განისა არარაჲს მოქენე,—უწებუელ, რომელ არცა სხუაჲ რომელი-მე ბუნებაჲ, ზესთადმაგალი ანგელოსთა; რამეთუ, რაჲზომ ზესთმდებარცა და
 25 სი დასისად, უფროჲს ხოლო მისდა არმოქენეობაჲ არს. ვინაჲვე იძიებოდედ ბუნებაჲ სიტყუერი უკუჭ და მოქენე თქმულთა | ამათ. და თუ სხუაჲ ესევეითარი გამოჩნდეს, თვნიერ ჩუენ კაცთაჲს? ხოლო, ვინაჲთგან ესე ესრეთ არს, შეკრებების ამის კაცი-სათჳს უტყუთა და უსულოთა შექმნაჲ. ხოლო, ვინაჲთგან ამისთჳს,
 30 ვითარ აწ იჩუჭნადა, ამის-თჳსცა მთავრად მათდა დაიდგინა; ხოლო

* ე. ი. ეშმაკთაგანი. | ** ე. ი. ყოველ ქმნილსა, ანუ მთელს ქვეყნიერებას. | 16 სხვათა-თჳს A. | 26 სიტყვიერი A. | 29 უტყუთა A.

საქმე მთავრისა — საზომისა-ებრ საკმართაჲს კმარებაჲ სამთავროჲს და არა ვნებათა-მიმართ დაუპურობელად გინებაჲ და არცა ტურთთა-ეიწრ დამძიმებაჲ სამთავროს. აწ უკუტ ცოდვენი, რომელნი უტკუთა არა კეთილად იხმარებდენ, რამეთუ არა მთავრისა საქმეს იქმან და, 5 არა ხოლო [მთავრისასა, არამედ არცა] მართლისასა, წერილისა-ებრ, ვითარმედ: „მართალი სწყალობს სულსა უტკუთა მისთას“ *.

არამედ და ნუთუ-მე და თქუას ვინ-მე, ვითარმედ: „არა სხსს-თჯს, არამედ თუთუელი თავისა თჯისსა-თჯს იქმნა“. განაყენენინ უკუტ ზირველად სუდეიერნი უსულოთა-გან და ვინილოთ, თუ შემძლებელ 10 რაჲცავე უსულოთა თჯთ თავისა თჯისსა-თჯს ქმნად, გინა კმაყოფად. არამედ, თუ ესენი თჯთ თავისა-თჯს, — ვითარ გინა | სდაჲთ განი- A31 ზარდნენ ცხოველნი? რამეთუ განვიცადოთ ბუნებაჲ მომცემელად ცხოველთა საზრდელისა ქუტყანისა-გან ნაყოფთაჲს და ნერგთაჲს, თჯნიერ მცირედთა კორცის-მჭამელთაჲს; და ესეცა კორცის-მჭამელნი 15 საზრდელ თჯსსა ჭყოფენ ცხოველთა-გან ქუტყანის-მძოვნელთაჲს, ვითარ: მკელნი და ლომნი — კრავთა და თხათა და ეშუთა და ირეშთა, ხოლო ორბნი — კაკბთა და კოკობთა და უურდგელთა და მსკავსთა, რომელნი ნაყოფთა ქუტყანისთა ძოვენ. არამედ და თეჯზთაცა ბუნე-ბაჲ, ერთი მეორისა მჭამელი, არა ვიდრე-მე უოველთადმდე გასწუ- 20 თების კორცის-მჭამელობაჲ, არამედ განსრულდების მძოვნელთა-მიერ მხავსთა და ფუკიათაჲს და სხუათა, რანიცა წყაღთა-შორის ადმოცენებადნი არიან. არამედ, თუმცა უოველნი ტომნი თეჯზთანი კორცის-მჭამელ იუენეს და არა რომელიმცა განველტოდა კორცის ჭმასა, არცამცა მცირედ კმა იუენეს, არამედ განიხრწნესმცა რომელნი-მე 25 ურთი-ერთას, ხოლო რომელნი-მე საზრდელისა მოკლებისა-გან. A32 არამედ, რათა არა ესრეთ იქმნას, რომელნი-მე თეჯზთანი შეიქმნ[ნ]ეს უკუტ კორცთა-გან განყენებულნი და, — თქუას ვინ-მე, ვითარმედ, — ზღჯსა თიფათა მძოვნელნი იქმნ[ნ]ეს, რათა ამათ-გან სხუანი კორცის-მჭამელნი ცხოვნდებოდინ; რამეთუ იქმნებიან საჭმელ ამათა ფუკიანი და 30 მხავსნი, არამედ იგინი სხუათა-თჯს და კუალად ესენი სხუათა-თჯს და-

3 უტყვთა A. | * სიბრძნ. სოლ. XU, 10. | 7 აქ ახალ ნავეთს ჩვენ ვიწყებთ. | 11, თუთ A. | 27 ზღჯსა A.

სასრულის*, საზრდელ[ი]ს მოუკლებულად, ვითარცა ქუჭრანისა-გან, ზღვსა-მიერ მქონებელნი, ვინაჲ და სხუთა გუმაოყანებაჲ ცხოვრებოდის. რომლისა-თვსცა აღმოაჩინა სიტყუჲმან ნერგთა ქმნულებაჲ არა თავის თვისსა-თვს, არამედ საზრდელისა-თვს და მდგომობისა

5 კაცთა და სხუთა ცხოველთაჲს; იუწუებოდედ, ვითარმედ ამათის აღორძინების და ქმნის მიზეზნი ამათ-თვს იქმნნეს. ვინაჲ ვარსკუ-
 ლავთა მიდრეკანი და ცაჲ და მთანი და ბორცუნი და ყოველნი ესე-
 ვითარნი ამათ-თვს იქმნ[ნ]ეს, რათა საზრდელთა და სიმრგუელეს-მო-
 რის სფეროთასა ! სამარადისოდ მიმცემადთა და მოუკლებულად მიმ- A 33

10 დებადთა ნყოფთა-გან დაადგრეს ბუნებაჲ, ვიდრემდის ეპოებოდინ ესენი ნყოფთა-თვს, ხოლო ნყოფნი ცხოველთა და კაცთა-თვს.

არამედ წინამდებარე არს აწ გამოსაძიებულად: რაჲ უკუჭ და უტყუთა ბუნებაჲ თუთ თავისა-თვს იქმნა, ანუ თუ კაცისა-თვს? ნუთუ უჯერო ცნობისა-გან უნაწილოთაჲ და ბუნებრივ[ი]თა მიმართებითა მსო-
 15 ლოდ ცხოვრებულთა და ქუჭრანისა-მიმართ ქუჭლადრეკილთაჲ და მონებრობას და ნახეთქისსა სახისა-მიერ მჩუჭნებულთაჲ აქემად, ვითარმედ თავის თვისსა-თვს წარმოაჩინნეს. მრავალ უკუჭ არს ჯეროვანი ამათ-მიმართ სიტყუაჲ, და კინიდა სხვსა აღწერისა სიმრავლისა-თვს მოქენე, გარნა არმეზნობელ წინამდებარე საწყებულთაჲ

20 სიკრძის სიტყუათაჲს, არამედ მსწრაფელ უკლებულად აღსრულებაჲ ამისი ჯერარს. აწ უკუჭ, ვითარ ხატს რაჲ, კაცსა, ვითარცა სარკუმელთაჲთ-მიერ ვიჭეროთ, | ნუუკუჭ და ვიყვნეთ საძიებულთა ად- A 34
 მოჩენასა არსებისა-გან დამწუკლებნი; — ვიხილოთ უკუჭ მებრ ჩუენ-
 შორისსა სუფსა-შორის უტყუებაჲ და ამისნი ნაწილნი,—ხოლო

25 ვიტყვ წადილსა და გულის-წერომასა,—სამსახურებულად მიცემულნი სიტყუერისადა, რომელი-მე მთავრად, ხოლო კუალადი სამთავროდ. და რომელი-მე მბრძანებულად, ხოლო რომელი-მე საბრძანებულად და მსახურად საკმართა-თვს, რადგა-რაჲ სიტყუჲმან განუჩინოს, რაჲმს ცხოვრებოდის მებრ ბუნებით კაცი. ხოლო ვი-

* ამ სიტყვიდან დაწყებული წინადადების ბოლომდე (წერტილამდე) ქართულ თარგმანში რაღაც არეულია. შეად. რუს. თარგმანი, გვ. 35, ზემოდან სტრიქონები 8—10 | 2 ზღუესა-მიერ A. | 7 მთაჲნი A. | 12 ახალ ნაკვეთს აქ ჩვენ ვიწყებთ. | 16-17 „ვითარმედ—თვისსა-თვს“ A-ში გა-
 მეორებულია. | 18 სხუთსა A. | 24 უტყვებაჲ A. | 25 ვიტყვი A.

ნაფთვან ჩუენ-შორისსა უტყუესა ჩუენ-შორისი ჰმთავრობის სიტყუა-
 რებაჲ, ვითარ უკუტ არა ჯერ-იუოს და გარეგანთაჲ უტყუ-
 თა მის-გან დაპურობაჲ და საკმართა-მიმართ მოცემად ამათი? რა-
 მეთუ ბუნებით მსახურად დაწესებულა უტყუ სიტყუერისა, ვითარ აწ
 5 ესე ჩუენ-შორის იჩუტნა. უწებულ იუაჲ და სხუათაჲ ცხოველთა შემ-
 ზადებაჲ მსახურებისა-თჳს კაცის მარჯუტლ ქმნილად, უკუტ და ეო-
 ველნი ტერფმოილნი მუშაკობისა-მიმართ და მტურათობისა, და
 მრავალნი მფრანველთა და წესლის-შორისთა-განნი და კმელთანიცა A35
 მუტნისა-თჳს ვინაჲჲ, ხოლო მკმობარენი განშუტნებისა-თჳს და გან-
 10 სუტნებისა.

არამედ, დაღათუ არა ეოველნი ესეგითართა საკმართა ჰმსახუ-
 რებენ, არამედ რომელნი-მე განჰბარებუნა კაცთა, — იუწებოდედ, ვი-
 თარმედ ჰირველ მსახურებისა-თჳს ამის კაცისა სხუანიცა ეოველნი,
 და როდენცა შესაძლებელ იუო, შეიმზადნეს, რათა არა აკლდეს აკე-
 15 ბულსა ეოველთა მიმკლდომთა ქმნულებაჲ. არამედ არცა ესე ეოვლად
 ეოველით-ურთ განეფლტო კაცთა სარგებლისა-გან: ვინაჲ სამსაღოან-
 თაჲ თჳსისა სარგებლისა-მიმართ სიტყუაჲ ნაყოფიერ. ჰეთეს, რამე-
 თუ იკმარებს მათ კურნებისა-თჳს მათ-განვე შემთხუტულთა ვნება-
 თაჲსა და სხუათა უძღურებათა სმრთელოდ; ვითარ არიან სათერია-
 20 კოდ წოდებულნი შესამზადებელნი, რომელნი სიტყუამან განიგონნა,
 რათა და ესენიცა იპურნეს თუთ მათ-მიერვე და ვითარ შბროლი-
 სა შეპურობითა ირგოს. ჰქონან | ვინაჲჲჲ კაცთა ბევრულნი წინა- A36
 განმწყობნი მათდა-მიმართ, რომელნი მოცემულად შემოქმედისა-გან
 უქმქმნად და ნაცვლის უკუნქცეჲად და განმართებად ზრახვათა მათთა
 25 შემძლებელნი. რამეთუ სხუაჲ სხუათა-თჳს ჯერარს საკმართაჲს, ხო-
 ლო საზოგადოდ ეოველნი კურნებისა-თჳს კაცისა შემსარულეებულად
 შკმძლებელნი, დაღათუ არა სხუთა საკმარებითა საკმარნი. ვითარ აწ
 ესე აწინდელისა ამის ცხოვრებისა ჩუენისა მყოფობისა-თჳს ითქუა, და-
 საბამის ვინაჲთგან არარაჲ ცხოველთა-გან იკადრებდა ვნებად კაცი-

1 უტყუსა A. | 2-3 უტყუსა A. | 7 ჰტვირთათობისა A. | 11 აქ
 ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ. | 16 განველთო A. | 21, რ A; 21, თუთ A. |
 24 უკანქცეჲად A. | 27 სხუითა A.

სა, არამედ იუვენეს უოგელნი მონა მისა და ქუჭშედაწესებულ და
 მორჩილ, ვიდრემდის იპურობდა ვნებათა მის-შორისისა მის უტყუას-
 თა; არამედ, არ იპურნა რაჲ ვნებანი, დაპურობილ იქმნა მთ-გან და
 შეპურობილ იქმნა გარეკანთა-განცა, სამართლად, შკეცთაჲს: რამეთუ
 5 ცოდვას შემოჭყეა | ამათ-მიერი ვნებაჲ. რომელი ესე ჭეშმარიტ და A37
 საცნაურ არს მთ-გან, რომელთა რჩეულად წარვედეს ცხორებაჲ, რა-
 მეთუ უბეშთაჲს გამოჩნდეს ესენი შკეცთა წადილისა-გან, ვითარ
 ლომთა უკუჭ—დანოელ, სოლო ჰაგლე—ხაკებენისა-გან იქედნისა.

ვინ უკუჭ ღირსებით განკვრდეს კეთილტომოვნებას ამის ცხო-
 10 ველისას*, შეაკთნეს რაჲ მის-შორის მოკუდავნი და უკუდავნი და
 სიტყუერი უტუუთა-თანა შეახს და მოქქონდის თავსა-შორის თვსსა
 ბუნებაჲ უოგელის აკებუელისა[ჲ], ვითარ რაჲ ხატნი, ვინაჲცა „მცირედ
 სოფლად“ ისიტუუგის, ესეზომსა ღირს ქმნილი ღმრთისა-მიერ გან-
 გებასა, რომლისა-თვსცა უოგელნი აწინდელნი და შერმენი-მომავალნი,
 15 რომლისა-თვს ღმერთი კაც იქმნა, უხრწნელებისა-მიმართ სრულყო-
 თისა-თვს და მოკუდავების განლტოფების? რამეთუ ცათა ჰუმოფობს,
 მებრ ხატად და მსგავსად ღმრთისა ქმნილი ესე, ქრისტეს-თანა ჰტიეს,
 ღმრთისა შვილ არს და უოგელის დასაბამის და კელმწიფებისა | წი- A38
 ნამჟღადმარკა. ვინ-მე შემძლებელ იქმნა გამოთქემად ცხოველისა ამის
 20 წარმატებათა! რამეთუ უფსკრულსა განჰველის, ცათა მავალ არს ხე-
 დგითა, ვარსკულაფთა მიდრეკასა და სიმუჭნიერესა და რიცხუსა გა-
 ნიგონებს და ქუჭყანასა და ზღუასა მომხაყოფებს, შკეცთა და უტუუ-
 თა შეურაცხ ჰყოფს; უოგელსა ზედამიწეუნულებასა და კელოვნებასა
 და გუარსა წარჰმართებს და გარეკან საზღვართაჲსა რომელთა ეგუ-
 25 ლ[ე]ბოდის ზრახავს**, არამახლობელი სხეულთა-გან წინამეტუეჭლებს
 მომავალთა; უოგელთა ჰმთავრობს, უოგელთა იპურობს, უოგელთა მი-
 ილებს; ანკელოსთა-გან და ღმრთისა ისიტუეს, დაბადებულსა უბრძა-
 ნებს, ეშმაკთა შეჰკრისხავს; მყოფთა ბუნებასა გამოჰქვეს, ღმრთისა

2 მის შურისისა A. | 9 აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ. | * ე. ი. კაცისა. | 13 ისიტუვის A. | 16 მოკოდავების A. | 21 ვარსკულაფთა A; რიცხვა A. | ** იგულისხმება: ზრახავს წერილითა. | 25 წინამეტუეჭ-
 ლებს A. | 26 ჰმთავრობს A. | 27 ისიტუვის A. | 28, ოა; შეიძლება
 წაკითხულ იქნას „ღმერთსა“.

ცნობად შეცადინობს, სახელ და ტაძარ იქმნების ღმერთისა;—და ამის
ყოველს სათნოებათა-გან შეიძენს და კეთილად-მის|ხერებისა.

A39

არამედ, რათა არა გეტნნეთ ვიეთ-მე ეზომთა სიკეთეთა-თვს
მიუწითომელთა სიგრძეთა აღმწერელად კაცისა-თვს, და არა მხოლოდ
5 ამისი ბუნებაჲ წინადადებად, ვითარ წინაშთვე დაგუწდვა,—არამედ
აქა ვინაშევე დაფაცნროთ სიტყუაჲ, გინათჲ უფრომს ხოლო ბუნებისა
მისისა სიკეთეთა ვიტყოდეთ, ბუნებაჲ რაჲ მისი განუჭმარტოთ. და
ვცნათ [რაჲ], თუ რაბამისა კეთილტომოვანობისა მიმღებულ ვიქმნენით,
რამეთუ ნერგნი ფართ ზეციური, —ნუ გარცხუნეთ ბუნებასა, ნუცა ეზომ-
10 თა ნიჭთაჲსა გამოვჩნდებით უღირსად; არამედ ნუცა თავთა თვისთა
ესერაბამთა კელმწითებათა და ნეტარებათა-გან მოგაგლეხთ და მცირი-
სა ჟამისა და წუთისა გემომსა-თვს ყოველთა სუგუნეთა განმცემელ
ვექმნეთ შუჭბასა; არამედ კეთილთა საქმეთა-მიერ, განუეგებითა ღირ-
წითა-გან და სიმართლით განცდითა და ღოცვათა-მიერ კეთილტომო-
15 ვანობაჲ | დაგიცვათ.

A40

ამათ-თვს უგუწ და კმა ესეცა.

ხოლო, ვინაშთგან კაცისა სულისა და ასხეულთა-გან ყოფასა
სახოცადოჲ შთამოაგდებს სიტყუაჲ, —მოხდე და განვაყენეთ და ჰირ-
ველ სულისა-თვს ვიწყოთ, ხოლო ფრიად წუელიდადსა და მიმოღუ-
20 ღარქნილსა და მრავალთა-თვს საძიებულთა ძნად გასაკონებელსა აა-
ნაწარეჭკედეთ.

თ ა ვ ი ი

ს უ ლ ი ს ა თ ვ ს

კინილა განიუოყების ყოველთა ძუწლთა სიტყუაჲ სულისა-თვს.
25 რამეთუ დიმოკრიტოს უგუწ და ეპიკუროს და ყოველთა სტოელთა
ფილოსოფოსთა, შეზავებულად, სხეულად სული აღმითქუწს. არამედ
ესენიცა, რაოდენი სულსა სხეულად აღმოატყუან, არსებისა-თვს მი-

16 ეს სტრიქონი ჩვენ გამოვაცალკვეთ. | 19 წულილადისა.

სის განიოფუიან: რამეთუ სტოელნი ფუზნვად იტუოდეს მას მკურ-
 ვალედ და ცეცხლთანად, ხოლო კრიტია—სისხლად, არამედ იშხონ
 ფილასოფოსი—წელად, ხოლო დიმოკრიტოს—ცეცხლად, | რამეთუ A 41
 მრგუელნი სფერონაკუჭთნი განუკუჭთელთანი, შედარებულნი და თა-
 5 ნაშესჯილნი, ცეცხლად და ჭკერად სულს ადასრულებენ; ხო-
 ლო ირაკლიტოს სულს უოფლისას—ორთქლად ნოტიოთა-გან,
 არამედ ცხოველთა-შორისსა — გარეგანთა-განცა და მათ-შორის-
 თა ორთქლთა-გან, ერთისა ტომისა, შეზავებად. არამედ კუა-
 ლად, რომელნი სულისა უსხეულოფოფას იტუოდეს, ურიცხუ იქმნა
 10 განოფილუბამ ამათი, რომელთა-მე უკუჭ არსებად და უკუდავად
 მის-თჳს შთქმულთაჲ, ხოლო რომელთა-მე უს[ხე]ულოდ უკუჭ, არა-
 მედ არა არსებად, არცა უკუდავად. რამეთუ თალი, ნუკუჭ ჰირველად
 მან სული თქუა სმარადისოდ-მიმდრეკად* და თჳსმიმდრეკად; არამედ
 ჰითაღორას—რიცხუად ააფით თჳსით მიმდრეკად; ხოლო ჰლატონ—
 15 არსებად გონიერად თჳს-გნით მიმდრეკად, ვითამცა რიცხუად ნაწე-
 ვართობარისად; ხოლო არისტოტელმან — ჰირველ შემასრულებე-
 ლად ბუნებითა | შესაქმებითა სხეულთასა, ცხოფრების ძალად A 42
 ოდენ მქონებელად; ხოლო დინარხოს—შენაწევრებად ოთხთა ასოთა-
 გან, შეზავებისა და შეერთებისა ნაცვლად ასოთაჲსა, რამეთუ, არა
 20 კმანთა-გან თქ[უ]მთა შედგომილად, არამედ შორის სხეულთაჲს
 მკურნალისა და გრილისა და ნოტიოჲსა და კმელისა შენაწევრებულად
 და შეზავებულად და შეერთებულად ეკულებს თქუმად. არამედ უწ-
 ებებულ იუფენ, რამეთუ ამთგანნიცა რომელნი-მე სულისა არსებაყოფა-
 სს იტუჯან, ხოლო არისტოტელი და დინარხოს—უარსებო. არამედ
 25 კუადად ამათ-მიერვე ვთქუთ, ვითარმედ ერთი და იგი-ვე არსო სუ-
 ლი უოფლისა, იაზრეს და თჳთუელად განჭრილად და კუადად თჳსადვე

1 ფუშინვად A. | 2 კრატია A. | 3 ფილოსოფოსმან A. | * არში-
 აზე შენიშვნა რექსტისავე წმინდა ხელით: „მიდრეკამ ძრვისა და მოძრა-
 ობისა ნაცვალად დაუტ ყოველგან ყოველსა-შინა სივრცესა ამის აწინ-
 დელისა წიგნისასა ელლადელთა კმისა-გან ქართველთა სიტყუად გარდ-
 მომწერელსა ამისსა იოვანეს პლატონურსა ფილოსოფოსსა“ A. | 16-17: ხო-
 ლო არისტოტელმან შემასრულებულად ჰირველ სხეულთაჲსა ბუნებით-
 თაჲსა შესაქმებითაჲსა A. | 18, ოდეს A. | 26 თუთიუულად A.

მიქცეველად, ვითარ მანიქველთა და სხუთა ვით-მე; ხოლო ვი-
ეთ-მე მრავლად და გუარითა განუოფილად და რომელთა-მე ერთად
და მრავლად. რამეთუ ყოველთა საჭირო არმზიარებელთაჲ სიტყუთა
ესესომითა . თინებათა-შიერ წინააღმდეგობაჲჲ ურთი-ერთას.

A.13

საზოგადოდ და ერთბამად მათ ყოველთა-მიმართ, რომელნი იტ-
ყოდეს სკლს სხუელად, კმა იყუნენ ამონიოჲს-მიერნი იგი თქუმულ-
ნი, ჰლოტინოჲს მოძღურის, და ნუმენიოჲს-ჰითალორელისანი. არიან
ხოლო ესე, ვითარმედ*: სხუელი თჯსითა ბუნებითა მიმოქცევადი არს,
დაფანჩადი და ყოფლითურთ ურიცხუად განჭრადი და არარაჲსა შო-
10 რის თჯსა უცვალელებლისა დამტევებელი; მოქენე არს უკუჭ სხუასა
შემადგინებელსა და შემკრებელსა და ვითარ რაჲ გარემომრთხმელსა
და მწურობელსა მისსა, რომელსა სულად ვიტყუთ. არამედ, უკეთუ
სხუელ რაჲ-მე არს სული, ანუთუ წულილადი ჩაწლოანი, და კუალად
რაჲ არს გარეშემიტკიცებელ მისდა? ვითარ ესე იხუზნა, რამეთუ ყო-

15 ველი სხუელი მოქენე არს გარეშემკრებელისა, და ესრეთ აურაცხელ,
ვიდრე-მე იზოოს მიწვენიად ვიდრე უსხუელთსამდე. გინათუ, ვითარ
იგი იტყუან სტოელნი, ტონებრიფჲ | ვინაჲჲე, რომელ არს ძალინა-
სმანრანი, ვითარცა რაჲ მიდრეკაჲ სხუელთაჲ ძლითი შიგნით-გამო,
გინა გარეგნით ერთბამად მიმდრეკი, ვინაჲ უკუჭ გარეთ სიდიდეთა

A.14

2) და რომელთათა ადმასრულებელი არს, ხოლო შიგნით-გამო შერ-
თებისა და არსებისა: — იკითხუებოდედ მათდა-მიმართ: ვინაჲთგან ყო-
ველი მიდრეკაჲ რაჲსა-განვე არს ძალისა, ვინაჲ ანუ სადაჲთ [არს]
ძალი ესე და ვიეთ-შორის არსება [მისი] იქმნების? და, უკუჭთუ
ნიფთსა ძალად იტყოდინ, კუალად იგინივე ვიკმარნეთ სიტყუანი; და,
25 თუ არა ნიფთ არს, არამედ ნიფთიერ (სხუა უკუჭ იუოს ნიფთიერი
ნიფთისა-გან, რამეთუ, რომელსა თან აქუნდეს ნიფთისა, ნიფთთა-შო-
რისად ითქუმის), რომლისა-თჯსცა სხუაჲ რაჲ-მე ითქუმის თანაშქო-
ნებელი ნიფთისაჲ? რაჲ უკუჭ ნიფთ და იგივე, გინათუ უნიფთ?

ნ აქ ახალ ნაკვეთს ჩვენ ვიწყებთ. | * არშიაზე ტექსტისავე წმინდა
ხელით: „იხილე დარღუტვაჲ გულის-ხმიერი სულისა სხუელ ყოფ მონე-
ლობისა“ A. | 13, სხუელ-თარს A. | 15, გრ^რზე ჰქნდ^რლისა A. | 17, ხო-
ებრივი A.

ვინაჲ, თუ ნამდვლ ნივთ, ვითარ ნივთიერ და არა ნივთ? არა-
 მედ, უკუჭთუ არა ნივთ, უნივთო ვიდრე-მე; ხოლო, თუ უნივ-
 თო, არა ვიდრე-მე სხეულ, | რამეთუ ყოველი სხეული ნივთიერ. **A45**
 [არამედ, უკუჭთუ თქუნ, ვითარმედ ყოველი სხეული სამთა გან-
 5 სადგომელთა მიმთუაღველ არს და სული, ყოველითვე კამყოფი
 და ყოველით-კერძო განმწითომი სხეულთა, სამად ვინაჲ-მე განმდგომა,
 და ამით დაამტკიცებენ სულისა სხეულეთასა, — ჰქრქუა]*, ვითარმედ,
 ყოველი სხეული სამად ვინაჲვე განსადგომელ, ხოლო არა ყოველი
 სამად განსადგომელი სხეულცა [არს]. რამეთუ ადგილი და რომელ-
 10 ბანი უსხეულო არიან თვთ თავთა-შინა თვსთა, ხოლო შემთხუწვით
 სიზრკეთა-შორის დარომელოვნდებიან; ესრეთვე უკუჭ და სულიცა
 თავსა-შორის თვსსა ვინაჲ-მე მდგომარე არს დაუდგომელად, არამედ
 შემთხუწვით სამად განდგომილსა ამს-შორის-თანავე იხილვების და
 იგიცა სამად განდგომილადვე ითქუმის, კარნა, ვითარ იგი ვთქუ,
 15 შემთხუწვით. მერმეცა, სხეული ყოველი ანუ გარეგანი მიდრკების
 ანუ შიგნით; არამედ, უკუჭთუ გარეგანით, უსულო ვიდრე-მე იუთს,
 ხოლო თუ შიგნით — სულიერ; და ვინაჲვე კუდად, თუ ნამდვლ სხე-
 ულია სული, თუ რად-მე გარეგნით მიდრკების, უსულო [არს], არა-
 მედ, .თუ შიგნით, სულიერ; არამედ უფრო არს უსულოდცა და
 20 სულიერად თქუმაჲ სულისაჲ; რომლისა-თვსცა და ნამდვლვე არა ვი-
 დრე-მე სხეულ სული. | მერმეცა, თუ სული იზარდების, უსხეულოაჲს- **A46**
 მიერ იზარდების, რამეთუ სასწაფლონი ზრდიან მას; და ესე საცნაურ
 არს, ვითარმედ არა სხეული უსხეულოაჲსა-გან იზარდების; არა ვი-
 დრე-მე იუთს სხეულ სული. რამეთუ ქსენოკრატიმან' ესე შესიტყუ-
 25 ვაჲ შეკრიბა: ვინაჲ, თუ ნამდვლ არ იზარდების სული, ყოველი უკუჭ
